

K 15 190
4



საქართველოს ფერი

II



საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

ბოტანიკის ინსტიტუტი
ИНСТИТУТ БОТАНИКИ



1973



ФЛОРА ГРУЗИИ

II

ИЗДАНИЕ ВТОРОЕ

PAEONIACEAE — SALICACEAE

„МЕЦНИЕРЕБА“
ТБИЛИСИ
1973


საქართველოს ფლორა

II

ბაშოვება მეორე

PAEONIACEAE — SALICACEAE.

K 15.1990
4



„გენერაცია“
თბილისი
1973



581.5(С41)
581.9(49.922)
б. 323

„საქართველოს ფლორის“ II ტომი შეიცავს ოჯახებს
Paeoniaceae-დან Salicaceae-შედე. Ranales რიგის ოჯა-
ხები დალაგებულია ლ. კემულარია-ნათაძის სისტემის
მიხედვით. თითოეული სახეობისათვის, პირველ გ.მო-
ცემისაგან განსხვავებით, მოტანილია გვირცყლების პენჭ-
ტები, მთითებულია სახეობის ტიპი, ნ. მისი ღლწერის
ადგილი, ქრონოლოგია რიცხვი და გვარის მტკრის მარ-
ცვლის ძირითადი მორფოლოგიური ნიშნები.

შემდგენელი: ლ. კემულარია-ნათაძე, ა. შხიანი

მთავარი რედაქტორი — ავალემიკის ნ. კეთივალი


გამოცემის რედაქტორები: ი. ლაჩავალი, ლ. კემულარია-ნათაძე, შ. ჭუთათელაძე, ა. ხარაძე
(პასუხისმგ. რედ.)

Составители: Л. М. Кемулиани-Натадзе, А. С. Шхияни

Главный редактор — Академик Н. Н. Кутателадзе

Редакторы издания: Л. М. Кемулиани-Натадзе, Ш. И. Кутателадзе,
И. Я. Лачашвили, А. Л. Харадзе (ответств. ред.)

2—10—5
42—72
M 607



გამომიმუშავება
„800 000 რიგა“
1973

209jz-123-1yh.

2622.

1-893

გინასიტუაცია

„საქართველოს ფლორის“ II ტომი შეიცავს მსხვილი ჯგუფების Ranales, Nymphaeales, Berberidales, Laurales, Piperales, Salicales რიგების ოჯახებს. უმეტეს თანამედროვე ფილოგენურ სისტემებში მრავალბუტკოიანთა წარმომადგენლები დაბალი ორგანიზაციის მაჩვენებელ ნიშანთა კომპლექსის მიხედვით ყვავილვან მცენარეთა პრიმიტიულ ფორმებადაა მიჩნეული, უმთავრესად ოჯახი Magnoliaceae-ს წარმომადგენლები და სხვა. ამ გამოცემაში მათ მარტივსაფრიანებზე წინ ვაყენებთ.

Ranales-ის სისტემა მოტანილია ლ. კემულარია-ნათაძის სისტემის მიხედვით მისივე მონოგრაფიის საფუძველზე და ამდენად „საქართველოს ფლორის“ პირველ გამოცემასთან შედარებით ორიგინალურ და ახალ მასალას შეაცავს.

ახალი ლიტერატურის მიხედვით გადამუშავდა აგრეთვე ლ. კემულარია-ნათაძის მიერ რიგები: Nymphaeales, Berberidales, Laurales, ა. შეინის მიერ ოჯახები: Saururaceae, Salicaceae.

ბოლო დროს გამოქვეყნებულ ცნობარზე დაყრდნობით (Хромосомные числа цветковых растений, 1969, Ленинград) შესაძლებელი განდა ცალკეული სახეობისათვის ქრომოსომთა რიცხვის მითითება. ცნობები ქრომოსომთა რიცხვის შესახებ და მათთვის დამატებითი ლიტერატურის აღნიშვნა შეიძანა მ. დავლიანიძემ.

გვარების აღწერას თან ერთვის მტერის მარცვლის მორფოლოგიური ნიშნები შედგენილი ი. შტეპას მიერ.

სურათები მეორე ტომისათვის შეასრულა მხატვარმა პ. რატკევილმა. ზოგიერთი ტაბულა გაღმოხატულია პირველი გამოცემის III ტომის მიხედვით დ. მცხვეთაძის მიერ.

II ტომში მოთავსებული სისტემატიკური ოჯახები შეიცავს სახალხო მეურნეობისათვის მნიშვნელოვან მცენარეებს, დაწვრილებით ცნობებს მათი გავრცელების პუნქტებისა და ზოგიერთი გეოგრაფიული გავრცელების კანონზომიერებათა შესახებ.

Ranales ოჯახების წარმომადგენლები გამოიიჩინებიან მაღალი დეკორაციული თვისებებით და ალკალინიდების შემცველობით.

ПРЕДИСЛОВИЕ

II том Флоры Грузии содержит семейства порядков многоплодниковых: Ranales, Nymphaeales, Berberidales, Laurales обработанных Л. М. Кемулиария-Натадзе, семейства Saururaceae и Salicaceae из однопокровных, обработанные А. С. Шхиян.

В современных филогенетических системах некоторые многоплодниковые признаны носителями признаков низшей организации среди цветковых растений, наиболее примитивными из которых считаются представители семейства Magnoliaceae.

В этом издании многоплодниковые поставлены в начале системы двудольных растений. За ними следуют однопокровные.

Порядок Ranales переработан Л. М. Кемулиария-Натадзе в соответствии с системой предложенной автором в ранее опубликованной монографии. Подверглись переработке также порядки Nymphaeales, Berberidales, Laurales.

В соответствии с новой литературой обработаны семейства Saururaceae и Salicaceae.

Основываясь на изданной в последнее время сводке (Хромосомные числа цветковых растений, под редакцией Ан. А. Федорова Л. 1969) указываются хромосомные числа для отдельных видов. Эти данные, а также дополнительные указания по литературным источникам составлены М. Т. Давлианидзе. К описанию родов приложены сведения по морфологии пыльцы составленные И. С. Штэпа.

Рисунки для II тома выполнены художником П. Г. Ратишвили. Некоторые таблицы скопированы Д. И. Мцхветадзе с I издания Флоры Грузии (том III).

Многие виды описанные в данном томе являются полезными для народного хозяйства растениями: декоративными, пищевыми, алкалоидными и др. Для большинства видов приводятся пункты произрастания и указаны закономерности их географического распространения.

РЕДАКЦИЯ

რიგი RANALES¹

რიგი Ranales მიღებულია პეჩინსკის (1960) გაგებით, ზოგიერთი ცვლილების შეტანით. კემულარია-ნათაძის (1963, 1966) მიხედვით რამდენადმე შემცირებულია ოჯახ Helleboraceae-ს მოცულობა; გვარი Actaea დამოუკიდებელოჯახადაა ამაღლებული. ოჯახები Podophyllaceae, Nymphaeaceae და Ceratophyllaceae გამორიცხულია რიგი Ranales-ის შემაღენლობიდან.

ამგარად, რიგი Ranales 5 ოჯახისაგან შედგება: Paeoniaceae, Actaeaceae, Cabombaceae, Helleboraceae და Ranunculaceae, ოჯახი Cabombaceae ტროპიკულია და ჩვენში არ იზრდება; დანარჩენი ოჯახები ჩვენში კირგადაა წარმოდგენილი.

კავკასიის რანალების შესწავლა იწყება 1901—1903 წლებში, როდესაც ცნობილ გამოცემაში «Flora Caucasica Critica» ნ. ბუშმა გამოაქვეყნა რიგი Ranales-ის კავკასიის და ყირიმის წარმომადგენლები. შემდეგში ნ. ბუშმი ისევ უბრუნდება კავკასიის რანალების შესწავლას და 1919 წელს თბილისის ბოტანიკური ბაღის სარკვეებში (Определитель растений Кавказа и Крыма) მოათავსა მათი სარკვევი ტაბულა და თვითეული სახეობისათვის დაზუსტებული დააგნოზი. ა. გრისეიმის თავისი «Флора Кавказа»-ს როგორც პირველ (1930), ისე მეორე გამოცემაში (1950) მოყვანილი აქვს ოჯახები რიგების გარეშე. მხოლოდ «Определитель растений Кавказа»-ში 1949 წელს ჩვენ ეხედავთ რიგის დასახელებას. 1966 წ. ლ. კემულარია-ნათაძემ გამოაქვეყნა ამ რიგის კავკასიის წარმომადგენლები.

1. ნაყოფი ერთი თესლითა — თესლურა ან კაკლუტა. ყვავილი ორმაგი ან მარტივი ყვავილსაფრითაა. ხმელეთის ან იშვიათად წყლის (გვარი Batrachium) მცენარეებია 28. Ranunculaceae Juss.
- ნაყოფი მრავალი თესლითაა. ნაყოფი მშრალი ფოთლურაა ან წვნიანია, ხორცოვანი, კენკრასებრი. ხმელეთის მცენარეებია 2
2. ნაყოფი წვნიანი კენკრასებრი ფოთლურაა, მრავალთესლიანი. ნასკვი ერთია და ერთი ნაყოფის ფოთლისაგან შედგება. ყვავილები პატარა ზომისაა, თეთრია და შეკრებილია კენჭრულ მტევნად. ფოთლები ფრთი-სებრ ორმაგ ან სამმაგ ნაკვთებადაა დაყოფილი 26. Actaeaceae Kem.-Nath.

- ნაყოფი მშრალი ფოთლურაა, თხელი ან მსხვილი გახევებული კანით (ცერიქარპიუმით). ყვავილი, ჩვეულებრივ დიდი ზომისაა და სხვადასხვა ფერის, შეკრებილია ყვავილედში ან მარტოულია 3

¹ ფამილია ლ. კემულარია-ნათაძემ.



3. ყვავილი აქტინომორფულია, ორმაგი ყვავილსაფრით, ჯამის ფოთლები აშერა ფოთლისებრია, ჩვეულებრივ არათანაბარი. ნაყოფი მრავალფეხულიანი, გახევებული ფოთლურაა

25. **Paeoniaceae Rudolphi**

— ყვავილი აქტინომორფულია ან ზიკომორფული, მარტივი ან ორმაგი ყვავილსაფრით, სანექტრებით ან სანექტრები არ აქვს. ნაყოფის ფოთლები თავისუფალია, ძირში ან სვეტამდე შეზრდილია. ნაყოფი მრავალფეხულიანი, თხელყანიანი ფოთლურაა

27. **Helleboraceae Spach**

ოჯახი 25. PAEONIACEAE RUDOLPHI — ოორდასალაშისგრნი

ყვავილი აქტინომორფულია, ორმაგი ყვავილსაფრით. ჯამის ფოთლები ფოთლისებრია ქლიერ არათანაბარი და ორგორც გვირგვინის ფურულები სპირალურადა განლაგებულია. მტკრიანა მრავალია, თავისუფალი. ბუტკოები თავისუფალია, 2—5 (10) რაოდენობით; ნასკვი ზედაა, ღინგი ბზტყელია, ხორცოვანი და შეფერილი. ნაყოფი ფოთლურასებრია ჯერ ხორცოვანი, შემდეგ ძლიერ გახევებული გარეთა პერიკარპიუმით. თესლი ხორცოვანი დანამართაა (არილუსი); თესლების გარეთა ინტეგუმენტი შეინითაშე გრძელია.

დიდი ზომის მრავალწლოვანი მცენარებია ან ბუჩქებია (ზოგიერთი იაპონური და ჩინური სახეობა), მორიგეობითი ორმაგ-სამშავ განკვეთილი ფოთლებით.

შენიშვნა ა. ოჯახ *Paeoniaceae*-ს დამოუკიდებლობა ჯერ კიდევ გრძმანელმა ბოტანიკოსებმა რუდოლფიმ და ბარტლინგმა 1830 წ. დაადგინეს და მოიყვანეს „Ordo“-ს სახელწოდებით; ინგლისელმა ბოტანიკოსმა ვურსლელმა 1908 წ. პირველად — ოჯახის (*Familia*) სახელწოდება იხმარა. საბჭოთა ბოტანიკოსებიდან ამ შეხედულებას კემულარია-ნათაძის გარდა (1948, 1958) იზიარებს ტახტაჯიანი (1952, 1954) და იაკოვლევი (1955); ტახტაჯიანი და იაპონელი ბოტანიკოსი ნაკაი 1966) ამ ოჯახს განცალკევებულ რიგში განიხილავთ; უმრავლესობა კი მას ქვეოჯახის ან ტრიბის სახით ბაიასებრთა ოჯახს უქვემდებარებს; მაგრამ გარდა მორფოლოგიური ნიშნებისა, ანატომიურმა, ცეტოლოგიურმა, ემბრიოლოგიურმა, (ბიოქიმიურმა მონაცემებმა და ბოლოს მტკრის მარცვლის შესწავლამ ცხადყო მისი ცალკე ოჯახად გამოყოფის სისწორე (იხ. ლ. კემულარია-ნათაძე, 1958, 1963, 1966).

ოჯახი წარმოდგენილია ერთი გვარით და 45 სახეობით, რომელიც გავრცელებულია კავკასიაში, აზიას, ევროპის და ჩრდილო აშერის მთიან ქვეყნებში.

ტრიბი 1. Paeonieae (Benth. et Hook.) Kem.-Nath.

გვ. 1. PAEONIA L. — ოორდასალაში

ყვავილი მარტოულია, დიდი ზომის; ჯამის ფოთლები ნაყოფობისას დიდხანს არ ცვივა, ფოთლისებრია, ხშირად ჯამის ქვედა ფოთოლი ზედა ღეროსეული ფოთლების ნაკვეთების მხგავსია; გვირგვინის ფურცლები დიდი ზომისაა, ყვითელი, მოთეთრო-მოყვითალო, მეწამული წითელი, წითელი ან ვარ-

დისფერი. მტვრიანა მრავალია, თავისუფალი, მტვრიანას ძაფები თავისუფალია, გრძელი, შეფერილი; სამტვრები ყვითელია ან ნარინჯისფერი მუჭათა შიშველია ან ქეჩისებრ შებუსვილი. ნაყოფი ღიღი ზომისაა, შემცირებული ბად გადახრილია ან ქვევით დაკიდებული, უფრო იშვიათად მოკლეა, კვერცხისებრი ან ოვალური, თითქმის სწორია; თესლი ხორცოვანია, შავი, მოლურჯოშავი ან წითელი. მტვრის მარცვლები თითქმის სფეროსებრია, სამღარიანია, თითოეული ღარი შუაში ფორმისებრი ზონით; ეგზინის ზედაპირი თითქმის საღაა, წვრილბადისებრი მოხატულობის; მტვრის მარცვლების ღიამეტრი 28—48 მილიმეტრია.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. გვარი *Paeonia* მონოგრაფის სტერნის (Stern, 1956) მონაცემებით მოიცავს 45 ტაქსონს (ქვესახეობების და სახესხვაობების ჩათვლით).

კავკასიაში იზრდება ამ გვარის 12, ხოლო საქართველოში 9 სახეობა, ამათგან 7 შეიძლება ენდემურ სახეობად ჩათვალის.

1. ფოთლები განკვეთილია ვიწრო ხაზურ-ლანცეტა, ხაზურ ან თითქმის ძაფისებრ ნაკვეთებად. ნასკვი და ნაყოფი ყოველთვის შებუსვილია. ნაყოფი მოკლეა და ოდნავ გადახრილია ან თითქმის სწორმდგომია . . . 2 — ფოთლები განკვეთილია ფართო (უკაკვერცხისებრი, კვერცხისებრი, ოვალური) კიდემთლიან ნაკვეთებად. ნასკვი და ნაყოფი შიშველია ან შებუსვილია. ნაყოფი გრძელია განხე ძლიერ გადახრილი ან თითქმის დაკიდებული 4.
2. ფოთოლი ორმაგ-სამმაგ ფრთისებრ განკვეთილია ან დაყოფილია ვიწრო ლანცეტა 5—10 მმ სიგანის ნაკვეთებად. ყვავილი ღიღი ზომისაა მოწითალო-გარდისფერი 8. *P. Majko* Ketzch.
— ყვავილი მეწამული ფერისაა ან მუქი წითელი, უფრო პატარა ზომისაა. ფოთოლი მრავალჯერაა განკვეთილი ვიწრო ხაზურ ნაკვეთებად . . . 3
3. ყველა ფოთლის ნაკვთი ერთნაირია, ვიწრო ხაზური, 1—2 მმ სიგანის. ვიზ-ვინის ფურცელი ოვალურია, ნასკვის და ნაყოფის შებუსვა ჩვეულებრივ წითელია 10. *P. tenuifolia* L.
— ქვედა ფოთლების ნაკვეთები უფრო ფართოა, ვიდრე ზედა ფოთლების, 2—3 მმ სიგანის. ვიზ-ვინის ფურცლები ძირში ჩვეულებრივ სოლისებრ შევიწროებულია. ნასკვი და ნაყოფი მორტხო-მოყვითალო შებუსვითაა 9. *P. carthalinica* Ketzch.
4. ყვავილი წითელია, მეწამული წითელი ან ვარდისფერი. ნასკვი და ნაყოფი ყოველთვის ქეჩისებრშებუსვილია 5
— ყვავილი ყვითელია, ბაცი ყვითელი, მოყვითალო-თეთრი ან ოდნავ მოვარდისფრო-მოყვითალოა. ნასკვი და ნაყოფი შიშველია ან ქეჩისებრშებუსვილი 7
5. ფოთოლი ორივე მხარეზე მწვანეა, პრიალა, შიშველი ან ქვედა მხარეზე ყველე მონაცრისფრო შებუსვითაა; ფოთლის ნაკვეთები მოკლე ყუნწითაა, მოკლე და ფართო ოვალური ან თითქმის რომელისებრია, ორივე ბოლოში მოკლედ შევიწროებულია. ვიზ-ვინის ფურცლები მოვარდისფრო-მოწითალოა, ოდნავ ჩაზნექილია; მტვრიანების ძაფები და ღინგი ხორცისფერ წითელია . . . 5. *P. Ruprechtiana* Kem.-Nath.
— ფოთოლი ზედა მხრიდან მწვანეა, ქვედა მხარე ან ორივე მხარე ლეგაა, შიშველია ან ქვედა მხარეზე შებუსვილია 6

6. ყვავილი ვარდისფერია, ფართოდ გადაშლილი. ფოთოლი მოყვითალო ელიფსურია, ორივე ბოლოში მოკლედაა შევიწროებული, უკუჭარით გადაშლილი ელიფსურია, ორივე ბოლოში მოკლედაა შევიწროებული, უკუჭარით გადაშლილი არ არის.
- ყვავილი წითელია, მეტამული წითელი, ფართოდ გადაშლილი არ არის. ფოთოლი უხეშია, მკეთრად გამოხატული მთავარი ძარღვით 6. *P. caucasica* N. Schipcz.
7. ნასკერი და ნაყოფი შიშველია; დინგი მკეთრად გამოხატული გრძელი სვეტითა 8
- ნასკერი და ნაყოფი ქეჩისებრი შებუსვითა; დინგი თითქმის მჯდომარევა 9
8. ყვავილი ფართოდაა გადაშლილი, ვვირვინის ფურცელი მოყვითალო-თეთრია, უკუჭერცხისებრი. ფოთოლი ორივე მხარეზე თითქმის ერთი ფერისაა, მწვანე, ხშირად ზედა მხარე პრიალა, შიშველია ან ქვედა მხარე შებუსვილი და მონაცრისფროა, დიდი ზომისაა, ოვალური ან ფართო უკუჭერცხისებრი, ძირთან გრძლად შევიწროებული 1. *P. macrophylla* (Alb.) Lomak.
- ყვავილი არ არის ფართოდ გადაშლილი, ვვირვინის ფურცელები ყვითელია. ფოთოლი ზედა მხარეზე მწვანეა, შიშველი, ქვედაზე მონაცრისფროა თეთრი ბუსუსებისაგან, ვვირდითი და ხშირად წვერის ნაკვეთბი, კუერცხისებრია, ძირთან თითქმის გულისებრ ამოკვეთილი ან მომრგვალი 2. *P. Steveniana* Kem.-Nath. (*P. Wittmanniana* Stev.).
9. ფოთოლი ორივე ან ქვედა მხარეზე ლეგა, შიშველი ან ქვედა მხარეზე შებუსვილია ძალიან წვრილი (*შეუიარალებელი* ოვალით ძნელად შესამჩნევი) ბუსუსებით; მისი ნაკვეთები უკუჭერცხისებრია, ძირთან გრძლად შევიწროებული. ყვავილი და მტვრიანას ძაფი ყველია, მომწვანო ელფერით, დინგი ვარდისფერია ან მოყვითალო 4. *P. Mlokosewitschii* Lomak.
- ფოთოლი ორივე მხარეზე მწვანეა, შიშველი ან ქვედა მხარეზე გაბნეული შებუსვით, მისი ნაკვეთები ოვალურია. ყვავილი მოყვითალო-თეთრია, ვვირვინის ფურცელები ოვალურია, ფართო ძირთო, ოდნავ ჩაზნექილია. მტვრიანას ძაფის და ნასკერის შებუსვა მეტამული წითელია 3. *P. Wittmanniana* Hartwiss (*P. abchasica* Misz.)
- შენიშვნა. იორდასალამი პირველად მოხსენებული აქვს ჯერ კიდევ ჩვენ წ. ა. 372—287 წ. ფილოსოფოსს თეოფრასტეს.

იორდასალამი მოყვითალო სხვადასხვა ღროს გამოცემულ სამეცნიალო წიგნებში სხვადასხვა სახელწოდებით, მაგრამ ვვარი *Paeonia* მეცნიერულად დადგენილ იქნა 1753 წელს, როდესაც ლინემ *P. officinalis*-ი ორი ფორმით მოყვანა: var. *femina* და var. *mascula*.

ვვარის დაყოფა სექციებად პირველად დეკანდოლმა (1824) მოგვცა: ამ ვვარის ფარგლებში მან დაადგინა 2 სექცია: Sect. *Moutan* ბუჩქისებრი წარმომადგენლებით (ჩინეთი) და Sect. *Paeon* მრავალწლოვანი სახეობებით (კვერაზის მთანი ქვეწები).

შემდგომ ბოტანიკოსთა უმრავლესობა ეყრდნობოდა დეკანდოლის დაყოფას ზოგიერთი ცვლილებების შეტანით. აյ ჩვენ მოგვყავს იორდასალმის სექციები ლ. კემულარია-ნათაძის მიხედვით (1961).

სექცია 1. *Flavonia* Kem.-Nath. — ყვავილი ყვითელია, მოყვითალო-მოფარდისფრი, გაშრობისას ყვითლდება (ყვითლები პინ-მენტი ფლავონის გამ). ფოთლები ფართო ნაკვებითაა. ნაკვები და მარტინიუსის ველია ან ქეჩისებრშებუსვილია.

სექცია *Flavonia*-ს ჭარმომდგრენლები გავრცელებულია კავკაზი, აზიის მთათან ქვეყნებში და იაპონიაში.

მწერვი 1. *Macrophyllae* Kem-Nath. — ნაკვები და ნაყოფი შიშველია. ყვავილი მოთეთრო-მოყვითალო ან ყვითელია. გვირგვინის ფურცლები უცკვერცხა-სებრია. ფოთლის ნაკვები ოვალურია, ორივე ბოლოში შევიწროებული ან ძირში თითქმის მომრგვალია.

O. 1. P. *macrophylla* (Albov) Lomak. Тр. Тифл. бот. сада II (1897) 282; Липский Ф.Л. Кавк. (1899) 213; Комаров и Шипчинск. во фл. СССР VII. (1930) 30. Кемулярия-Натадзе в Тр. Тбил. бот. инст. АН ГССР XXI (1961) 19; კემულარია-ნათაძე საქ. მცენ. სარკ. I (1964) 62. — P. corallina var. Wittmanniana f. *macrophylla* Albov Prodr. (1895) 15. — P. Wittmanniana var. *macrophylla* (Albov) N. Busch in Fl. Cauc. Crit. III, 3, (1901) 13, 14; Гросг. Ф.Л. Кавк. II (1930) 91; Опред. (1949); Фл. Кавк. 2, IV (1950) 13; Stern Roy. Hort. Soc. (London) (1949) 61; კემულარია-ნათაძე საქ. ფლორა IV (1958) 6.

4.-დიდი ზომის მცენარეა სიმაღლით 150 სმ-მდე, ღარისტებული გახვევებული ფესვებით და ფესვის ოდნავ თითქმისტარისებრი გამსხვილებით; ღერო ღარებიანია, წახნაგებიანი, ხშირშეფოთლილი; ფოთლები ორივე მხარეზე მწევნეა, თითქმის ერთი ფერის ან ზედა და ქვედა მხარეზე პრიალა, შიშველი ან ქვედა მხარეზე ძარღვების გაყოლებით ბუსსებიანი; ფოთლის ნაკვები ელიფსურია, მოკლეწვეტიანი, ძირში გრძლად შევიწროებული ან მომრგვალებული. ყვავილი დიდი ზომისაა, ფართოდაა გადაშლილი, გვირგვინის ფურცლები უკუკერცხისებრია, მოყვითალო-მოთეთრო; სამტკრები ყვითელია, მათი ძაფები მეწამული წითელი ფერისაა; ნაკვები გრძლია მოგრძოკვერცხისებრი ან თითქმის ცილინდრული, შიშველი; დინგი ისტერია ან ხორცისფერ წითელი, ასიმეტრიულია, ცალ მხარეს გადახრილი, მომწიფებული ნაყოფი ქვევითეკნ ღლნავ გადახრილია; თესლი მომრგვალოა, მსხვილ-ბადისებრად დანაკვებული.

ტიპი: აჭარა, დაღმართი მდ. ჩაქვის თავიდან სოფელ აგარასკენ, 800—1000 მ ზღვის დონიდან, 14.VII.1893. ნ. ალბოვი.

ინტეგრა ტყის ზედა სარტყლიდან სუბალპურამდე, ტანბრეცილი ტყეების ველობებზე, მდიდარ ფეხიერ ნიაღავებზე და კირქვიანებზე.

საქ. სარ.: აფხ.: გაგრა (შავროვი); სვან.: დაღიანის ქედი (აკინფორი); სამეგრ.: მთა ოხაჩუე (კემულარია-ნათაძე), ქუთათელაძე, მანდენოვა და მიქელაძე, მთა ჯვარი (ალბოვი; ხინთიბიძე და მიქელაძე), მთა მიგარია (ე. და მ. სოხაძე; ხინთიბიძე, მიქელაძე), მთა ასხი, (კემულარია-ნათაძე, ხინთიბიძე, მიქელაძე); რაჭა-ლეჩხ.: მთა ხეიმლი (კემულარია-ნათაძე, ხინთიბიძე, მიქელაძე), ს. ხრეითა და საწალივეს ქედზ შორის (ს. სოხაძე), ნაქერალის ქედი, გადასასვლელთან (ბუში, კემულარია-ნათაძე, ა. ქუთათელაძე), ნაქერალის ქედი, ვიშკარისთან (კემულარია-ნათაძე, გ. ტიშინაძე); იმერ.: სოფ. ფარცხნალ-



თან, თხმელარის უბანში (ბუაჩიძე); კურ.: სომლიას მთა (ალბოვი; ე. ჭიქოვა), ბახმარო, ზორთიყელი (ალბოვი; ე. ჭიქოვა), გადასასელელთან, გომის შენიშვნელები ლუხხანოვი და კაზაროვი); აჭარ.: დაბომართი მდინარე ჩავერის თავიდან მარჯულებულის რასაცენ (ალბოვი). კულტივირებულია თბილისის ბორტანიკურ ბაღში (ფომინი), ბაკურიანის ბორტანიკურ ბაღში (კოზლოვსკი).

შენიშვნა. 1893 წ. ნ. ალბოვმა აჭარიდან აწერა P. Wittmanniana-ახალი ფორმა, ხოლო სახეობა P. Wittmanniana თავის მხრივ დაუქვემდებარ წითელყვავილიან იორდასალმის. 1897 წელს ლ. ლომაიანმა ალბოვის მიერ გამოყოფილი ფორმა, დამოუკიდებელ სახეობამდე აამაღლა და სრულიად სამართლიანად გამოყო კავკასიის წითელყვავილიან იორდასალამისაგან. მომდევნო ბორტანიკოსების უმრავლესობა სახეობა P. macrophylla-ს განიხილავდა, როგორც P. Wittmanniana Hartwiss-ის სახესხვაობას. 1942 წ. „საქართველოს ფლორის პირველ გამოცემაში მ მოსაზრებას ჩეც ვიზიარებლით. ახალმა მდირარმა მასალაშ დაგვარწმუნა (1961), რომ P. macrophylla Lomak. P. Wittmanniana Hartwiss-ისაგან განსხვავებული დამოუკიდებელი სახეობაა.

O. 2. P. Steveniana Kem.-Nath. Tp. Тифл. бот. инст. АН ГССР XXI (1961) 20, საქ. მცენ. სარკვ. I (1964) 62. — P. Wittmanniana Stev. in Bull. Soc. Nat. Mosc. Ser. III (1848) 275; Boiss. Fl. Or. 1 (1867) 97 pp.; Rupr. Fl. Cauc. (1869) 46; N. Busch in Fl. Cauc. Crit. III, 3, (1901) 12, (1903) 224; Гросер. Фл. Кавк. II (1930) 91; Комаров и Шинчикинск. во Фл. СССР VII (1937) 29; Колак. Фл. Абхазии II (1937) 121; კემულარია-ნათაძე საქ. ფლორა IV, (1948) 5. — P. Wittmanniana var. nudicarpa Schipez. in Not. Sys. Hort. Bot. Petrop. 2. (1921) 44; Stern Journ. Roy. Hort. Soc. I (1946) 59; Гросер. Фл. Кавк. 2, IV (1950) 12.

4. დიდი ზომის მცენარეა სიმაღლით 100 სმ-ზე მეტია; ფესურა დატოტვილია, ახსიათებს რუხი, გრძელი, ვიწრო თითოეურარისებრი ფესვის დანამარტები, ღერო მაგარია და ხშირშეფოთლილი; ფოთოლი ორჯერ, სამმავ განკვეთილი, ზედა მხარეზე მწვანეა, შიშველი, ქვედა მხარეზე ხშირ ბეწვებისაგან მონაცემსფრია; მისი ნაკვეთი უკუკვერცხსისებრია, მოგრძო თვალური; ან კვერცხსისებრი, ორივე ბოლოში შევიწროებული ან მომრგვალებული ან ძირში თითქმის გულისებრია. ყვავილი ფართოდ არ არის გადაშლილი; ჭამის ფოთლები არათანაბარია; გვირგვინის ფურცლები ყვითელია, უკუკვერცხსისებრი, ძლიერ ჩაზნექილი; მტვრიანების ძაფები და სამცვრე ყვითელია; ნასკვი შიშველია მოგრძო-კვერცხისებრი, თანდათან გადადის სვეტში; დინგი ძლიერ ასიმეტრულია, მოწითალო-იისფერია ან ხორცისფერწითელი. ნაყოფი მოგრძო-კვერცხისებრია, განხე გადახრილი, შიშველი; თესლი მოლურჯო-შავია. V. 2n=20. (სურ. 1, 4).

ტიპი: ქართლსა და ახალციხეს შორის, აწყურთან ტყით დაბურულ ხეობაში, 1840, ეტმანი. (sub P. Wittmanniana Stev.) ინხება ლენინგრადში.

იზრდება ტყის ზედა სარტყელში, ტყის პირებში, ბუჩქნარებში. საქ. სარ.: ქართ.: ბორჯომის მიდამოებში (ცედვედევი; ფომინი; სოსნოვსკი), საკოჭავა (კოზლოვსკი; კემულარია-ნათაძე); ბარნაბიშვილი; ღუმბაძე; ჩხაიძე), ბანისხევი სოსნოვსკი; კოზლოვსკი); ბაკურიანის მახლობლად „მხერი“ (კოზლოვსკი); სამხრ. ას.: წიფლნარში ქოზაითს და ერწოს შორის (კუზნეცოვი), ხოდებორი,

მთა სირხ-ლებერტი,
ლომაკინი, ფომინი).

ଶାର୍ଦ୍ଦି (ଶାର୍ଦ୍ଦିମନୀ)
କରନ୍ତରାଜ୍ୟ
ଶାର୍ଦ୍ଦିଗରିବା

შენიშვნა: აღნიშნული სახეობის სახელშოდებით უფრო აღრე (1856 წელ) იყო აღწერილი სხვა იორდასალამი, ამიტომ ამ სახეობას სტევენის საპატივ-დომულოდ ახალ სახელშოდებას ვაძლევთ.

მწერივი 2. Wittmannianae (Stern) Kem.-Nath. — ნასკვი და ნაყოფი ქეჩის
სებძრ უეპულენისა.

Q. 3. P. Wittmanniana Hartwiss ex Lindl. Bot. Regist. 32 (1846) 9.

Гросг. Опред. (1949) 44; Фл. Кавк. 2, IV (1950) 12 pp.; Кем.-Нат. в Тр. Тбил. бот. инст. АН ГССР XXII (1961) 22, კემულარია-ნათაძე საქ. გცენ. სარკვ- I (1964) 63. — *P. Wittmanniana* auct. cauc. pp. — *P. abchasica* Misch. в Гросг. Фл. Кавк II (1930) 92; Шипчинск. во Фл. СССР VII (1937) 33; კე- მულარია-ნათაძე საქ. ფლორა IV (1948) 6. — *P. tomentosa* Kolak. (non Busch) Фл. Абхазии IV (1939) 121.

4. მცენარე 80—100 სგ სიმაღლისაა, ფესურა დატოტვილი, იყითარებს პატარა ზომის თითოესტარისებრ გამსხვილებულ ფესვებს; ფოთოლი ორმაგ სამფოთოლავიანია, ორივე მხარეზე მწვანე, შიშველი ან ქვედა მხარეზე შებუსვილი; ფოთლის ნაკვეთები უკუკვერცხისებრია, წაწვერებულია ან მობლაგვო, ძირთან თანდათან შევიწროებული. ყვავილი ფართოდაა გადაშლილი; ჯამის ფოთლები ხშირი შებუსვითაა; გვირგვინის ფურულები მოყვითალო-მოთეთრია, ოვალური ან ორივე ბოლოში თითქმის მომრგვალებული; სამტკრები ყვითელია, მტკრიანების ძაფები მეწამული წითელია; ნასკვი მოგრძო კვერცხისებრია ხშირი მოყვითალო ქეჩისებრი შებუსვით; დინგი მეწამული წითელია, თითქმის მჯდომარე. ნაკოფი ქეჩისებრ შებუსვილია, მოგრძო კვერცხისებრი, გადახრილი; თესლი შეგაი. IV—V. 2п=20 (სურ. 1, 3).

აწერილია ჩისვისის (ინგლისში) აგრძნომზული სახოგადოების ბალში კიტანის მიერ აფხაზეთში უცემრვილი მცენარის ფესურიდან აღმოფენებული ცოცხალი ეგზემლარების მთხელვით. ინახება ლონდონში.

ପ୍ରକାଶକ ମହିନେ ଶ୍ରୀ ସାରଳ୍ୟାଲ୍ପିନୀ, ପ୍ରକାଶକ ମହିନେ ଶ୍ରୀ ପାତ୍ରଜିତାର୍ଯ୍ୟାମ୍ ଏବଂ ପାତ୍ରଜିତାର୍ଯ୍ୟାମ୍-ରୁଦ୍ରପାତ୍ରଙ୍କିଷ୍ଣ.

საქ. სსრ: აფხ.: შემცირდა მთა აჩხა; ახუპაჩი, აპანჩა (კორონვი; დუმბაძე), ბზიაფის ხეობა, სოხუმიდან 12 კმ-ში რიწვეს ტბისაკენ მიმავალი შოსე (ფურცელის ნიბიდე), გაგრას მიდამოები (გუსევი).

შენიშვნა: 1846 წელს (Lindley Botanical Register-ში) გამოქვეყნდა ყვითელყვავილიანი ორჩას აღაში *P. Wittmanniana* Hartwiss-ის სახელწოდებით. 1848 წელს სტევენმა ანალოგიური სახელწოდებით აღწერა ყვითელყვავილა იორდასალაში მესხეთიდან კოტანის მასალით (ქართლსა და ახლოცანებს კილა იორდასალაში მესხეთიდან კოტანის მასალით (ქართლსა და ახლოცანებს შორის აწყურის მახლობლად მდებარე ხეობიდან). შემდგომში ამ ორ სახეობას ერთმანეთში ურევდნენ, ხოლო ბოლო ღროს კავკასიის ყველა იორდასალაში ყვითელი ყვავილი (ლაგოდების *P. Mlokosewitschii*-ს გარდა) გაერთიანდა *P. Wittmanniana*-ს სახელწოდებით.

სრულიად აქვთა, რომ პაროვისმა და სტევენმა სხვადასხვა ღრის და
სტადიონებში გამოიწვია მიერ (ვიტმანის) ალებული ორი

განსხვავებული სახეობა ერთი სახელწოდებით აღწერეს. მაგრამ უმცირეს მცენა
რომ იორდასალამი აფხაზეთიდან აწერილია უფრო ადრე, პრივატული მცენა
თანაბმად ჰართვისის სახეობა აფხაზეთიდან ინარჩუნებს პირველ სახელწო-
დებას, ხოლო სტევენის სახეობას შეცუცვალეთ სახელწოდება.

○. 4. P. Mlokosewitschii Lomak. Tr. Тифл. бот. сада II (1897) 282; Ли-
пский Фл. Кавк. (1899) 213; N. Busch in Fl. Cauc. Crit. III, 3, (1901) 14;
Гроссг. Фл. Кавк. II (1930) 91, 2, IV (1950) 13pp., Опред. (1949) 14; Комаров
и Шипчинск. во Фл. СССР VII (1937) 26; Stern Journ. Roy. Hort. Soc.
(1946) 56; კემულარია-ნათაძე საქ. ფლორა IV (1948) 5; კემ.-ნათ. в Тр. Бот.
инст. АН ГССР, XX (1961), კემულარია-ნათაძე საქ. მცენ. I (1964) 62;

4. მაღალი მცენარეა, 50—100 სმ სიმაღლის, გახევებული, დატოტვი-
ლი ფესურით და ოდნავ გამსხვილებული თითისტარისებრი ფესვებით. ღერო
ქლიერ შეფოთლილია; ფოთოლი ორმაგ სამფოთოლაკიანია ან ზედაა სამფო-
თოლაკიანი, იშვიათად სულ ზედა ფოთოლი მთლიანია; ორივე მხარეზე ან
ქვედა მხარეზე ლეგაა ან მოლეგო მწევნეა, ზიშველი ან ქვედა მხარეზე
შებუსვილი ძალიან წვრილი მოკლე ბეჭებით; ფოთლის ნაკვეთი უკუკერ-
ცხისებრია ან მოგრძო უკუკერცხისებრია, წვერში მომრგვალებული ან მოკ-
ლედ წაწვეტებული, ძირთან შევიწროებული. ყვავილი ფართოდ არ არის
გადაშლილი, გვირგვინის ფურცლები ჩაზნექილია, ოვალური, მოკლე და
ფართო ფრჩხილითაა, მოყვითალოა, ხშირად გამოშრობის შემდეგ კიდეზე მომ-
წვანია; სამტვრები და მტვრიანების ძაფები ყვითელია; ღინგი ვარდისფე-
რია, ზოგჯერ მოყვითალო, მჯდომარე, თითქმის სიმეტრიულია; ნასკვი და
ნაყოფი მოყვითალო ქეჩისებრშებუსვილია. თესლი მომრგვალოა, მოლურ-
ჯო-შავი, დანაოჭებულია მსხვილბადისებრად. IV—V. 2n=10 (სურ. 1, 2).

აღწერილია თბილისის ბოტანიკური ბალის კავკასიის ცოცხალი მცენარე-
ების კოლექციიდან, მლოკოსევიჩის მიერ ლაგოდებიდან გამოგზავნილი მასა-
ლიდან აღმოცენებული მცენარეების მიხედვით.

იზრდება მთის შუა სარტყლიდან ზედა სარტყლამდე, ტყეში, ქვიან ფერ-
დობებზე.

საქ. სსრ: კახეთი: ლაგოდების ხეობა, კუდიგორას ფერდობებზე (მლო-
კოსევიჩი; ფომინი; კენიგი; კაპელერი, კემულარია-ნათაძე; დოლუხანოვი და
კაზაროვა); ქიზ.: შირაქი (შრედერი; კეცხოველი).

სსრკ-ის დანარჩენი ნაწ.: დაღესტანი, ანდიის ყოისუს სათავეები (დოლუ-
ხანოვი და კაზაროვა).

შენიშვნა: ამ სახეობასთან აიგივებენ თალიშის ყვითელ იორდასალმის (P. tomentosa), რაც სრულიად უსაფუძლოა: თალიშის იორდასალმის ახასიათებს
ქვედა მხრიდან გრძელი ბუსუსებისაგან მონასცრისფროდ შეფერილი მევეთრად
გმირხატული ძირლვებიანი უხეში ფოთლები; ფოთლის ნაკვეთი კვერცხისებრია
ან ფართოვალური, ძირთან კი თითქმის გულისებრი ან მომრგვალებული. ყვა-
ვილი ფართოდაა გადაშლილი და გვირგვინის ფურცლები ოდნავ ჩაზნექილი;
გვარცელებაც სხვადასხვაა. რაც შეეხება იმ სურათებს, რომელიც მოთავსებულია
გრისტემის «Флора Кавказа» (1950) და «Флора Азербайджана»-ში (1953),
მათ საერთო არაფერი აქვთ ლაგოდების იორდასალმთან, რადგან სურათები
გადალებულია თალიშის იორდასალმის P. tomentosa-ს ეგზემპლარებიდან.



სექცია 2. *Paeonia* — ფოთლის ნაკვთები ფართოა, კიდემთლიანია ხერხი დანაკვთული. ყვავილი წითელია, შეჭამული წითელი ან ვარდისფერი შეჭამულია ფიტოგრაფიული ფრინველია, ქეჩისებრშებუსვილი.

მწერიე 1. *Masculae* (Stern) Kem.-Nath. — ყვავილი წითელია ან ვარდისფერი. ფოთლის ნაკვთები ფართოა და კიდემთლიანი.

○. 5. *P. Ruprechtiana* Kem.-Nath. Тр. Тбил. Бот. инст. АН ГССР, XXI (1961) 28; კემულარია-ნათაძე საქ. მცენ. სარკ. I (1964) 62.—*P. corallina* var. *triternata* f. *coriifolia* Rupr. Fl. Cauc. (1869) 46. — *P. corallina* ssp. *triternata* var. *coriifolia* (Rupr.) Busch in Fl. Cauc. Crit. III, 3 (1901—1903) 12. — *P. caucasica* var. *viridifolia* Kem.-Nath. во Фл. Груз. IV (1948) 7.

4.50—100 სმ სიმაღლის მცენარეა, ღარისტვილი მსხვილი ფესურით და ვიწრო თითისტარისებრი ფეხვის გამსხვილებებით; ღერო სქელია, ოდნავ დაკლაკნილი, წანაგებიანი, ხშირშეფოთლოლი; ფოთოლი ორჯერ სამაღლანაკვთულია ან სულ ზედა სამფოთოლაკიანია, ტყავისებრია. ორივე მხარე-დანაკვთულია ან სულ ზედა სამფოთოლაკიანია, ტყავისებრია. ორივე მხარე-ზე თითქმის ერთი ფერის, მწვანეა და პრიალა; ფოთლის ნაკვთები ფართო უკუკვერცხისებრია ან თითქმის რომბისებრია, წვერში და ძირთან მოკლედ შევიწროებული, გვერდითი ნაკვთები ძირთან მოკლე, ყუნწისებრ შევიწროებული, ყვავილი ფართოდაა გადაშლილი, მოვარდისფრო-წითელია; გვირგვინის ფურულები ფართო უკუკვერცხისებრია, წვერთან ტალღისებრ დაკბილული; სამტვრები ყვითელია, ხოლო ძაფები წითელი; ნასკვი მოგრძობილული; სამტვრები ყვითელია, ხოლო ძაფები წითელი; ნასკვი მოგრძობილული; კვერცხისებრია ოქროსფერი ქეჩისებრ შებუსვით; დინგი წითელია ფართო ძირით და ცალმხარეზე დახვეული ვიწრო წვერით. ნაყოფი მოგრძობილული და გადახრილია, მოყვითალო ქეჩისებრი შებუსვით. IV—V.

ტიპი: იმერეთი, სოფ. ფარცხნალის ახლოს მდებარე თხმელარის ხევი იზრდება მთის შეუ სარტყლის ტყეებში, ხევებში.

18.IV.1916. ი. ბუაჩიძე.

საქ. სსრ: იმერ.: ხარაგოული სოფ. ფარცხნალთან მდებარე მთაზე (ბუაჩიძე); ქართ.: ბორჯომი (რადე; კოზლოვსკი); პეტრეს-ციხე (რადე; კოზლოვსკი); ბანისხევი, ლიკანის ხეობაში (კოზლოვსკი).

შენიშვნა: ქერ კიდევ რუპრეხტმა (1869) გამოთქვა მოსაზრება, რომ *P. triternata* f. *coriifolia* შეიძლება დამოუკიდებელ სახეობად გამოიყოს. ეს ფორმა რუპრეხტმა აღწერა გ. რადეს მიერ ბორჯომში შეგროვილი ეგზებლარების მიხედვით; შემდგომში ეს მცენარე შეაგროვეს 1922—1923 წ. კოზლოვსკიმ ბანისხევის და ლიკანის ხეობაში, ხოლო უფრო იდრე 1916 წ. ი. ბუაჩიძემ ხარაგოულის რაიონის სოფ. ფარცხნალის ახლო მდებარე თხმელარის მთაზე.

ამ სახეობის არეალი გერგერობით მოიცავს ბორჯომის ხეობის დასავლეთს და მასთან მოსაზღვრე იმერეთის ნაწილს.

○. 6. *P. caucasica* Schipcz. во Фл. СССР VII (1937) 28; კემულარია-ნათაძე საქ. ფლორა IV (1948) 6; Кем.-Нат. Тр. Тбил. Бот. инст. АН ГССР, XXI (1961) 30; კემულარია-ნათაძე საქ. მცენ. სარკ. I (1964) 62. — *P. corallina* Retz. var. *caucasica* Schipcz. Notul. Syst. Hort. Bot. Petrop. 2, (1921) 45.—

P. corallina auct. cauc.—P. triternata auct. cauc. pp.—P. kavachensis Grossh.
(non Aznav.) Опред. (1949) 44; Фл. Кавк. 2. IV (1950) 12. Стат. доклады
Stern Journ. Roy. Hort. Soc. (London) (1946) 70 pp.

4. მცენარე მაღალია, 50—100 სმ სიმაღლის, ძლიერ გახევებული და-
ტოტვილი ფესურით, რომელსაც თითისტარისებრი ან სუსტად განვითარებუ-
ლი თათისებრი გამსხვილება ახასიათებს; ღერო შრომია ან ოდნავ დაკლაკ-
ნილი, ხშირშეფოთლოლი; ფოთოლი ორივე მხარეზე შიშველია ან ქვეიდან
შებუსვილია; ფოთოლის ნაკთები მოგრძო-ოვალურია, მოგრძო-კვერცხისებ-
რი, ფართო ოვალური ან თითქმის მომრგვალო, წვერში შევიწროებულია
ან მობლაგვო, ძირთან შევიწროებული ან იშვიათად თითქმის გულისებრმომრგ-
ვალო. ყვავილი მეწამული წითელია, ჩვეულებრივ ფართოდა გადაშლილი,
გვირგვინის ფურცელები უკუკვერცხისებრია; სამტვრე პარკები ყვითელია,
მტვრიანების ძაფები მეწამული წითელია; ნასკვი თეთრი ქეჩისებრშებუსვი-
ლია; დინგი ასიმეტრიულია, მეწამული ან ხორცისფერ-წითელია. ნაყოფი მოყ-
ვითალო-მონაცრისფრო ქეჩისებრი შებუსვითაა, მწიფე თითქმის დაკიდებუ-
ლია; თესლი წითელია და შავი, მწიფე თესლი ღანაოჭებულია მსხვილ ბალი-
სებრად. IV—VI. 2n=10 (სურ. 1, 1).

ტიპი არ არის ცნობილი, „Флора СССР“-ის მიხედვით აწერილია
დასავლეთ ამიერკავკასიიდან.

იზტოვება მთის შუა და ზედა ტყის სარტყელში, მუხნარ-რცხილნარში,
ტყის პირებში.

საქ. სსრ.: აფხ.: მთა ჩიფშირასთან (ალბოვი), იურევსკოე, წებელდა (ვო-
რონვი); სვან.: ლენტეხი (სომიე და ლევიე); რაჭა-ლეჩხ.: ონსა და ხორევს
შორის მინდისციხე სოფ. ნიკორწმინდასთან (რუპრეხტი), მეკვენა (ბროტე-
რუსი; სომიე და ლევიე; კემულარია-ნათაძე), ნიკორწმინდა და აბანოეთი,
სოფ. ახტის მიდამოები (მ. სოხაძე; კემულარია-ნათაძე); სამეგრ.: სოფ. ლე-
შამგეგა და ბარხას მთას შორის (კემულარია-ნათაძე, მ. დოლიძე და ი. მიქე-
ლაძე); იმერ.: ყვირილა (ლომაჟინი), საქოლის ქედი, ტყე საბურო, გელათისა
და გოდოგანს შორის (კემულარია-ნათაძე), ტყიბულის რ-ნი სოფ. ახალ სო-
ფელთან მთა წინწკილაზე (ა. ქუთათელაძე); აჭარ.: ბათუმსა და ახალციხეს
შორის, სოფ. დანიესიფარულთან (სომიე და ლევიე; მ. ჯიქიძე); ქართ.: ბორ-
ჯომი (რადე; სმირნოვი; სოსნოვსკი; კოზლოვსკი; კემულარია-ნათაძე; ა. ჯავა-
ხიშვილი), წალვერი, ბაქურიანი (შიშვინი; სოსნოვსკი; კოზლოვსკი; ა. ჯავახი-
შვილი), ატენის ხეობა, ტანასა და უღელტეხილს შორის (ე. ქიქოძე), საგუ-
რამოს ქედი (კაფევევი; კოლაკოვსკი; გაგნიძე), იალნო (მიშკინი), თბილისი,
მარტყოფთან (რუპრეხტი), თბილისი (პოპენაკერი), წყნეთი (სმირნოვი);
თრიალ.: კოჭორი (ზედელმეირი; ბარნაბიშვილი), თეთრი წყარო (მლოცვევი-
ნი), გუდარების ტყე (ვორონვი; ფლორენსი); სამხრ. სს.: კოზაითოს და
ერწოს შორის (კუზნეცოვი), ხოდე ხორი (ე. და ნ. ბუში); გარე კახ.: კაკაბე-
თი, დურინა (ზ. ყანჩაველი); კახ.: ლაგოდეხის ხეობა (დოლუხანვი და კა-
ზაროვა).

სსრ-ის დანარჩ. ნაწ.: ჩრდ. კავკასია, ყუბანი (ბუში); აზერბ.: ლენქორანი
(სტერნი, როგორც P. mascula Mill.).

შენიშვნა. კავკასიის წითელ იორდასალამბს დიდხანს აიგივეზღდნენ, სან/ ყირიმის იორდასალამთან, რომლის სახელწოდებაა: *P. tricornata* ან *P. ruprechtiana* სან კიდევ სამხრეთ ევროპის სახეობა *P. corallina*-თან. ბოლო ღროსტესტის შედეგში ეს სახეობა დაუქმდება (1950) იგი შეართა მცირე აზიის სახეობა *P. kavachensis*-თან.

ჯერ კიდევ ნ. ბუში (1901) სრულიად სამართლიანად უარყოფდა ტი- პიური *P. corallina*-ს არსებობას კავკასიაში, რომელსაც ახასიათებს ლანცე- ტა და გრძლადწაწვეტებული ფოთლის ნაკვთები, მაგრამ მანვე არასწორად დაუქმდებარა იგი ყირიმის სახეობას.

ლ. კემულარია-ნათაძე, ისევე როგორც ვ. კომაროვი და ნ. შიპჩინსკი (1937), თვლის კავკასიის წითელ იორდასალამს დამოუკიდებელ სახეობად *P. caucasica*-ს სახელწოდებით, იმ განსხვავებით, რომ მისგან გამოყოფს ორ დამოუკადებელ სახეობას: *P. Ruprechtiana* და *P. lagodechiana*.

◎. 7. *P. lagodechiana* Kem.-Nath. Tr. Tbil. Bot. Inst. AH GSSR, XXI (1961) 33; საქ. მცენ. სარკვ. I (1964) 62.

ჭ. მცენარე 50—100 სმ სიმაღლისაა; ფესურა დატოტვილია, ივითარებს თითისტარისებრ გამსხვილებებს; ღერო წახნაგებიანია, ხშირშეფოთლილი; ფოთოლი არმაგ სამნავეთიანია, ორივე მხრიდან ან ქვედა მხრიდან ლეგაა, ნაზი და სადაა, სუსტად გამოხატული ძარღვებით; ფოთლის ნაკვთები მოგრძო ელიფსურია, ორივე ბოლოში ან წვერში მოკლედ შევიწროებული. ყავილი ერთდღიურია, ფართოდა გადაშლილი; გვირვენის ფურცლები ჟკუკვერცხი- სებრია და ოდნავაა ჩახნექილი; სამტვრე პარკები ნაცრისფერია; მტვრიანე- ბის ძაფები მეწამულია; ნასკე მოყვითალო ქეჩისებრშებუსვილია; დინგი წითელია, თითქმის სიმეტრიული. V.

ტიპი: ლაგოდეხის ნაკრძალი, ნინიგორა, ტყეში, 10.V.1953. ა. კაზა- როვა და ა. დოლუხანოვი. ინახება თბილისში.

იზრდება მთის შუა სარტყლის ტყეში.

საქ. სსრ: კახ.: ლაგოდეხის ნაკრძალი (კემულარია-ნათაძე); დოლუხანოვი და კაზაროვა).

სსრკ-ის დანარჩ. ნაწ.: დაღესტანი.


შენიშვნა: ნაზი მოლეგო ფოთლებით ეს სახეობა ძალიან წააგას *P. Mlokosewitschii*-ს, რომლისაგან კარგად განსხვავდება ვარდისფერი და უფრო დიდი ზომის, ფართოდ გადაშლილი ყავილით, დინგის, სამტვრების, მტვრიანე- ბის ძაფების ფერით და აგრეთვე ფოთლის ნაკვთების ფორმით.

სექცია 3. *Sternia* Kem.-Nath.— ფოთლის ნაკვთები დაკბილულია ან მრავალფერ განკვეთილია ლანცეტა ან ხაზურ ნაკვეთებად. ყვავილი მეწამულ-წი- თელია, წითელი ან მოვარდისფრო ისფერია. ნაყოფი ქეჩისებრშებუსვილია, მოკლეკვერცხისებრია ან ოვალური.

მშენივი. 1. *Hybridae* Kem.-Nath.— ფოთოლი ორჯერ-სამჯერ ფრთისებრია ან დაყოფილია ვიწრო-ლანცეტა ნაკვთებად.

◎. 8. *P. Majko* Ketzch. Not. Syst. Geogr. Thbilis. 21 (1959) 17; Kem.- Nath. Tr. Bot. Inst. AH GSSR, XXI (1961) 35; კემულარია-ნათაძე, საქ. მცენ. სარკვ. I (1964) 61.

2. საქართველოს ფლორა, II



4. ფესურა დატოტვილია, თითქმის პორიზონტალურია, ახასიათებს თი-
თასტარისებრი გამსხვილებები; ღრერო მაღალია, ხშირშეფოთლის ფირზე და გამსხვილებული ფოთლებს დიდხანს ინარჩუნებს; ფოთოლი მწვანეა და სამჭერი ღრმად
ფრთისებრდანაკვთული ან დაყოფილია ვიწრო-ლანცეტა 5—10 მმ სიგანის
ნაკვთებად; ქვედა ფოთლები უფრო ფართო, ვიდრე ზედა. ყვავილი მსხვი-
ლია, მოვარდისფრო-მოწითალო-ისფერია, ფართოდ გადაშლილი, ნასკვი
და ნაყოფი თეთრი ან, უფრო იშვიათად, წითელი ბუსუსებისაგან ქეჩი-
სებრშებუსებილია. ნაყოფი მოკლეა და ოვალური. V.

ტ ი პ ი: ქართლი, სოფელ ლამისყანასა და იგორეს შორის. 16. V. 1958

წ. ნ. კეცხოველი. ინახება თბილისში.

იზრდება მთის წინებზე, მუხნარ-რცხილნარი ტყის პირებზე.

საქ. სსრ: ქართ.: სოფ. იგორეთან (ნ. კეცხოველი, თ. დუმბაძე; ტ. მენოე-
შაშვილა).

შ ე ნ ი შ ვ ნ ა : ეს სახეობა წააგავს *P. hybrida* Pall.-ს, რომელიც გავრ-
ცელებულია გავრცებულ მდელოებზე, ლია ბალახოვან ან გორაკების ქვიან ფერ-
ცობებზე ციმბირში, ალტაში, შუა აზიაში; აწერილია ბარნაულის მიდამოებიდან.
წააგავს აგრეთვე ყირიმის იორდასალმის, რომელიც ვ. მალევამ 1937 წ. (Cov.
Bot. 1937, 1, 128) მოიყანა პიბრიდული იორდასალმის *P. tenuifolia* x *P. trifer-
nata*-ს სახელწოდებით.

მწერივი 2. *Fissae* Kom. — ფოთლები მრავალჯერ განკვეთილია ვიწრო ლან-
ცეტა ან თითქმის ძაფისებრ ნაკვთებად. ნაყოფი ქეჩისებრშებუსებილია, კვერცხი-
სებრია ან მოგრძო. ფესვის გამსხვილებები მომრგვალო ან თითისტარისებრია.

○. 9. *P. carthalinica* Ketzch. Not. Syst. Geogr. Thbilis. 21 (1959) 18;
კეცხოველი საქ. მცენ. ძირითადი ტიპები (1935) 50; კეცხოველი საქ. ფლო-
რა IV (1958) 7; საქ. მცენ. სარქვ. I (1964) 61.—*P. tenuifolia* auct. cauc. p. p.
non L.

4. 20—50 (80 მმ) სიმაღლის მცენარეა, დატოტვილი ძლიერ გახვევებუ-
ლი ფესურით და მასზე თითისტარისებრი გრძელყუნწიანი გამსხვილებე-
ბით; ღრერო ძლიერ დაღარულია, ხშირშეფოთლილი, ღრეროს ძირში ფოთლები
არ აქვთ; ფოთოლი მწვანეა, შიშველი, ფოთლის ნაკვთები ხაზურ-ლანცე-
ტა 5—10 მმ სიგანის, გაფარჩეული. ყვავილი ფართოდაა გადაშლილი; გამის
ფოთლები ფართოვალურია; გამის გარეთა ფოთლები ფოთლის ხაზური ნაკ-
ვთების მსგავსია; გვირგვინის ფურცლები ზაფხულცხისებრია, ძირთან სო-
ლისებრ შევიწროებულია, წვერში მომრგვალებული, მუქი მეწამული ფერი-
სა; მტვრიანას ძაფები მთლიანად მეწამულია ან ზედა ნაწილში მოყვითალოა;
ბისაგან ქეჩისებრ შებუსვილია, მოწითალოა. თესლი მსხვილია, ოვალურია, შა-
სამტვრე პარკები კვითელია; ნასკვი კვერცხისებრია, მოოქროსფრო ბუსუსე-
ვი, გრძელწერტილოვანი დანაოჭებული, მწიფე კი პრიალა და სადა. IV—
V. (სურ. 1, 5).

ტ ი პ ი: ქართლი, სოფ. მუხნანთან. 1921 წ. კეცხოველი. ინახება თბი-
ლისში.



იზრდება მთის წინებსა, გაველებულ აღგალებზე, ეკლიანი ბუჩქების უფრო და უფრო დაცული ფორმაციებში.

საქ. სსრ: ქართ.: გორის რაიონი, სოფ. მუხრანთან დამპალის გორავებ-ზე ბუჩქნარებში (კეცხოველი; კემულარია-ნათაძე), ტირქისი (კეცხოველი); ქიზ. შირაქი (კაკულია, სოხაძე, ქებაძე), ქედასა და შავმთას შორის (ზ. ყაჩხა-ვლი).

შენიშვნა: ქართლის იორდასალამი თავისი მრავალჯერ განკვეთილი ფოთლებით და მუქი მეტმული ყვავილებით ახლოს დგას *P. tenuifolia*-თან, რომელიც უკრაინის ველებიდან არის აწერილი და აგრძელებს *P. Biebersteiniana* Rupr.-თან, რომელიც სტავროპოლის მასივიდანაა ცნობილი; მაგრამ პირველი განსხვავდება გვირგვინის ფურცლების მოყვანილობით და ფოთლის გრძელი წვრილი ნაკვთებით, მეორისაგან განსხვავდება შიშველი ფოთლებით, წვრილი ნაკვთებით და გავრცელების არეალით.

10. *P. tenuifolia* L. Sp. Pl. (1763) 748; Ledeb. Fl. Ross. I (1842) 73; Boiss. Fl. Or. I (1867) 98; Шмальг. Фл. Ср и Южн. Росс. I (1895) 73; Липский Фл. Кавк. (1899) 213; N. Busch Fl. Cauc. Crit. 3, III (1901) 1; Комаров и Шипчинск. во Фл СССР VII(1937) 34; Гросг. Опред. (1949) 44; Фл. Кавк. 2, IV (1950) 12; Рзазаде во Фл. Азерб. IV (1953) 30; კემულარია-ნათაძე თბილისის ბოტ. ინსტიტ. შრომები XXI (1961) 36; საქ. მცენ. სარკვ. I (1964) 61.

4. ფესურა მოგრძო, კოურისებრი, მოკლეყუნწიანი გამსტვილებებითაა; ღერო მარტივია, 10—50 სმ სიმაღლის, ხშირფოთლიანი; ფოთლები ძალიან ვიწრო, თითქმის ძაფისებრი, 1—2 მმ სიგანის ნაკვთებითაა. ყვავილები დიდი ზომისაა, 3—5 სმ ღია მატრის; გვირგვინის ფურცლები მუქი წითელი ფერისაა, უკავერცხისებრი ფორმის, წვერსა და ძირში მომრგვალებული; სამტვრები ყვითელია, მტვრიანის ძაფები მოწითალო ფერისაა. ნასკვი და მოუმწიფებელი ნაყოფი სქლადა წითელი ქეჩისებრი ბეჭვით შემოსილი. ნაყოფი მოკლე-კვერცხისებრი ან ოვალური ფორმისაა, ოდნავად გვერდზეა გადახრილი, მურა-წითელი შებუსვით. თესლი შავი-მურა ფერისაა, პრიალა. IV—V.

იზრდება ველებზე, ბუჩქნარებში.

საქ. სსრ: ქართ.: სოფ. სამთავისი (ცოლჩანეცი), სოფ. წილქანი (დუმბაძე), იგორეთი (კეცხოველი), ტირქისი (კეცხოველი); ქიზ.: შირაქი, ლევის წყალი (კახელაძე, გავრილენკო; სოხაძე, კაკულია).

სსრკ-ის დანარჩ. ნაწ.: იმიერკავკ.; ამიერკავკ. აზერბ.; ევრ. ნაწ. საერთო გავრც.: შეა ევრ.

სამეურნეო მნიშვნელობა. გვარი იორდასალმის ყველა სახეობა მაღალი დეკორაციულია და დიდ გამოყენებას პოულობს მეცვავილებისაში, განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ჩინური და იაპონური იორდასალმი, თუმცა სილმაზით ჩინური იორდასალმი მათ არ ჩამოუვარდება (ჩინურ ბუჩქისმაგარის გარდა) და ზოგიერთი მათგანი უკვე შეტანილია კულტურში: P. Mlkosewitschii Lemak. 1897 წლიდან შეცირაში, ხოლო P. Wittmanniar Hartwiss 1846 წლიდან ინგლისში, საიდანაც გავრცელდა ევროპის სხვა ქვეყნებში.



ჩვენში იორდასალამის კულტურაში შეტანის პირველი პიონერებზე, რესტაციურ ქ. თბილისის მახლობელი სოფლების მშრომელები, რომლებსაც ასაზორ უკარისტოდ რაოდენობით ჩამოაჭრო ქ. თბილისში ქართლის იორდასალამი.

სამეცნიერო დაწესვბულებებიდან იორდასალამის ბიოლოგის შესწავლაზე და
კულტურაში შეტანაზე თბილისის ბოტანიკურ ბაღში მუშაობდა თამაჩ დუმ-
ბაძე და განაგრძობს მუშაობას უფროსი მეცნიერი თანამშრომელი ნინო კახ-
ლაძე, განსვენებული გ. მარვევის მიერ გამოყვანილი დეკორაციული ჰიბ-
რიდული იორდასალამი—P. tenuifolia x P. caucasica Matw. 10 წელზე მეტია,
რომ ხარობს საქ. მეცნიერებათა ეკოლოგიის ბოტანიკის ინსტიტუტის ცოცხა-
ლი ფლორის განყოფილებაში.

၂၃ၫၦ ၂၆. ACTAEACEAE KEM.-NATH.

ყვავილი აქტინომორფულია, ორსქესიანი, 4-ფურცლიანი გვირგვინისბრივი ყვავილსაფრით. სანექტრები ბრტყელია, ფრჩხილად შევიწროებული. მტკრიანა მრავალია, თავისუფალი. ბურკო ერთი ნაყოფის ფოთლისაგანაა შეკრისტალირებული. ნასკერი ზედაა, ერთბუღიანი, მრავალი თესლებით; დინგი შექმნილი. ნასკერი ზედაა, ერთბუღიანი, მრავალი თესლებით; დინგი შექმნილი. ნაყოფი კენჭრისბრივია (ხორცოვანი ფოთლურა) მრავალფესიანი.

შენიშვნა. გვარი *Actaea* L. დიდხანს ვერ პოლონურდა სათანადო ღიგილს, როგორც ძველ, ასევე ახალ იტორთა სისტემებში. სისტემების უმრავლესობაში მას უკვემდებარებდნენ ბაიასებრთა ოჯახის სხვადასხვა ტრიბებს.


უკანასკნელ დროს ჰეჩინსონი (Hutchinson, 1959—60) მდ გვარს აკუთხებს რა ასეთი დამოუკიდებლად ოჯახი Helleboraceae-ს, რომელსაც ბათასებრთა ოჯახისაგან დამოუკიდებლად კრინის.

ასეთი შეუთანხმებლობა ავტორებს შორის მიუთითებს გვარი *Actaeae*-ს ძროფულოვანური ნიშნების განცალკევებზე და სისტემაში მის ხელოვნურ მდგრად-რეობაზე. მიტომც ჩვენ (1962) მიშანეწონილად ვცანით დაგვეღვინა დამოუკიდებელი ოჯახი *Actaeaceae*.

ଗ୍ରୂପ୍ ୧. ACTAEA L. — ଡାଟାବଳୀ ପରିଚୟ

მრავალწლოვანი, ბალახოვანი მცენარეა, მორიგეობით განწყობილი ლომად — სამაგ ღრთისებრ განკვეთილი ფოთლებით.

7 სახეობიდან, რომლებიც თითქმის მოელი ჩრდილო ნახევარსფეროს ტყებისათვისაა ცნობილი, ჩვენში გვხვდება მხოლოდ ერთი სახეობა.



ზენიშვნა. ვეარი *Actaea* L., რომელიც ლინეს მიერ იყო დაგენილი 1753 წელს, დეკანდოლმა გაფართოვა სამი ვეარის (*Cimicifuga* L., *Macrorhizae* Christophoriana Moench) მიმატებით და გაცყო 3 შესაბამისი სექცია იმავე სახელ-წილებით. პრანტლმა (1887) ვეარი დაცყო ორ სექციად: *Euactaea* და *Cimicifuga*-დ. პრანტლის დაყოფას მნახს უჟერდენ თოვების ყველა შემდგომი ბოტანიკოსი, მათ შორის ნ. ბუშიც (1903). კუმულარია-ნათაძე ღებულობს ვეარ *Actaea*-ს *Cimicifuga*-საგან დამოუკიდებლად და ვეარში არჩევს მხოლოდ ერთ სექციას—*Actaea* (*Euactaea* Prantl).

სექცია *Actaea* ხასიათდება ვეარის ნიშნებით.

შექრივი 1. *Spicatae* Kem.-Nath.— მტევანი მარტივია, ოვალური. ნაყოფი შავია. ფოთლები ორჯერ სამაღა გაყოფილი.

1. *A. spicata* L. Sp. Pl. (1753) 722; M. Bieb. Fl. Taur.-Cauc. II (1808) 2; III (1819) 361; Hohen. Enumer. (1838) 236; Boiss. Fl. Or. I (1867) 96; Smirn. Enumer. (1887) 961; Акинф. Фл. Центр. Кавк. (1894) 50; Albov Prodr. (1895) 13; Шмальг. Фл. I (1895) 27; Radde, Mus. Cauc. (1901) 47; Липский Фл. Кавк. (1899) 213; Somm. et Levier Enumer. (1900) 29; N. Busch Fl. Cauc. Crit. II, 3 (1903) 33; Опред. Ranales (1919) 14; Гросег. Фл. Кавк. II (1930) 95; 2, IV (1950) 20; Опред. (1949) 45; Шипчинск. во Фл. СССР VII (1937) 80; Колак. Фл. Абхаз. II (1939) 124; კემულარია-ნათაძე საქ. ფლორა IV (1948) 15; მაყშვილი თბილ. მიდ. სარკვ. I (1952) 102; Рзазаде во Фл. Азерб. I (1953) 39; Тахтадж. Фл. Арм. I (1954) 169; Дмитриева Опред. раст. Аджар. (1959) 40.— *A. spicata* L. var. *melanocarpa* Ledeb. Fl. Ross. I (1842) 71.— *A. spicata* var. *nigra* Willd. Sp. Pl. II, p. 1 (1799) 1139; Huth in Engl. Jarhb. XVI (1893) 308.— *Christophoriana vulgaris* Ruprecht, Fl. Cauc. (1869—1882) 44. Icon. Fl. Germ. (1834—1870) t. 4739; Huth c. I. t. 4.

4. 70 სხ-მდე სიმაღლის მცენარეა; ფესურა მსხვილია, დატოტვილი; ღერო მარტივია ერთი ან რამდენიმე, შეფოთლილი, შიშველი ან წვერზე ოდნავ ბეჭვებიანი; ფოთლები მოხაზულობით ფართოვალურია, ორჯერ სამად გაყოფილი, მისი ნაკვეთები ფალეზე მახვილ ხერხებილა. ყვავილები პატარა ზომისაა, შეკრებილია მოკლე ხშირ მტევნებად, რომელიც ნაყოფობისას გრძელდება. ყვავილსაფარი თეთრია; სანექტრებები გვირვევინისებრია კვირცხისებრი ან ელიფსური ფორმის. ნაყოფი შავია, ოვალური V—VII. 2n=16 (32) (სურ. 2).

აწერილია ევროპიდან, ინახება ლონდონში.

იზრდება ხშირ დაჩრდილულ ფოთლოვან (კუმთავრესად წიფლნარში) აგრეთვე შერეულ და წიწვიან ტყეებში.

საქ. სსრ: აფხ.: მთა არაბიკა, ბზიფის ქედი, ტყის საზღვარი (ალბოვი), სოხუმის სამხედრო ვზა, ტყეები და ბუჩქნარები (დესულავი), სოჭნის ტყეზ. მდ. ჩხალთის გაყოლებით აჩირენსის ქვემოთ (ნ. ბუში), აპიანჩა, მურყნარ ტყეში (ვორონოვი; დუმბაძე); სვან.: ბეჩოს გადასასვ. (აკინფიევი), ლენტეხსა და მურს შორის; რევა-ლეჩხ.: ნიკორწმინდა (რუპერეტი), უწერა (ბიქვი), საწალიკე, თლუხი (ბუაჩიძე), შოვი, ნაქერალას ქედის ჩრდილო კალთა (კუმულარია-ნათაძე); სამეგრ.: ოხაჩუეს მთა (კუმულა-

საერთო გავრცელ.: ერქ.: აზ.
სამეცნიერო მნიშვნელობა: მცნობის ყველა ნაწილი შხამია-
ნია, ძლევა კარგ შავ საღებავს შალეულისათვის, მაგრამ მასთვისად არ
არის.

მჯავი 27. HELLEBORACEAE (DC.) SPACH — ჟარისძირასებრნი

ყვავილები დიდი ზომისაა, აქტინომორფული ან ზიგომორფული, შეფერილი ყვავილსაფრით, სანექტრებით ან იშვიათად სანექტრე არა აქვთ. მტერილი ყვავილსაფრით, თავისუფალი. ნაყოფის ფოთლები თავისუფალია ან შეზრდიანი მრავალია, თავისუფალი. ნაყოფის ფოთლებამდე, 2-დან 15-მდე ან რედუცირებულია ერთამდე. ნალია თითქმის სვეტებამდე, თესლი პერიკარპიუმითაა. მრავალწლოვანი იშვიათად ყოფი ფოთლურაა. თესლი პერიკარპიუმითაა. მრავალწლოვანი მცენარეებია.

ოჯახის ყველა წარმომადგენელი დეკორაციულია, მრავალია აგრეთვე მათ შორის სამკურნალო და შხამიანი მცენარე.

1. ყვავილები ქტინომორფულია 2
— ყვავილები ზიგომორფულია 7
 2. ყვავისაფარს სანექტრეები არ აქვთ, ყვითელია. ფოთლები მთლიანია, თირკმლისებრი 1. *Caltha L.*
 - ყვავილსაფარი სანექტრეებითაა. ფოთლები დანაკვთულია, გაყოფილია ან განკვეთილი, სხვადასხვა ფორმის 3
 3. სანექტრეები ხაზური, ან ნიჩბისებრია, ძირში შეზრდილი, ყვავილსაფრის მსგავსად ყვითლად შეფერილი 2. *Trollius L.*

- სხვადასხვა / ერთონაშე
- სანექტრები ძაბრისებრია, დეზისებრი ან ორტუჩა, სხვადასხვა / ფერისაა
4. ნაყოფი კოლოფისგვარია, ძირში ან სვეტებამდე შეზრდილი ჭოტოვა 5
ლურებისაგან შემდგარი
- ნაყოფი თავისუფალი ფოთლურებისაგან შედგება 6
5. ყვავილსაფარი სანექტრებზე გრძელია. ნაყოფი გრძელი ნისკარტით (სვეტით) ბოლოვდება 4. *Nigella L.*
- ყვავილსაფარი სანექტრებზე მოქლეა. ნაყოფი მოქლე ნისკარტითაა 5. *Gariella L.*
6. ყვავილსაფარი ნაყოფობისას დიდხანს ჩრება, ხუთია ან მეტი; სანექტრები შრავალია, ძაბრისებრი, ყვავილსაფარზე ბევრად მოქლე ფესვთანური ფოთლები ტყავისებრია და იწამორებენ 3. *Helleborus L.*
- ყვავილსაფარი აღრე ცვია. სანექტრები დეზითაა. ყვავილსაფარი და სანექტრები ხუთ-ხუთია და ერთმანეთს მრავალებენ. ფოთლები თხელია, ბალახოვანი 6. *Aquilegia L.*
7. ყვავილები 2 სანექტრითაა; ნაყოფის ფოთლები 3—5 (1). მცენარე მრავალწლოვანია 8
- ყვავილი 1 სანექტრითაა; ნაყოფის ფოთლილი ერთია. მცენარე ერთწლოვანია 9
8. ყვავილსაფრის კენტი ფოთოლავი ზევითაა ალმართული, მუზარადისებრია და შიგ ორივე სანექტრეა მოთავსებული; სტამინოდიუმი მრავალია, სიფრიფანა ან სტამინოდიუმი არ ვითარდება 8. *Aconitum L.*
- ყვავილსაფრის კენტი ფოთოლი ჩვეულებრივ ქვევით დაშვებული ან ჰირიზონტალური დეზითაა, სადაც ორივე სანექტრის დეზია მოთავსებული; სტამინოდიუმი ორა 7. *Delphinium L.*
9. სანექტრე ხუთხავთიანია, ორტუჩა, წვერზე ლოკოკინასებრ მოხვეული 10. *Aconitopsis Kem.-Nath*
- სანექტრე ორნაკვთიანია და სწორი დეზითაა 9. *Consolida S. F. Gray*

ტრიბი 1. *Caltheae* Benth. et Hook.

ყვავილები ყვითელია, სანექტრები არა აქვს ან სანექტრები ყვავილსაფრისებრია, ბრტყელი, ხაზური ან ვიწრო ნიჩბისებრი, ყვავილსაფრის ფოთლებზე მოქლე და ვიწრო.

გვარი 1. *CALTHA L.* — ფიჭარა, შუანტა ბალახი

ყვავილები ყვითელია, დიდი ზომის. ყვავილსაფარი გვირვევინისებრია, სანექტრები არა აქვს. მტვრიანა მრავალია გრძელი ძაფებით. ნაყოფის ფოთლები 5—10. ფოთლურები იმდენივეა. ფოთლები მთლიანია, თირკმლისებრია ან თითქმის გულისებრი. მრავალწლოვანი მცენარეებია.

მტვრის მარცვლები სფეროსებრია, სამლარიანი; ეგზინის ზედაპირი წვრილმარცვლოვანია; ღარების მემბრანის ზედაპირი ბორცვოვანია.

1. ფოთლურები მოქლე ნისკარტითაა; სვეტი მოქლეა 1—1,5 მმ სიგრძის. ყვავილსაფრის ფოთლები ხუთია. ფოთლები კიდეზე წვრილებილა ან თითქმის კიდემთლიანია 1. *C. palustris L.*

— ფოთლურები გრძელი, სწორი ან მოხრილი ნისკარტითაა; სვეტი 3—5 მმ
გრძისაა, სწორი ან მოხრილი; ყვავილსაფრის ფოთოლი ხერხისებრი დაკა-
ლულია 2. C. polypetaloides ქაშუცხულე
შპელეირის კა

სექცია 1. Caltha — ხასიათდება გვარის ნიშნებით.

მწერივი 1. Palustres Kom. — ყვავილები ყვითელია ან კაშკაშა ოქროსფერ-
ყვითელი; ყვავილსაფრის ფოთოლაკები ხუთია; სვეტი მოკლეა; ნაყოფი
მოკლე ნისკარტითაა.

1. C. palustris L. Sp. Pl. (1753) 558; M. Bieb. Fl. Taur.-Cauc., II (1808)
31; C. Koch Linnaea XV (1841) 274; Boiss. Fl. Or. I (1867) 59; Albov Prodr.
(1895) 10; Липский Фл. Кавк. (1899) 209; N. Busch Fl. Cauc. Crit. III, 3
(1903) 16; Шипчинск. во Фл. СССР VII (1937) 37; კემულარია-ნათაძე საქ.
ფლორა IV (1948) 10; Гросг. Опред. (1949) 15; Фл. Кавк. 2, IV (1950) 14
კემულარია-ნათაძე საქ. მცენ. სარკვ. 1 (1964) 64; Кем.-Нат. Раналиевы на
Кавказе (1966) 54.

2. მცენარე მსხვილი ფესურითა და მრავალრიცხოვანი თასმისებრი ფეს-
ვებითაა; ღრეო სწორია, მარტივი ან დატოტვილი; ფოთლები მომრგვალო-
თირკმლისებრია, კიდეზე წვრილი მრგვალი ან წაწვეტებული კბილებით,
გრძელყუნწიანი ან ზედა ფოთლები თითქმის მჯდომარეა. ყვავილსაფრის
ფოთლები კაშკაშა ოქროსფერ-ყვითელია, ოვალური, 5 ან ზოგჯერ მეტი; სვე-
ტი მოკლეა. ფოთლურები მოკლეა, განწევანილი, მოკლე ნისკარტით;
თესლები მოგრძოა, მურა ფერის ან შავი. IV—VI. (სურ. 3, 1).

აწერილია ეკროპიდან. ინახება ლენინგრადში.

იზრდება ტყის ზედა სარტყლიდან ალპურ სარტყლამდე, ჭაობებში, და-
ჭაობებულ და ტენიან მდელოებზე.

საქ. სსრ: აფხ.: აცეტუკის მთა (ნ. ალბოვი), მდ. ბზიბის ხეობა, პივის
გადასავალი (ვორონოვი); აჭარ.; ჭირუხი (მაყაშვილი); კაშ.: ლაგოდეხის ხეო-
ბა, მთა ქოჩალგორა (კემულარია-ნათაძე), მცირე ლაგოდეხის სათავეები
2230 მ (დოლუხანოვი); თრიალ.: ჭაობები მთა ქუნკისწყაროს სამხრეთით
(ტრიოიცი), წალკა ხაჩალგელი (ზედელმეირი); კავახ.: ტაბაწყურის ტბა (კონ-
ლოვსკი; კემულარია-ნათაძე).

სსრ-ის დანარჩ. ნაწ.: იმიტკავკ.; ამიტკავკ.; შავი ზღვ. სანაპ., აზერპ.,
სომხ.; არტე.; ევრ. ნაწ.; აღმ. კიბბ.; შორ. აღ.; შუა აზია.

საერთო. გავრცელ.: სკანდ.; შუა და ატლ. ევრ.; ხმელთაშ. ზღვ. მხრ.:
ბალკან.; მც. აზ.; მონღოლ.; იაპონია-ჩინეთი, ტიბეტი, ჩინ. ამერ.

შენიშვნა: Caltha palustris L.-ის ტიპიური ფორმა კავკასიაში იშვია-
4. მცენარე თითქმის შიშველია ან მოფენილია გაფანტული თეთრი ან მოკრისტრო ბეჭვით; ღერო სწორი, დატოტვილი, მიტკეცილებეჭვიანი, ცოტაყვავილიანია; ფოთლები ფართო სეგმენტებითა, ორივე მხარეზე მიტკეცილებეჭვიანი, ფესვთანური ფოთლები გრძელ, გაფარჩეულებეჭვიანი ყუნწებითა; მათი ფირფიტა მოხაზულობით მომრგვალო გულისებრია ან მომრგვალო თარქმლისებრი, შუამდე ან უფრო ღრმად სამაღ გაყოფილი ფართო რომბისებრ ან უკუკვერცხისებრ სეგმენტებად, ძირში ფართოდ არაღრმად ამოკვეთილი ან თითქმის მომრგვალო ან სწორად წაკვეთილი. ყვავილი 1,5—3 სმ ღიამეტრის; ჯამის ფოთლები განზიდულია, გირგვინისაგან ოდნავ დაცილებული, მოგრძო კვერცხისებრი, ბლაგვი, გრძელებეჭვიანი; გვირგვინის ფურცლები უკუკვერცხისებრია, ძირში სოლისებრ შევიწროებული; ყვავილსაჯდომი ბეჭვიანია. თესლურა უკუკვერცხისებრია, გვერდებშებრტყელებული, დაღარული არშიით და სწორი, წვერში მომრგვალო წვრილი ნისკარტი. VI—VII. 2n=16.



რუსეთის მეცნიერებათა აკადემია

აშერილია ევროპიდან. ინახება უენეგაში.

იზრდება ტყის ქვედა საჩტყლიდან ზედა საჩტყლამდე ბუჩქისა და მდებარებულ ფოთლოვან, იშვიათად წიწვოვან (ფიჭვნარ) ტყეში.

საქ. სსრ: იმერ.: ქუთაისი, სოფ. გოლოვანი, საქოლავის ქედი (კემულა-რია-ნათაძე), ოკრიბის რაიონი ცილწილას მთა (ა. ქუთათელაძე), ნაქერალის ქედი (კემულარია-ნათაძე, ა. ქუთათელაძე).

სსრე-ის დანარჩ. ნაწ.: იმიერკავკ.; ევრ. ნაწ.

საერთო გავრცელ: შუა და სამხ. ევრ.

შენიშვნა. R. nemorosus DC. კავკისიში იშვიათად გვხვდება; ამის შესახებ ჯერ კიდევ ნ. ბუში მიუთიხებდა, რომელსაც ეს სახეობა სახესხვაობის მნიშვნელობით R. polyanthemus-ისაღმი აქვს დაქვემდებარებული. გარდა ამისა ნ. ბუშს შესაძლებლად მიჩნია აგრეთვე გარდამავალი ფორმების არსებობა S. nemorosus-სა და R. polyanthemus var. latifolia-ს შორის, რაც შემდეგში არ იყო შემჩნეული.

R. nemorosus დამოუკიდებელი სახეობაა, რომელიც მკვეთრად განსხვავდება R. polyanthemus var. latifolia-საგან კარგად განვითარებული, ცოტად თუ მეტად გრძელნისარტიანი ნაყოფით, შედარებით უფრო მრგვალპილებანი ფოთლის სეგმენტებით და უფრო რბილი შებუსვით.

მუჯრივი 9. Trisectiles Kem.-Nath. — ფოთლი გაყოფილია 3 ფართო სეგმენტად, რომელთაგან შუა სეგმენტი მოკლეყუნწიანია, გვერდითი—მჯდომარეა. ნაყოფი მოკლე 1—1,5 სმ ნისკარტითა.

◎. 21. R. trisectilis Ovcz. во Фл. СССР VII (1937) 427; Addenda IV, 743; კემულარია-ნათაძე საქ. ფლორა IV (1948) 63; Гроссг. Опред. (1949) 57; Фл. Кавк. 2, IV (1950) 59; კემულარია-ნათაძე საქ. მცენ. სარკვ. I (1964) 78; Кем.-Нат. Раналиевыя на Кавказе (1966) 211. — R. astrantiaefolius var. alpinus Freyn in Somm. et Levier Enum. (1900) 7. — R. caucasicus var. alpina N. Busch in Fl. Cauc. Crit. III, 3 (1903) 159.

2. მცენარე 4—20 სმ სიმაღლისაა, დამოკლებული ფესურითა და მრავალი, წვრილი ფესვით; ღერო სწორია, ონდავ წამოწეული, გაფანტული მიტკეცილი ან აბრეშუმისებრი ბეწვით შემოსილი; ფესვთანური ფოთლი მოკლეყუნწიანია, მომრგვალო კვერცხისებრი მოხაზულობის ფირფატით, რომელიც სამფოთოლაპიანია, ე. ი. ძირამდე სამად გაყოფილი მჯდომარე მახვილებილა ნაკვთებად; ღეროსეული ფოთლები მჯდომარეა, 3—4 ან 2—3 ლანცეტისებრ სეგმენტად გაყოფილი. ყვავილი პატარა ზომისაა; ჯამის ფოთლები გადაშლილია, მოგრძო კვერცხისებრი, შებუსვილი, ბლავი; გვირგვინის ფურცლები უკუკვერცხისებრია, ძირში სოლისებრ შევიწროებული. ნაყოფი პატარა ზომისაა, 2,5—3 მმ სიგრძის, ბრტყელი, მომრგვალო კვერცხისებრი, ზურგზე წვეტიანი ფხით და სიგრძივი ძარღვით; ნისკარტი მოკლეა ძირიდან სწორია, შემდეგ კი კაუჭისებრი. VII—VIII. 2n=16.

ტიპი: აშერილია სვანეთიდან „მთა თეთნარი, სოფ. ჩოლურის პირდაპირ. VIII. 1890. სომიე და ლევიზ“. ინახება ლენინგრადში.



იზრდება ალბურ სარტყელში: მდელოებზე.

საქ. სსრ. სვან.: ტყიბერის ახლოს, ლათფარის გადასაგალი (სტერიტულური), მთა აბაურა (შეროზია), მდინარე ნენსკრის სათავეები (მტკლიანი მუზეუმი); დოლუხანოვი, იონიდი); სამეგრ.; ჩაუმონი, ლებარდეს ახლოს (არხანგელსკი; კემულარია-ნათაძე, შ. ქუთათელაძე, შეიანი, ლაჩაშვილი), მთა მუჩერა (შეიანი, შ. ქუთათელაძე, ლაჩაშვილი), ოხაჩეუს ქედი (კემულარია-ნათაძე, შ. ქუთათელაძე, მანდენოვა და სხვა), ყვირა (კემულარია-ნათაძე, მანდენოვა, ხინობიძე, ი. მიქელაძე); მთა ჯვარი და მიგარია ხინობიძე და სხვა); ასხის ქედი (კემულარია-ნათაძე და სხვა).

სსრკ-ის დანარჩ. ნაწ.: იმიერკავკ. (დას. ნაწ.).

22. *R. astrantiaefolius* Boiss. et Bal. in Bal. Exsic. 1866, Sec. Boiss. Fl. Or. Suppl. (1888) 11; Trautv. Ingr. (1882) 17; Акинф. Центр. Кавк. (1894) 43; Albov Prodr. (1897) 8; Somm. et Levier Enum. (1900) 7; Radde Mus. Cauc. II (1901) 45; Н. Буш Опред. Ranales (1919) 50; კემულარია-ნათაძე საქ. ფლორა IV (1948) 59; საქ. მცენ. სარკვ. I (1964) 78; კემ.-ნატ. Ралииевые на Кавказе (1966) 212. — *R. Boissieri* Simonk in Termes. XI (1887—8) 212; Гросг. Фл. Кавк. II (1930) 118. — *R. caucasicus* var. *astrantiaefolius* Rupr. Fl. Cauc. (1869) 25, 286. — *R. caucasicus* ssp. *astrantiaefolius* N. Busch, in Fl. Cauc. Crit. III, 3 (1903) 158. — *R. Buhsei* Boiss. Овчинн., во Фл. СССР VII (1937) 424 р.р.; Гросг. Опред. (1949) 57; Фл. Кавк. 2, IV(1950) 59.

4. მცენარე 10—40 სმ სიმაღლისაა, შიშველი ან გაფანტული, მიტეცილი ბეწვით შემოსილი; ფესურა თითქმის ჰორიზონტალურია, წვრილი, თასმისებრი ფესვებით; ღერო ძირიდან ან შუას ზემოთ დატოტვილია, საკმაოდ ხშირად შეფილია, ძირში, წინა წლის ფოთლის ყუნწის ნარჩენი, მომურო-რუხი ფერის ხეშეში ბოჭკოებით დაფარული; ფოთოლი მოსქელოა, ოდნავ ტყავისებრი, ორივე მხარეს მიტეცილ-ბეწვიანი, ქვემოდან კარგად გამოსახული ძარღვებით; ფესვთანური და ღეროსეული ქვედა ფოთლები ცოტად თუ მეტად გრძელყუნწიანია; მათი ფირფიტა მოხაზულობით მომრგვალოა ან თირკმლისებრი, სამაღალა გაყოფილი ფართო სეგმენტებად, რომელთაგან შუა სეგმენტი ფართო უკუკვერცხისებრია, არალრმად სამნაკვთიანი და მოკლე ფართო ყუნწიანი; გვერდითი — მჭდომარეა უთანაბრო გვერდებით 2 ან სამნაკვთიანი; ღეროსეული ზედა ფოთლები მჯდომარეა ან მოკლეყუნწიანი, თათისებრ განკვეთილი ლანცეტა ან ხაზურ-ლანცეტა ნაკვთებად. ყვავილი დიდი ზომისაა, 2,5—3 სმ დიამეტრის; ჯამის ფოთლები გადაშლილია, გვირგვინისაგან ოღნავ დაცილებული, კვერცხისებრ მოგრძო, შებუსვილი; გვირგვინის ფურცლები ოქროსფერ ყვითელია, უკუკვერცხისებრი, ფართო ფრჩხილით; სანექტრე ფოსო ფართო ქერქლითაა დაჭარული. ნაყოფები მომრგვალო კვერცხისებრ თავაკადა შეკრებილი, თითოეული ნაყოფი უკუკვერცხისებრია, შიშველი, გლუვი, კიდის გაყოლებით ერთი ან ორი ძარღვით; ნისკარტი მომსხვილოა, თითქმის სწორი. VI—VII (სურ. 15, 6).

აწერილია მცირე აზიიდან. (ლაზისტანი, სოფ. ჯიმილის მიდამოები).

იზრდება ტყის ზედა სარტყელში, მდელოებზე და სუბალბურ ტყის მდელოებზე.

საქ. სსრ.: აფხ.: მდინარე სეკენის სათავეები (ალბოვი); სვან.: ზემო სვანე-თი, ტვაბერის ხევი, აბაურის ქედი (დოლუხანოვი); რაჭა-ლეჩხ.: მარგალიშვილის ხარი (რადე; კემულარია-ნათაძე); სამეგრ.: ჯვარი, მიგარია (სოსნაჭილი; გრიგორი დენვა, შ. ქუთათელაძე, ხინთიძე), მუჩერას ქედი (შხიანი, შ ქუთათელაძე, ლაჩაშვილი), ასხი (ალბოვი; კოლაკოვსკი; კემულარია-ნათაძე და სხვა); იმერ.: ქვაზინები (ლომაკინი), რკინის ჯვარი (ა. ქუთათელაძე); გურ.: ბახმარო (გრისვებით; ქიქოძე), საყორნიას მთა (ე. ქიქოძე); მაცევამთა (მაყაშვილი); აჭარ.: მთა მუჩითა, ხინოსა და ტაჭინაურს შორის (დოლუხანოვი და ყაზაროვი).

სსრკ-ის დანარჩენ. ნაწ.: იმიერავკ. (დას. ნაწ., ქლუხორის რაიონი). საერთო გავრც.: მც. აზ.

23. R. Scherosii Kem.-Nath. Not. Syst. Georg. Thbilis. 23 (1962) 5; კემულარია-ნათაძე საქ. ფლორა IV (1948) 63; საქ. მცენ. სარკვ. I (1964) 78; კემ.-ნათ. რანალიეს ხავასე 1966) 213. — R. astrantiaefolius var. alpinus Freyn in Somm. et Levier Enum. (1900) 7 p. p.; დმიტრიევა, ოპრ. რას. აჯარ. (1953) 46.

4. მცენარე პატარა ზომისაა, 5—15 სმ სიმაღლის, ცოტად თუ ბევრად შემოსილი მოთეთრო ბეწვით; ფესურა კარგადაა განვითარებული, თითქმის პორიზონტალურია ან ირიბი, იშვიათად სწორია, მსხვილფეხვებიანი. ღერო მიწაზეა განჩრთხმული ან წამოწეული, დაკლაკნილი ან იშვიათად სწორი, ქვედა ნაწილში უფრო ხშირი შებუსვით, ძირში დაფარულია გასული წლის ფოთლის უყნების ნარჩენების მორჩები ყავისფერი ან მორჩები ფერის მრავალი ბოჭკოთი; ფოთლი მიტკეცილი ბეწვითაა შემოსილი, ქვედა მხარეზე შესამჩნევად გამოსახული ძარღვებით; ფეხვთანური ფოთლები მოკლე, ხშირად თითქმის ფირფიტის ტოლი უყნებითაა და ფართო ვაგინა აქვს: ფოთლის ფირფიტა სამაღლაა გაყოფილი მჯდომარე უკუკერცხისებრ, სამ ფოთოლაკად; ფოთოლაკები კიდეზე წვეტიანი კბილებითა; იშვიათად ფოთლის ფირფიტის ორჯერაა სამაღლებრივი გაყოფილი ან ფრთისებრ დაყოფილი. ღეროსეული ზედა ფოთლები მჯდომარეა ან ძალიან მოკლეულწანი, თათისებრ დაყოფილი ხაზურ ან ლანცეტისებრ ნაკვთებად. ყვავილი პატარა ზომისაა, 10—12 მმ დამტრის; ჯამის ფოთლები გადაშლილია, კვერცხისებრი; გვირგვინის ფურცლები ყვითელია, უკუკერცხისებრი; სანერტრე ფოსო მოკრძოლებულია დაფარული. ნაყოფი უკუკერცხისებრია, მაღალი, დიდი მუცლით და გრძელი წვეტიანი ნისკარტით. VII—VIII (სურ. 15,2).

ტიპი: აწერილია აჭარიდან, მთა ზორთიყელი (შეროზია). ინახება თბილისში.

იზრდება ალბურ სარტყელში მდელოებზე, ძიგვიანებში.

საქ. სსრ.: აჭარ.: ზორთიყელი (შეროზია, მაყაშვილი), ჩირუხი, ძანი (მაყაშვილი), აჭარა-მცერეთის ქედი (დმიტრიევი).

საერთო გავრც.: მც. აზ. (ართვინი).

შენიშვნა. ახლოს მდგომ სახეობისაგან (R. triseptilis Ovcz.) განსხვავდება უფრო გრძელებული შებუსვით, ფოთლის ქვედა მხარეზე ძლიერ ამოშეული ძარღვებით, პატარა ზომის ყვავილებით და გავრცელების არეალით. შებუსვისა და ზრდის ხასიათით უახლოვდება R. Buhsei-s, რომლისგანაც განსხვავ-

დება პატარა ზომით, წვრილი მომრგვალო-ნაკვთიანი ფოთლებით და პრა წერვე-
ტებულნაკვთიანი ფოთლებით და გაფრცელების არეალით.



მწყრივი 10. *Latilobi* Ovcz. — ფოთლის ფირფიტა მოხაზულობით კვერცხი-
სებრია ან სამუქთხა კვერცხისებრი, გაყოფილა სამ ფართო და წევეტან ფოთოლა-
კად, რომელთაგან შუა ფოთოლაკი ყუნწიანია და თავის მხრივ თითქმის შუამდე
3 ფართო ნაკვთად გაყოფილი; კვერციონები—მჯდომარეა, 2—3 ნაკვთიანი. ნაყო-
ფი მოკლე, 1—1,5 მმ სიგრძის ნისკარტითაა.

◎. 24. *R. caucasicus* M. Bieb. Fl. Taur.-Cauc. II (1808) 27; III (1819)
384; Ledeb. Fl. Ross. I (1842) 41, 732; Липский Фл. Кавк. (1899) 208; N.
Busch. in Fl. Cauc. Crit. III, 3 (1901—1903) 154; Гросег. Фл. Кавк. II
(1930) 117; Овчинн., во Фл. СССР VII (1937) 423; Колак. Фл. Абх. II (1939)
146; კემულარია-ნათაძე საქ. ფლორა IV (1948) 64; Гросег. Опред. (1949) 57;
Фл. Кавк. 2, IV (1950) 58; Карагин, во Фл. Азерб. IV (1953); კემულარია-
ნათაძე საქ. მცენ. საჩვ. I (1964) 79; Кем.-Нат. Раналиевые на Кавказе (1966) 214.

4. მცენარე ღილი ზომისაა, 20—100 სმ სიმაღლის, მიტკეცილი ან ნა-
ხევრად მიტკეცილი ბეჭედთ შემოსილი ან თითქმის შიშველი; ფესურა მსხვი-
ლია, მრავალრიცხოვანი წვრილი თასმისებრი ფესვითა და ლეროს ძირში წი-
ნა წლის ფოთლის ყუნწის ნარჩენი ბოჭკოებით დაფარული; ლერო სწორია;
მარტივი, იშვიათად დატოტვილი, გაფარტული მიტკეცილი ბეჭვით შემო-
სილი, შეფოთლილი; ფესვთანური და ლეროსეული ქვედა ფოთლები ცოტად
თუ მეტად გრძელყუნწიანია, მათი ფირფიტა სამ ან ორჯერაა სამად გაყო-
ლილი, ფართოკვერცხისებრ, წვეტიან სეგმენტებად; ლეროსეული ზედა ფოთ-
ლები მჯდომარეა ორ ან სამად გაყოფილი კვერცხსებრ-ლანცეტა, დაკბი-
ლულ ან კიდემთლიან ნაკვთებად. ყვავილი 1,5—2,5 (3) სმ ღიამეტრის;
ჯამის ფოთლები გადაშლილია, ორნავაა გვირგვინისაგან დაცილებული, მოგრ-
ძოა ან ელიფსისებრი, ბეჭვიანი; გვირგვინის ფურცლები ყვითელია, უკუ-
კვერცხისებრი, ძირში ფართო ფრჩხილით; სანექტრე ფოსო მოგრძო ქერქ-
ლითა დაფარული. ნაყოფი შიშველია, არათანაბარ უკუკვერცხისებრი,
მუცლის მხარეზე ორი სიგრძივი ძარღვით, ზურგის მხარეზე კი ერთი ძარ-
ღვითაა. ნისკარტი მოკლეა, კაუჭისებრი. VI—VII. 2n=16. (სურ. 15, 5).

აწერილია ჩრდილო კავკასიონან (პიატიგორსკის მიღამოები). ინახება
ლენინგრადში.

იზრდება ტყის ზედა და სუბალპურ სარტყლის მდელოებზე და არყნა-
რებში.

საქ. სსრ.: მთიულ.: ყაზბეგის მიდამოები (მეღვედევი; კოზლოვსკი; პრი-
ხოდვე; თ. სულავაძე; ე. ხუციშვილი, ა. ხარაძე), ჩიმი, კანდილ-ხოხი (ა. ხარა-
ძე, ე. ხუციშვილი); თუშ-ფშავ-ხევსურ.; პირიქით ხევსურეთი, არხოტის
გადასავალი (დ. გრიგორაშვილი), არხოტსა და სნოს შორის (ველენსკი).

სსრ-ის დანარჩ. ნაწ.: ამიერკავკ.: აზერბ. (ჩრდილო ნაწ.).

შენიშვნა. *R. caucasicus* M. Bieb., რომელიც მხოლოდ კავკასიონის
ჩრდილო მხარეშია გაფრცელებული, მიღებულია ვიწრო გაგებით. ამ სახეობას,
რომლისთვისაც ღამახასიათებელია ფართო, მახვილ სეგმენტებად სამად გაყოფი-

ლი ფოთლები, ცვლის ამიერკავკასიაში სახეობა R. transcaucasicus Kempi Nath., კავკასიონის დასავლეთ ნაწილში —R. Raddeanus Regel და R. Sartorii Albov.-ს ხოლო კავკასიონის ცენტრალურ და ნაწილობრივ აღმოსავლეთ ნაწილში — R. osseticus Ovcz.

25. R. Buhsei Boiss. Fl. Or. I (1867) 45; Гросг. Фл. Кавк. II (1930) 118; Овчинн., во Фл. СССР VII (1937) 423; Колак. Фл. Абх. II (1939) 147; Гросг. Опред. (1949) 57; Фл. Кавк. 2, IV (1950) 59; Кем.-Нат. Раналиевые на Кавказе (1966) 215. — R. caucasicus var. Buhsei N. Busch, in Fl. Cauc. Crit. III, 3 (1903) 158. — R. astrantiaefolius var. Buhsei N. Busch Опред. Ranales (1919) 60. — R. modestus Ovcz. во Фл. СССР VII (1937) 424.

4. მცენარე მიტეცებილი ან გაფარჩხული თეთრი ბეჭვების გამო მეტად ხშირი შებუსვითაა; ფესურა ჩვეულებრივ ირიბია; ღერო 15—40 სმ სიმაღლისაა ან უფრო მაღალი, დაკლაკნილი ან სწორი, ჩვეულებრივ წამოწეული, თითქმის ძირიდანვე ან შუა ნაწილის ზემოთ დატოტვილი, საკმაოდ ხშირბეჭვიანი; ფოთოლი მორუხო მშვინეა, ქვედა მხარეს ძლიერ მკაფიოდ გამოსახული ძარღვებით; ფესვთანაური ფოთლები სხევადასხვა სიგრძის ყუნწებითაა; მათი ფირფიტა სამაღალა გაყოფილი. უკუკვერცხისებრ ან კვერცხისებრ 3—5 ნაკვთად; ნაკვთები კიდეზე წვეტიანი კბილებითაა; ღეროსეული ზედა ფოთლები მჯდომარეა, მათი ფირფიტა ფესვთანაური ფოთლის ფირფიტის მსგავსია, ან ლანცეტა სეგმენტებადაა გაყოფილი. ყვავილი 1,5—2 სმ დიამეტრის. ჯამის ფოთლები გადაშლილია, მოგრძო კვერცხისებრი; გვირგვინის ფურცლები ყვითელია, უკუკვერცხისებრი, სოლისებრი ფრჩხილით; სანექტრე ფოსო მოგრძო ქერქლითაა დაფარული. ნაყოფი უკუკვერცხისებრია, ზურგისა და მუცლის მხარეს ვიწრო ძარღვიანი არმითაა. ნისკარტი მოკლეა, კაუჭისებრი. VI—VIII. 2n=16.

აწერილია ჩრდილო ირანიდან, შოვოცის მასალების მიხედვით.


იზრდება ტყის ზედა სარტყლიდან ალპურ სარტყლამდე მდელოებსა და ბალახოვან ფერდობებზე.

საქ. სსრ.: მთიულ.: ყაზბეგის მიდამოები (ი. სულაკაძე); კახ.: ლაგოდეხი (ექვთიმიშვილი); თელავის ცივი (ზ. ყანჩიველი); გომბორი (სიტოვი).

სსრკ-ის დანარჩ. ნაწ.: იმიერკავკ. (დაღესტანი); ამიერკავკ.: აზერბ.

საერთო გავრცელ. ირ.

შენიშვნა. პ. ოეჩინივი (Фл. СССР, 1937) ამ სახეობის ტიპად სრულიად მართებულად თვლის ჩრდილო ირანიდან შოვიცის მიერ შეგროვებულ ეგზემპლარებს, რომელსაც ბუასიეს აღწერაც უდგება. მაგრამ არამართებულად აივივებს მას ლაზისტანიდან აწერილ სახეობა — R. astrantiaefolius-თან. ამ უკანასკნელისაგან კარგად განსხვავდება ხშირი შებუსვით, ფოთლის მახვილი სეგმენტებით, უფრო პატარა ზომის ყვავილებით და ზრდის ხსიათით (დატოტვით), R. Buhsei Boiss. თავისი მორფოლოგიური ნიშნებით უფრო R. caucasicus-ს უახლოვდება და ამიტომ R. caucasicus-თან ერთად მწყრივ Latilobi Ovcz.-შია მოთავსებული.


მწერივი 11. *Longirostres* Kem.-Nath. ნაყოფი დიდი ზომისაა, 4—8მ  ძის. ნისკარტი გრძელია 2—4 მმ სიგრძის, თითქმის ნაყოფის დანარჩენის ფრთხილის ტოლი. ფესვთანური და ლეროსეული ქვედა ფოთლების გადაკლების ფრთხისებრ ან ორმაგფრთისებრაა გაყოფილი ლანცეტისებრ ან ხაზურ-ლანცეტურაში. სეგმენტებად.

26. R. Brutius Ten. Prodr. Fl. Napol. I (1810—1815) 315; Boiss. Fl. Or. I (1867) 45; Липский Фл. Кавк. (1899) 208; N. Busch in Fl. Cauc. Crit. III, 3 (1903) 154; Гросг. Фл. Кавк. II (1930) 118; Овчинн., во Фл. СССР VII (1937) 418; Колак. Фл. Абх. II (1939) 145; კემულარია-ნათაძე საქ. ფლორა IV (1958) 64; Гросг. Опред. (1949) 57; Фл. Кавк. 2, IV (1950) 56; კემულარია-ნათაძე საქ. მცენ. სარკვ. I (1964) 78; Кем.-Нат. Раналиевые на Кавказе (1966).

4. მცენარე დიდი ზომისაა, 20—100 სმ სიმაღლის, ჰორიზონტალური ან ორბად წაგრძელებული ფესურით; ლერო მომსხვილოა, მოკლე გაფარჩეული, გაფანტული ბეჭვით შემოსილი, მატერივი ან ზედა ნაწილში დატოტვილი; ფესვთანური ფოთლები გრძელყუნწიანია, ვიწრო გრძელი ვაგინით; მათი ფირფიტა მოხაზულობით ფართო თირკმლისებრია, რომლის სიგანე სიგრძეზე მეტია, ღრმადაა ორჯერ-სამად ან ფრთისებრ გაყოფილი. ფართო ლანცეტია, კიდეზე დაკბილულ ნაკეთებად; ლეროსეული ზედა ფოთლები მკლომარეა, 2—3 მახვილკბილა სეგმენტად გაყოფილი. ყვავილი 1,8—2,5 (3) სმ ღიამეტრის; ჯამის ფოთლები გადაშლილია, გვირგვინისაგან დაცილებული, მოვრმა კერტებისებრი ფორმის, ბეჭვიანი; გვირგვინის ფურცლები კაშეაშა ყვითელია, ფართო უკუკერცხისებრი, განიერფრჩინილია; სანექტრე ფოს ფართო ქერქლითაა დაფარული. ნაყოფი დიდი ზომისაა, 5—8 მმ სიგრძის უთანაბრო უკუკერცხისებრი, ზოშველი; ნისკარტი 3—4 მმ სიგრძისაა, დასაწყისში სწორი, ბოლოში მოკაუჭებული. VI—VII. n=16 (სურ. 15, 4).

აწერილია იტალიიდან. ინახება ფლორენციაში.

იშრდება ტყის შუა სარტყლიდან დაწყებული სუბალპურ სარტყლამდე-ფართოფოთლოვან (წიფლნარ), იშვიათად მუქ-წიწვოვან (სოკნარ) ტყეში და ავრეთვე სუბალპურ მდელოებზე.

საქ. სსრ: აფხ.: გაგრის მიდამოები, მთ. მამდიშხა (ალბოვი; გუსევი), მთა არაბია, კლიმის ხეობა (ალბოვი).

სსრკ-ის დანარჩ. ნაწ.: ევრ. ნაწ. (ყირიმი).

საერთო გაერცელ.: ხმელთაშუა ზღვ. მხრ.; მც. აზ.

◎. 27. R. Raddeanus Regel Semin. Hort. Petrop. (1865) 39; Rupr. Fl. Cauc. (1869) 25; Trautv. Incret. (1882) 24; Boiss. Fl. Or. Suppl. (1888) 11; Акиნф. Фл. Центр. Кавк. (1894) 43; Albov Prodr. (1895) 7; Липский Фл. Кавк. (1899) 208; Somm. et Levier Enum. (1900) 9; Radde Mus. Cauc. II (1901) 45; N. Busch in Fl. Cauc. Crit. III, 3 (1903) 159; Гросг. Фл. Кавк. II (1930) 115; Овчинн., во Фл. СССР VII (1937) 420; Колак. Фл. Абх. II (1939) 146; კემულარია-ნათაძე საქ. ფლორა IV (1948) 65; Гросг. Опред.

4. მცენარე 20—50 სმ სიმაღლისაა, შიშველი ან გრძელბეჭვიანი; ფესურა გრძელია, მაგარი, მსხვილი, ჰორიზონტალური ან სწორი; ფესვები წვრილია თასმისებრი; ღერო სწორია ან ოდნავ წამოწეული, მარტივი ან ზემო ნაწილში სუსტად დატოტვილი, შემოსილია გაფანტული, წამოწეული ბეჭვით, უფრო უხევად ღერო პირობანა შებუსვილი; ფესვთანური ფოთლები გრძელყუნწიანია, მათი ფირფიტა მოხაზულობით კვერცხისებრია ან კვერცხისებრ-რომბისებრი, ფრთისებრაა სამად გაყოფილი მოგრძო-ხაზურ ან ხაზურ-ლანცეტა წაწვეტილ ნაკვთებად; ღეროსეული ქვედა ფოთლები ფესვთანური ფოთლის მსგავსია, მხოლოდ უფრო მოკლეყუნწიანია. ღერო-სეული ზედა ფოთლები მოკლეყუნწიანია ან მჯდომარე, თაოსებრ ან სამად გაყოფილი კიდემთლიან ან წვეტიან ხაზურ ნაკვთებად. ყვავილი 2—3,5 სმ დიამეტრის; ჯამის ფოთლები ფართო კვერცხისებრია, გადაშლილი, გვირგვინი-საგან ოდნავ დაცილებული, ბეჭვიანი; გვირგვინის ფურცლები ფართო უკუკვერცხისებრია, ოქროსფერ ყვითელი თანდათანაა შევიწროებული ვიწრო ფრჩხილში. ნაყოფი უკუკვერცხისებრია. 4—5 მმ სიგრძის, ბეჭვიანი, კიდეზე 2 პარალელური ძარღვით; ნისკარტი გრძელია, ძირიდანვე წრიულად და ხელული და წვერში კაუჭისებრი. VII—IX. 2n=16 (სურ. 15, 3).

აწერილია სვანეთიდან. ინახება ლენინგრადში.

იზრდება სუბალპურ, იშვიათად ალპურ სარტყელში მდელოებზე.

საქ. სსრ.: აფხ.: ბზიფის ხეობა (კორონოვი, ფურცხვანიძე), სვან.: უშ-გული, შხარას მყინვართან; ხალდეს მყინვართან, სოფ. აღმში (სოსნოვსკი); სამეგრ.: ასხის ქედი (კემულარია-ნათაძე, სინთიბიძე, ი. მიქელაძე).

სსრკ-ის დანარჩ. ნაწ.: იმიერკავკ.

შენიშვნა. ამ სახეობისათვის დამახასიათებელია შებუსვილი ნაყოფები, რითაც განტალევებული ალგილი უქავია გვარ *Ranunculus*-ის სექტია *Chrysanthemum* კავკასიის სახეობათა შორის. სამაგიროდ ახლოს დგას ირანის სახეობა — *R. trichocarpus*-თან და უფა აზიაში გავრცელებულ — *R. kopetdagensis*-თან.

◎. 28. *R. Sommieri* Albov in Bull. Herb. Boiss. I (1893) 245; Somm. et Levier Enum. (1890) 8; Н. Буш, Опред. Ranales (1919) 65; Гросг. Фл. Кавк. II (1930) 116; Колак. Фл. Абх. II (1939) 146; Овчинн., во Фл. СССР VII (1937) 419; კემულარია-ნათაძე საქ. ფლორა IV (1949) 65; Гросг. Опред. (1949) 56; Фл. Кавк. 2, IV (1950) 57; კემულარია-ნათაძე საქ. მცნ. სარკ. I (1964) 79; ქმ.-ნატ. რანალიევი და კავკაზე (1966) 218. — *R. Raddeanus* var. *Sommieri* Albov Prodr. (1895) 7; Липский Фл. Кавк. (1899) 208; Radde, Mus. Cauc. II (1901) 45; N. Busch in Fl. Cauc. Crit. III, 3 (1903) 160.

4. მცენარე 15—40 (50) სმ სიმაღლისაა, ცოტად თუ მეტად მოთეთრო ბეჭვით შემოსილი ან თითქმის შიშველი; ფესურა მომსხვილო, ჰორიზონტალური, გასული წლის ფოთლის ყუნწების ნარჩენი, მორუხო ყავისფერი მრავალი წვრილი ბოჭქოთი დაფარული; ფესვი მრავალრიცხვიანია, სხვადა-სხვა სისქის, მოყვითალო ფერის, წკეპლისებრი; ღერო მაღალია, სწორი,

დატოტეილი ან მარტივი, ჩვეულებრივ შებუსვილი და შეფოთლილი; ფერ-
თანური და ღრეული ქვედა ფოთლები გრძელყუნწიანია, ფართო ფერული
ცხისებრი ვაგინით; მათი ფირფიტა მოხაზულობით ფართო კვერცხული ფერ-
ფოთისებრად დაყოფილი ერთმანეთს დაშორიშორებულ სამაღ გაყოფილ ხა-
ზურ ან ლანცეტისებრ ნაკვთიან სეგმენტებად; ღრეული შებუსვილი ზედა ფოთლები
მჯდომარეა, ხაზურ ან ლანცეტა წაწვერებულ ნკვთებად განკვეთილი. ყვავილი
დიდი ზომისაა, 2,5—3,6 სმ ღიმეტრის; ჭამის ფოთლები კვერცხისებრია გა-
დაშლილი, გვირგვინისაგან ოდნავ დაცილებული, გრძელბეწვიანი, ძლიერ
ჩაღრმავებული; გვირგვინის ფურცლები ფართო უკუკვერცხისებრია, ყვითე-
ლი. თესლურა შიშველია, გრძელი მოკაუჭებული ნისკარტით. VII—VIII.
2n=28.

ტიპი: აწერილია აფხაზეთიდან. „ავათხარა ნ. ალბოვი“.

იზრდება სუბალპურ სარტყელში, ტენიან მდელოებზე და მდინარეთა ნა-
პირებზე.

საქ. სსრ.: აფხ.: ავათხარას სათავეები (ალბოვი), მარუხის გადასავალი
(ალბოვი), პევის გადასავალი (ალბოვი; ვორონოვი); ბზიფის ქედი, ხიმისა (ვე-
დენსევი); სამეგრ.; ასხის ქედი (ალბოვი; კემულარია-ნათაძე, ხინთიბიძე,
ი. მიქელაძე).

სსრკ-ის დანარჩ. ნაწ.: იმიერკავკ. (დას. ნაწ.), ამიერკავკ.: შავი ზღვის
სანაკ.

შენიშვნა. ეს სახეობა მეტად ახლოს დგას R. Raddeanus-თან. ალბათ
ამით უნდა აისწნას, რომ ოვით ავტორმა (Albov, Prodr. Fl. Colch. 1895)
შემდეგში უარყო მისი დამოუკიდებლობა და სახესხვაობის მნიშვნელობით R.
Raddeanus-ს დაუქვემდებარა.

ამ ორი სახეობის ძირითად განმასხვავებელ ნიშანს ნაყოფის შებუსვა ან შეუ-
ბუსაობა და გავრცელების არეალი წარმოადგენს. ვარ Ranunculus-ის სახეობა-
თა შორის ნაყოფის შებუსვა ძალიან იშვიათად გვხვდება და მეტად მყარ განმას-
ხვავებელ ნიშანს წარმოადგენს. რაც შეეხება მათი გავრცელების არეალს, აღსა-
ნიშვნავია, რომ ორივე სახეობა გვხვდება სუბალპურ სარტყელში, მხოლოდ R.
Sommierii იზრდება საერთო გავრცელების არეალის დასავლეთ, ხოლო R. Radde-
anus აღმოსავლეთ ნაწილში.

მწყრივი 12. *Angustilobi* Ovcz. — ფოთოლი ფრთისებრ სამმავია, ვიწრო
სეგმენტებით. ნაყოფი მოკლე ნისკარტითა 0,5—0,8 (1) მმ სიგრძის.

29. *R. osseticus* Ovcz. ვო ფ. CCCP VII (1937) 430; Addenda, IV
743; კემულარია-ნათაძე საქ. ფლორა IV (1948) 66; კემულარია-ნათაძე საქ. მცენ.
სარქ. I (1964) 79; კემ.-ნატ. Раналиевые на Кавказе (1966) 219 — *R. caucasicus* et *R. Raddeanus* auct. cauc. p.r.

4. მცენარე, გამსხვილებული ირიბი ფესურითაა, რომელზედაც მრავალ-
რიცხვანი ფუნქა ფესვებია განვითარებული; ღრებ 20—55 სმ სიმაღლი-
საა, ან უფრო მაღალი ან დაბალი, შებუსვილი ან იშვიათად შიშველი.
ფესვთანური ფოთლები გრძელი ყუნწებითაა, რომლებიც გადადის ღია მურა
ფერის, ცოტად თუ მეტად ბეწვიან გრძელ ვაგინაში; მათი ფირფი-
ტა დიდი ზომისაა, 4—9,5 სმ სიგრძის და 3—7 სმ სიგანის, მოხაზულობით
ფართო კვერცხისებრია, სამჯერაა ვიწრო ლანცეტა ან სოლისებრ ნაკვთებად

გაყოფილი; ღეროსეული ქვედა ფოთლები ჩვეულებრივ არ არის განვითარებული, ფესვთანური ფოთლების მსგავსია; ზედა ფოთლები მჯდომარეა; ძარამდეგა გაყოფილი წაგრძელებულ ხაზურ ნაკვთებად. ყვავილი ნიშანის გვითვის ყვითელია, ხშირად შეკრებილია ნახევარფარისებრ ყვავილებში; ჭავან ფოთლები გადაშლილია, კვერცხისებრი შებუსვილი; გვირვინის ფურცლები უკაკერცხისებრია, 2,7—3,4 სმ-დე დაომეტრის. ნაყოფი უკაკერცხისებრია, გვერდებშეპარტიულებული, კილისებრი არშიით, ზურგზე 2 მოხრილი პარალელური ძარღვით და ერთი გრძელი და მოკლე დამატებითი ძარღვით მუცლის მხარეზე. ნისკარტი მოკლეა 0,5—0,6 სმ-დე სიგრძის, ზუა ნაწილის ზემოთ კაუჭისებრ მოხრილი. VI—VII (სურ. 15, 1).

ტიპი. აშერილია ოსეთიდან „შუახური მდინაოე ბესტაუტიალონი, წიფლნარ ტყეში ე. და ნ. ბუში“. ინახება ლენინგრადში.

იზრდება ტყის ზედა სარტყლის მდელოებსა და სუბალპურ მდელოებზე.

საქ. სსრ.: რაჭა-ლეჩხ.: მთა შაქრისთავი, ღესკე (კემულარია-ნათაძე), მამისონის გადასავალი (მედვედევი), მთა ჭუთხარო (კემულარია-ნათაძე, გ. ვიკინძე); ქართ.; ბაკურიანი, ცხრაწყარო (კოზლოვსკი), ლომისმთა (მედვედევი); სამხ. ოს.: შუაწყური, მდინარე დიდი ლიახვის აუზი (ე. და ნ. ბუში), ყელისტბა (ა. ხარაძე); მთიულ.: გუდამაყრის ხეობა, სოფ. არხოტეა და სნოს შორის (ცედენსკი); თუშ-ტუშ-ხევსურ.: ყუდო-ხილონის მთა (უგრებელიძე).

სსრკ-ის დანარჩ. ნაწ.: იმიერკავკ. (ჩრდ. ოსეთი).

30. *R. transcaucasicus* Kem.-Nath. ვო ფლ. ერთ. (1948) 67; Not. Syst. Georg. Thbilis. 23 (1963) 32; კემულარია-ნათაძე საქ. მცენ. სარკ. I (1964) 79; Kem.-Nat. Раналиевые на Кавказе (1966) 220. — *R. caucasicus* auct. cauc. p.p. — *R. merovensis* Ovcz. ვო ფლ. CCCP VII (1937) 429 (non Grossh.) p.p.

4. მცენარე 14—50 (100) სმ სიმაღლისაა, ცოტად თუ მეტად შებუსვილი, მორუხო; ფესვრა მოკლეა, მსხვილი, სწორი ან ირიბი წვრილი, მორუხო ფერის ცილინდრული ფესვებით; ღერო ერთია ან რამდენიმე, დაკლაკნილი ან სწორი, გაფანტული თეთრი ბეწვითაა შემოსილი, რომელიც ქვედა ნაწილში გაფარისებულია ან ქვევით მიმართული; ფოთოლი ქვედა მხარეზე გამობურულები ძარღვებითაა; ფესვთანური ფოთლები ყველა ერთნარია, გრძელყუნწიანი, ორჯერ ფოთლისებრ განკვეთილი ვიწრო ლანცეტა ნაკვთებად, ან ფოთლები სხვადასხვანარია, ზოგი ზედარებით მოკლეყუნწიანია და სამხაგადაა განკვეთილი უფრო ფართო ნაკვთებად; ღეროსეული ზედა ფოთლები მჯდომარეა ან მოკლეყუნწიანი. ყვავილი საშუალო ზომისაა, 1,5—3,5 სმ ღიამეტრის; ჭამის ფოთლები გადაშლილია, გვირგვინისაგან ღრდაგაა დაცილებული, კვერცხისებრი, შებუსვილი; გვირგვინის ფურცლები უკუკერცხისებრია, კაშკაშა ყვითელი; სანექტრე ფოსო მოგრძო ქერქლოთა დაფარული. ნაყოფი უკუკერცხისებრია, ოდნავ გვერდებშებრ-ტყელებული, ზურგზე 2 პარალელური სიგრძივი ძარღვით, მუცლის ზედა ნაწილში კი დანაოჭებული ძარღვებითაა; ნისკარტი მოკლეა, სწორი ან კაუჭისებრი. VI—VIII.

იზრდება ტყის ზედა სარტყლიდან ალპურ სარტყლამდე, მდელოებსა და ტყისპირებზე.

აშერილია მანგლისიდან. ინახება თბილისში.

საქ. სსრ.: ქართ.: კოჯორი, წავერი (კემულარია-ნათაძე), ატენის ხელმა, თხინვალი (სოსნოვსკი), სურამის ახლოს (კოზლოვსკი), ბორჯომის მიდამოები (იგივე), ბაგურანი (კოზლოვსკი); სულავერე და კაპელერი), ცეტაწყურული რო (კოზლოვსკი); თრიალ.: მანგლისი (ნიკოლაევი); ჭავაძ.: ტარუშევიშვილი (კოზლოვსკი), გორელოვსკი); მიღამოები (გროსპერი); შ. ნახუცრიშვილი, ლ. ყავრიშვილი, ზავაძე), როდიონოვა (ზედელმეირი, მავაკიანი, ე. პეტ-როსიანი), აბულის მთა (შ. ნახუცრიშვილი), ტამბოვკა (მაყაშვილი).

სსრ-ის დანარჩ. ნაჭ.: ამიერკავკ.: აზერბ., სომხ.

var. *parviflorus* Kem.-Nath. — ყვავილები პატარა ზომისაა, 1—1,5 სმ დიამეტრის. ლერო წვრილია, შებუსვილი. ფოთლის ფირფიტა ერთმანეთისაგან საკმაოდ დაშორებული სეგმენტებითაა.

აჭერილია ლორის ველიდა (ჩრდ. სომხეთი).

იზრდება მაღალმთის ველებზე.

პოვნა შესაძლებელია მოსაზღვრე რაიონებში.

მშერივი 13. *Reptentes* Ovcz. — მცენარე მხოხავი, მიწისზედა ყლორტებითაა; ფოთლი სამაღ ან ორჯერ, ანდა ფრთისებრ სამაღადა განკვეთილი ყუნწიან სეგმენტებად, რომელთაგან შეუა სეგმენტი უფრო გრძელყუნწიანია, ან გვერდითი სეგმენტები მჯდომარეა. ჯამის ფოთლები გაშლილია.

31. *R. repens* L. Sp. Pl. (1753) 554; Ledeb. Fl. Ross. I (1842) 44; Акинф. Фл. Центр. Кавк. (1894) 40; Albov Prodr. (1897) 4; Липский Фл. Кавк. (1899) 206; Radde, Mus. Cauc. II (1901) 44; N. Busch in Fl. Cauc. Crit. III, 3 (1903) 152; Гросг. Фл. Кавк. II (1930) 116; Овчинн., во Фл. СССР VII (1937) 423; Колак. Фл. Абх. II (1939) 146; კემულარია-ნათაძე საქ. ფლორა IV (1948) 68; Гросг. Опред. (1949) 57; Фл. Кавк. 2, IV (1950) 58; Дмитриева, Опред. раст. Аджар. (1953) 46; Макашвили, Опред. раст. окр. Тбилиси. I (1952) 115; კემულარია-ნათაძე საქ. მცენ. სარკვ. I (1964) 75; Кем.-Нат. Раналиевые на Кавказе (1966) 225.

4. მცენარე შიშველია ან იშვიათად ბეწვითაა შემოსილი; ფესურა დამოკლებულია, თასმისებრი ფესვებითაა; ლერო განრთხმულია ან წამოწეული, ძირში გრძელი მხოხავი მიწისზედა ყლორტებით, რომლებიც ზოგჯერ ფესვიანდება; ფოთოლი რთულია, სამაღ ან ორმაგ-სამაღადა ფრთისებრ განკვეთილი ყუნწიან სეგმენტებად, რომელთაგან შეუა სეგმენტი უფრო გრძელყუნწიანია, ვიდრე გვერდითები; ყველა ფოთოლი ცოტად თუ მეტად გრძელყუნწიანია, სულ ზედა ფოთლები მჯდომარეა. ყვავილი 15—23 (25) მმ ღამიერის; ჯამის ფოთლები შიშველია. გადაშლილი, გვირგვინისაგან დაცილებული; გვირგვინის ფურცლები ოქროსფერ ყვითელია ჯამის ფოთლებზე ორჯერ გრძელი. ნაყოფი მომრგვალო კვერცხისებრია, გვერდებშებრტყელებული, ხშირად ფოსებით მოფენილი, კიდეზე არშიანი; ნისკარტი თითქმის სწორია, საკმაოდ გრძელი. V—VIII. 2n=12; 16; 24; 32.

აჭერილია ევროპიდან, ინახება ლონდონში.

იზრდება მთის ქვედა სარტყლიდან ტყის ზედა სარტყლამდე, მეტწილად ტერინან აღგილებში, მდინარეთა და ნაკაღულების ნაპირებზე.

9. საქართველოს ფლორა, II

საქ. სსრ: ყველა რაიონში.

სსრკ-ის დანარჩ. ნაწ.: იმიერკავკ.; ამიერკავკ.; ევრ. ნაწ.; ციმბ.; შუა ქა.; შორ. აღმ. მხრ.

საერთო გავრცელ.: ევრ.; ხმელთაშ. ზღვ. მხრ.; მც. აზ.; სომხ. სამხრეთურმაყაფა; ევრ.

მწერივი 14. *Obesi Ovcz.* — ფოთლის ფირფიტა მომრგვალო ან სოლი-სებრი ძირითაა, მთლიანი ან სამაღლა განკვეთილი კვერცხისებრ, დაებილულ სეგმენტებად. ღერო გაფანტული, მიტკეცილი ბეწვითაა შემოსილი ან შიშ-ველია. ყვავილსაჭდომი შიშველია; ჯამის ფოთლები ქვევითაა გადაეცილო.

32. *R. obesus* Trautv. in A. H. P. III, 2 (1875) 275; IV, 1,100; Boiss. Fl. Or. Suppl. (1887) 15; Липский Фл. Кавк. (1899) 200; Radde, Mus. Cauc. I (1901) 46; N. Busch in Fl. Cauc. Crit. III, 3 (1903) 147; Гросег. Фл. Кавк. II (1930) 114; Овчинн., во Фл. СССР VII (1937) 457; კუმულარია-ნათაძე საქ. ფლორა II (1948) 71; Гросег. Опред. (1949) 55; Фл. Кавк. 2, IV (1950) 67; კუმულარია-ნათაძე საქ. მცენ. სარკ. I (1964) 80; Кем.-Нат. Раналиевые на Кавказе (1966) 226.

4. მცენარე შიშველია ან ზედა ნაწილში გაფანტული ბეწვითაა შემოსილი. ფესურა მოკლეა, გამსხვილებული, გასული წლის ფოთლის ყუნწების ნარჩენი მრავალი ბოჭკოთა დაფარული; ფესურები წვრილია; ღერო მსხვილია, რიცხვით 2—3 ან მარტოული, 20—55 სმ სიმაღლის; ფოთოლი სქელია, ხორცოვანი, გაშრობის შემდეგ ტყავისებრი; ფესურთანური და ღეროსეული ქვედა ფოთლები გრძელყუნწიანია, მათი ფირფიტა მოხაზულობით უკუკვერცხისებრ ან თირქმლისებრ მომრგვალოა, სამნაკვთიანი, იშვიათად მთლიანი, კიდეზე მსხვილი კბილებით, ძირში მომრგვალო ან ფართო სოლისებრი; ზედა ფოთლები მჯდომარეა, სამაღლა გაყოფილი ლანცეტა ნაკვეთებად. ყვავილი დიდი ზომისაა 2,5—4 სმ დიამეტრის; ჯამის ფოთლები ქვევითაა გადაკეცილი, ფართო კვერცხისებრია, გრძელი ბეწვით შემოსილი; გვირგვინის ფურცლები მომრგვალო უკუკვერცხისებრია, წვერში ოდნავ ამოკეთილი, ოქროსფერ ყვითელი. ნაყოფი მომრგვალო კვერცხისებრია, გვერდებშებრტყელებული, ვეწრო არშიითა და კაუჭისებრი, საკმაოდ გრძელი ნისკარტით. VII (სურ. 16,1).

ტიპი: აწერილია მესხეთიდან (თურქეთის მოსაზღვრე რაიონიდან) რადეს მიერ 1874 წელს შეგროვებულ მასალებზე.

იზრდება ჭაობებსა და დაჭაობებულ ადგილებში.

საქ. სსრ: აჭარა: აჭარა-იმერეთის ქედი, ჩინჩა (მაყაშვილი); მესხ.: ახალციხის რაიონი, თურქეთის საზღვართან (რაღე).

საერთო გავრც.: ართვინის ოლქი, არსიანის ქედი.

შენიშვნა. მეტად თავისებური სახეობაა და *Chrysanthus*-ს სექციაში დამტუკიდებული ადგილი უკავია. ეს სახეობა დიდხანს მხოლოდ ერთი პუნქტითან იყო ცნობილი (რადეს მიერ ახალციხის ყოფილი მაზრიდან თურქეთის საზღვართან 1874 წელს შეგროვებული მასალის მიხედვით), მაგრამ 1932 წელს ა. მაყაშვილის მიერ საკმაოდ დიდი რაოდენობით ნახული იყო აჭარა-იმერეთის ქედზე ბახმაროდან 20 კმ-ზე დაშორებულ ჩინჩაოს ჭაობში. გარდა

ამისა საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკის ინსტიტუტში დაცულია
ამ მცენარის ეგზემპლარები, შეგროვებული ო. ვორონოვის მიერ 1907 წელს
ართვინში, არსიანის ქედზე დე სოსნოვსკის მიერ ოლთისში.

მუკრივი 15. *Anemonifolii* Ovcz. — მცენარე თეთრი, ჩილი ბეჭვითაა შე-
მოსილი ან თითქმის შიშველია. ნაყოფი სუსტად გამოსახული ვიწრო არშითა
და ძალიან მოკლე ნისკარტითაა. ჯამის ფოთლები გადალუნულია; ყვავილსაჯდო-
მი შიშველია.

©. 33. *R. elegans* C. Koch in Linnaea, XV (1841); Гроссг. Фл. Кавк. II
(1930) 115; Овчинн., во Фл. СССР VII (1937) 456; Колак. Фл. Абх. II
(1939) 153; კემულარია-ნათაძე საქ. ფლორა IV (1948) 70; Гроссг. Опред.
(1949) 56; Фл. Кавк., 2, IV (1950) 66; Карагин, во Фл. Азерб. IV (1953)
88; Тахтадж. Фл. Арм. I (1954) 4; კემულარია-ნათაძე საქ. მცენ. სარკ. I
(1964) 80; Кем.-Нат. Раналиевые на Кавказе (1966) 229. — *R. anemoni-
folius* (non DC.) auct. caue. p. max. p.

4. მცენარე თეთრი აბრეშუმისებრი ბეჭვითაა შემოსილი; ფესურა გა-
სული წლის ფოთლების ყუნწის ნარჩენი მუქი მურა ფერის მრავალი ბოჭკო-
თა დაფარული; ფესვები თასმისებრია, გამსხვილებული; ღერო მეტწილად
2—3, ძირში გამსხვილებული, მრავალყვავილინი, გრძელი, თეთრი გაფარ-
ჩეული, ხშირად თითქმის ქვევით მიმართული ბეჭვით სქლად შემოსილი;
ფოთლი შებუსვილია, განსაკუთრებით ხშირი შებუსვითაა ქვედა მხრიდან;
ფესვთანური ფოთლები ცოტად თუ მეტად გრძელუნწიანია, მათი ფირფიტა
მოხაზულობით კვერცხისებრ სამჟუტხაა, ღრმად თითქმის ძირამდეა გაყოფი-
ლი სამ, არათანაბრად განკვეთილი და ერთიმეორესთან შემხებ, დაკბილულ
სეგმენტად, რომელთაგან შუა სეგმენტი რომბისებრია, ძირში სოლისებრ
შევიწროებული და თანაბრალაა სამ მოგრძო ნაკვთად გაყოფილი; გვერდითი
სეგმენტები არასწორ რომბისებრია და 2—3-ნაკვთიან ნაწილადა გაყოფი-
ლი; ფირფიტის ძირში არსებული ამონაკვეთი ვიწროა და ღრმა, გვერდითი
სეგმენტების კიდეებითაა დაფარული; ღრძოსეული ფოთლები მჯდომარეა,
სამდაა გაყოფილი ფართო ლანცეტა, დაკბილულ სეგმენტად. ყვავილები ფა-
რისებრ ყვავილებშია შეკრებილი, დიდი ზომისა, 2,5—3 სმ დიამეტრის;
ჯამის ფოთლები გადალუნულია, მოხაზულობით კვერცხისებრი, შებუსვილი;
გვირგვინის ფურცლები უკუკერცხისებრია, ზოგჯერ წვერში ამოკვეთილი. ნა-
ყოფი 3—3,3 მმ სიგრძისაა, მომრგვალო კვერცხისებრი, გვერდებშებრტყე-
ლებული, კიდეზე არშიანი; ნისკარტი 0,3—0,6 მმ სიგრძისაა, ფართო ძირით
და მოკლე კაუჭისებრი წვერით. VI—VII. 2n=16. (სურ. 16, 2).

ტიპი: აწერილია სამხრეთ საქართველოდან (სომხითი, კ. კოხი 1837 წ.).
ინახება ლენინგრადში.

იზრდება ტყის ზედა სარტყლიდან ალპურ სარტყლამდე, მდელოებზე.

საქ. სსრ: ყველა რაიონში.

სსრკ-ის დანარჩ. ნაწ.: მოელ კავკასიაში.

შენიშვნა. *R. elegans*-და *R. anemonifolius*-და გარკვეული კაშა-
სის ეგზემპლარები იმდენად გვანან ერთმანეთს, რომ მათ შორის მკვეთრი საზღვ-
რის გავლება შეუძლებელია, და ჩვენი ბოტანიკოსების ცდა გამონახონ ამ ორი

სახეობისათვის დამოუკადებელი არეალი უშედეგოა, ამიტომ ჩენ ვეთანიშების
ძველ ბოტანიკურებს იმაში, რომ კავკასიში საქმე გვაძეს არა 2, არამედ ერთ
ხეობასთან. ნ. ბუში თვლის, რომ კავკასიში კაპადოკიადან დეკანდოლის ჭრიულული
რილი სახეობა— *R. anemonifolius*-ია გარეულებული; საქართველოს სისტემური ცა
რაიონიდან სომხეთიდან (სომხეთი) კ. კოხის მეტ გამოყოფილ—*R. elegans*-ს კი
მის ფარგლებში აერთიანდს.

სამწერაზო ჩენ *R. anemonifolius*-ს ტანკბრივი ეგზემპლარის ნახვის შესა-
ძლებლობა არ ვაკონდა. მაგრამ როგორც ირკვევა კავკასიის ეგზემპლარები უფრო
მეტად უახლოვდება *R. elegans*-ს, ვიდრე *R. anemonifolius*-ის დიაგნოზს, საგუ-
ლასხმია ის გარემოებაც რომ კ. კოხმა, რომლასთვისაც კარგად იყო დეკანდოლის
სახეობა (*R. anemonifolius*) ცნობილა, მაინც აწერა ახალი სახეობა კავკასიიდან.
აქედან ვამომდინარე უფრო მართებულად ვთვლით, რომ კავკასიისათვის მხოლოდ
სახეობა *R. elegans* დარჩეს.

O. 34. *R. georgicus* Kem.-Nath. ვი ფლ. გრუ. IV (1948) 71; Not. Syst. Georg. Thbilis. 23 (1963) 33; მაკაშვილი, ფლ. იმპ. თბილის. I (1952) 116;
კუმულარია-ნათაძე საქ. მცენ. სარეკ. I (1964) 81; კემ.-ნათ. რანაიევის ჩა კავკასიი (1966) 230. — *R. elegans* et *R. anemonifolius* auct. caue. p. p.

4. მცენარე ცოტად თუ მეტად ბშირი, აბრეშუმისებრი რბილი ბეწვითაა
შემოსილი; ფესურა სწორია ან ირიბი, გასული წლის ფოთლის ყუნწების
ნარჩენი მუქი მურა ან მორუხო ფერის მრავალი ბოჭკოთი დაფარული;
ფესვებით თასმისებრია მომსხვილო; ღერო 10—30 სმ სიღრმისაა, სწორი ან
ოდნავ წამოწეული, მარტივი ან დატოტვილი, რიცხვით 2—3; ფესვთანური
ფოთლები მრავალია, სხვადასხვა სიგრძის ყუნწებით; მათი ფირფიტა მოხაზუ-
ლობით 3—5 კუთხიანია, შუამდე ან შუა ნაწილის ზემოთ სამადაა გაყოფილი
ფართო რომბისებრ ან არასწორ რომბულ სეგმენტებად, ძირში ღრმადაა ამო-
კეთილი; ღეროსეული ზედა ფოთლები მჯდომარეა ან მოკლეყუნწიანი, მცი-
რერიცხვოვანი, თათისებრი ან სამადაა გაყოფილი; სულ ზედა ფოთლები
მთლიანია, ვიწრო ლანცეტა ან ხაზური. ყვავილი საშუალო ან პატარა ზომი-
საა, 1—2 სმ დამეტრის, კაშკაშია ყვითელი; ფამის ფოთლები უკანაა გადალუ-
ნული, ფართოკვერცხისებრი ან კვერცხისებრი, გრძელებული; გვირგვინის
ფურცლები ფართო უკუკერცხისებრია, მოკლე ფრჩხილით; სანექტრე ფოსო
ფართო ქერქლითაა დაფირული. ნაყოფები სფერულ თავაებადაა შეკრები-
ლი, თითოეული ნაყოფი ოდნავ შებრტყელებულია, ზურგისა და მუცლის
მხრიდან არშიანია; ნისკარტი მოკლეა, წვრილი, კაუჭისებრი. IV—VII.

ტიპი: აწერილია საქართველოდან „მცხეთის მიდამოები, არმაზის ხეო-
ბა. 17.V.1952, კუმულარია-ნათაძე“. ინახება თბილისში.

იზრდება ტყის შუა სარტყლამდე, რცხილნარ-მუხნარ ტყეში.

საქ. სსრ: იმერ.: შორაპანი (ლომავინი; ბუაჩიძე), ქუთაისი (მედვედევის
ჰერბარიუმიდან), იმედ (კუმულარია-ნათაძე, ა. ქუთათელაძე); ქართ.: მცხეთა
(ლიპსკი, კუმულარია-ნათაძე, მაყაშვილი).

ზენი ზენა. ახლოს დგას *R. elegans*-თან, რომლასგანაც განსხვავდება
უფრო პატარა ზომის ყვავილებით, შებუსვის ხსიათით, ეკოლოგიითა და გარეუ-
ლების არეალით.



35. R. Kotschy i Boiss. in Kotschy et Hohenacker Pl. Pers. austro-venetianae
cat. № 606 (1845); Boiss. Diagn. Ser. I, IV (1845) 136; Fl. Or. I (1867) 30;
Smirn. Enum. (1889) 951; Radde, Mus. Cauc. II (1901) 45; Овчинн., во
Фл. СССР VII (1937) 458; კემულარია-ნათაძე საქ. ფლორა IV (1948) 72; Гроссг.
Опред. (1949) 56; Фл. Кавк. 2, IV (1950) 66; Карагин, во Фл. Азерб. IV
(1953) 89; Тахтадж. Фл. Арм. I (1954) 194; Кем.-Нат. Раналиевые на
Кавказе (1966) 231. — R. anemonifolius var. Kotschy i Boiss. Suppl. Fl. Or.
(1886) 13; Липский Фл. Кавк. (1899) 208; N. Busch in Fl. Cauc. Crit. III
3 (1903) 146. — R. elegans Гроссг. Фл. Кавк. II (1930) 115 р. р

4. მცენარე 40—55 სმ სიმაღლისაა ხასიათდება მსხვილი, დამოკლებული ფესურით და თასმისებრი ფესვებით; ღერო ღრუა, შიშველი ან გაფანტულბეწვიანი, ნახევრად მიტყეცილი ან გაფარჩხული ბეწვით შემოსილი; ფოთოლი ზემოდან შიშველია ან შებუსვილი; ფესვთანაური ფოთლები გრძელყუნწიანია, გაფართოებული ვაგინით; მათი ფირფიტა ძირში სოლისებრია ან მომრგვალო, ძირამდე მარაოსებრად სამად გაყოფილი მოგრძო ლანცეტისებრ სეგმენტებად, რომლებიც ლანცეტება ან სოლისებრი ნაკვთებით ბოლოვდება; ზედა ფოთლები მჯდომარეა, სამად ვაყოფილი ლანცეტისებრ ნაკვთებად. ყვავილი დიდი ზომისაა, 2,5—3,5 სმ დიამეტრის; ჭამის ფოთლები გადაკეცილია; გვირგვინის ფურცლები ყვითელია, უკუკერცხისებრი. თესლურები (ნაყოფი) დიდი ზომისაა, 5 მმ-დე სიგრძის, მომრგვალო კვირცხისებრი, ბრტყელი; ნისკარტი მოკლეა, მოღუნული. VII. 2n=32.

აწერილია სამხრეთ ირანიდან, ინახება უენევაში.

იზრდება ტენიან და ჭამისან მდელოებზე და ბალებში.

საქ. სსრ.: ჭავახ.: სოფ. გოდორები (კოზლოვსკი), სოფ. ტამბოვკის ახლოს (ქ. ნახუცრიშვილი).

სსრ-ის დანარჩ. ნაწ.: ამიერკავკ.: აზერბ., სომხ.; შუა აზ.

საერთო გავრცელ.: სომხ.-ქურთ; ირ.

36. R. constantinopolitanus Urv. Dumont. d Urville, Enum. Pl. Archip. (1822) 61; Boiss. Fl. Or. I (1867) 49; Smirn. Enum. (1887) 950; N. Busch in Fl. Cauc. Crit. III, 3 (1903) 144; Опред. Renales (1919) 54; Овчинн., во Фл. СССР VII (1937) 452; კემულარია-ნათაძე საქ. ფლორა IV (1948) 70; Гроссг. Опред. (1949) 56; Фл. Кавк. 2, IV (1950) 65; კემულარია-ნათაძე საქ. მცენ. სარკ. I (1965) 80. — R. lanuginosus var. constantinopolitanus DC. Syst. I (1818) 291; Prodr. I (1824) 37. — R. tauricum Freyn (non Pall.) in Bull. Herb. Boiss. ser. 2 (1901) 248.

4. მცენარე ხშირი თეთრი ბეწვითაა შემოსილი; ფესურა დამოკლებული. თასმისებრი ფუნჯა ფესვებითაა; ღერო 25 სმ-მდე სიგრძისაა, ხშირი ჭავრისებრი გაფარჩხული ბეწვით შემოსილი; ფოთლები ხშირი თეთრი ბეწვითაა შემოსილი; ფესვთანაური და ღეროსეული ქვედა ფოთლები ხშირბეწვიანი გრძელი უცნებებითაა, მათი ფირფიტა მოხაზულობით ხუთუზთხინია, შუამდე ან უფრო ღრმად გაყოფილი ფართო რომბისებრ მახვილებილა სამ სეგმენტად; ზედა ფოთლები მჯდომარეა, სამადაა ლანცეტისებრ სეგმენტებად გაყოფილი; ყვავილები ნახევრადფარისებრია. ყვავილი 2—2,5 სმ დიამეტ-



რის; გამის ფოთლები შებუსვილია, გადაკეცილი, კიდეზე თეთრი ფართო ფერურულული შილი; გვირგვინის ფურცლები უკუკერცხისებრია კაშპაშა ყვითელზე ტეჭურისა ფი ფართო უკუკერცხისებრია, ბრტყელი, ვიწრო არშილია და მრგვლად დახველი 1,5—2 სმ სიგრძის ნისკარტით. IV—V. 2п=14, 42.

აწერილია კონტანტინეპოლის მიღამოებიდან. ინახება პარიზში.

იზრდება მთის შუა სარტყლამდე მუხნარ და წიფლნარ ტყეში.

საქ. სსრ.: აფქ.: ფსირცხა (ალბოვი); იმერ.: ქუთაისის მიღამოები (მედვე-დევის ჰერბარიუმიდან), თერჯოლა, შორაპანი (ლომავინი), ბუქნარი (ბუაჩი-ძე); ქართ.: მცხეთა, სურამი (კოზლოვსკი).

სსრ-ის დანარჩ. ნაწ.: იმიერკავკ.; ამიერკავკ.: შავი ზღვ. სანაპ., ევრ. ნაწ. (ყირიმი).

საერთო გავრცელ.: ხმელთაშ. ზღვ. მხრ. (ბალკ.); მც. აზ.; სომხ.-ქურთ.

მწკრივი 16. Dissectifolii Ovcz. — ფოთლი ორმაგ ან ოთხმაგ ფრთისებრ გაყოფილია მჯდომარე სეგმენტებად, რომლებიც თავის მხრიց მოგრძო ნაკვთებადაა დაყოფილი.

37. R. Huetii Boiss. Diagn. Pl. Ser. II, V (1856) 7; Fl. Or. I (1867) 43; Suppl. (1888) 11; Trautv. in A. H. P. IV (1875) 100; Trautv. Incr. (1882) 21; Смирн. Список раст. Кавк. (1889) 27; Smirn. Enum. (1886) 248; Лип-ский Фл. Кавк. (1899) 208; Radde, Mus. Cauc. II (1900) 45; N. Busch in Fl. Cauc. Crit. III, 3 (1903) 161; Гроссг. Фл. Кавк. II (1930) 116; Овчинн. во Фл. СССР VII (1937) 459; Гроссг. Опред. (1949) 57; Фл. Кавк. 2, IV (1950) 67; Кем.-Нат. Раналиевые на Кавказе (1966) 232.

4. მცხნარე რბილი, მიტკეცილი თეთრი ბეწვიათა შემოსილი; ფესურა თითქმის განუვითარებელია, თასმისებრი ფესვებით და გასული წლის ფოთლის ყუნწების ნარჩენების მკვრივი ბოჭკოვებით დაფარული; ფესვის ყელთან გრძელი თეთრი ბეწვებია განვითარებული; ღერო 7—10 სმ სიმაღლისაა, წამოწეული, ჩვეულებრივ 2—3 ან მარტივი 2—4 ყვავილით ან ერთ ყვავილიანია; ფესვთანური ფოთლები მოხაზულობით კვერცხისებრია, ჩვეულებრივ ფირფიტაზე ბევრად მოკლე უცნწებით; ფირფიტა მრავალჯერ ფრთისებრია გაყოფილი ხაზურ ან ხაზურ-მოგრძო, წვერში დაქბილულ ნაკვთებად; ღეროსეული ფოთლები მჯდომარეა, ღრმადა 2—3 ხაზურ ნაკვთად გაყოფილი, სულ ზედა ფოთლები მთლიანია. ყვავილი 2—2,5 სმ დიამეტრის, გამის ფოთლები გადაკეცილია; გვირგვინის ფურცლები უკუკერცხისებრია. ნაყოფი 3,5—4,5 მმ სიგრძისაა, არათანბარ ოვალური, ფიჭისებრი ზედაპირით და რამდენიმე პარალელური ძარღვით, რომელთაგან ორი აშკარად უერთდება ერთმანეთს ძირში; ნისკარტი მოკლეა, კაუჭისებრია.

აწერილია თურქეთიდან. ინახება უენევაში.

იზრდება ალპურ მდელოებზე.

საქ. სსრ.: მესხ.: აჭარისწყალის სათავეებსა და არდაგანის პლატოს შორის (რადე; სოსნოვსკი).

საერთო გავრცელ.: მც. აზ.



შეკრივი 17. *Bulbosi* Ovcz. ex. Kem.-Nath. (Цикл *Bulbosi* Ovcz.) — ლურთ
ძირში ტუბერისებრაა გამსხვილებული ან იშვიათად გამსხვილებული, ტემპერატურა
(ორწლოვანებში); ფესვთანური ფოთლების ფირფიტა სამაღაა სეგმენტებად გან-
კვეთილი; შუა სეგმენტი ყუნწიანია. ჯამის ფოთლები გადაკეცილია. ყვავილსაგ-
დომი ბეჭვიანია.

38. *R. bulbosus* L. Sp. Pl. (1753) 778; Ledeb. Fl. Ross. I (1842) 44;
Boiss. Fl. Or. I (1867) 38; Шмальг. Фл. Средн. и Южн. Росс. I (1895) 21;
Липский Фл. Кавк. (1899) 206; Radde, Mus. Cauc. II (1901) 44; N. Busch
in Fl. Cauc. Crit. III, 3 (1903) 151; Гроссг. Фл. Кавк. II (1930) 112;
Овчинн., во Фл. СССР VII (1937) 150; კემულარია-ნათადე საქ. ფლორა IV
(1948) 69; Гроссг. Опред. (1949) 54; Фл. Кавк. 2, IV (1950) 64; Карягин,
во Фл. Азерб. IV (1953) 87; Дмитриева, Опред. раст. Аджар. (1959) 45; კო-
მულარია-ნათადე საქ. მცენ. საჩვ. I (1964) 80; Кем.-Нат. Раналиевые на Кав-
казе (1966) 233.

4. მცენარე თითქმის განუვითარებელი ფესურითა და მთლიანად ან ნაწი-
ლობრივ გამსხვილებული ფუნქა ფესვებითაა; ღერო მდიდარი, 78 სმ-მდე სი-
მაღლის, ბოლქვისებრ გამსხვილებული ძირით; ფესვთანური ფოთლები გრძელი
გაფარჩეულებეჭვიანი ყუნწებითაა, მათი ფირფიტა ღრმადა განკვეთილი სეგ-
მენტებად, რომელთაგან შუა სეგმენტი ყუნწიანია, გვერდითები კი მკლომა-
რე; ყველა სეგმენტი დანაკვთულია 2—3 წარწერებულ დაკბილულ ნაკვთად;
დანარჩენ ფოთლები მჯდომარეა, სამაღაა მოგრძო სოლისებრ სეგმენტებად
გაყოფილი; ყვავილსაგდომი ბეჭვიანია. ყვავილი 2,5 სმ დიამეტრის; ჯამის
ფოთლები ქვევითაა გადალუნული; გვირგვინის ფურცლები 7—12 მმ სიგრძი-
საა, ოქროსფერ ყვითელი. ნაყოფი გვერდებშებრტყელებულია, ბრტყელი,
მომწვანო დაღარული არშიითა და მოკლე სწორი ან ოდნავ მოღუნული ნის-
კარტით. IV—VI. 2n=14, 16.

აწერილია ევროპიდან. ინახება ლონდონში.

იზრდება მთის შუა სარტყლამდე ბუჩქნარში, ტყის პირებზე, ზღვისპირებსა
და მშრალ მდელოებზე.

საქ. სსრ: ყველა რაიონში.

სსრ-ის დანარჩ. ნაწ.: იმიერკავკ., ამიერკავკ.: აზერბ., შავი ზღვ. სანაპ.,
ევრ. ნაწ.

საერთო გავრცელ.: ჩრდ. და შუა ევრ.; ხმელთაშ., ზღვ. მხრ.; მც. აზ.;
სომხ.-ქურთ.; ჩრდ. ამერ. (გზადმოყოლილია).

39. *R. pseudobulbosus* Schur Uerh. Sieb. Natur. (1853) 29; in Oest. Bot.
Zeit. (1861) 250; Гроссг. II (1930) 111; Овчинн., во Фл., СССР VII (1937) 450;
კემულარია-ნათადე საქ. ფლორა IV (1948) 69; Кем.-Нат. Раналиевые на Кав-
казе (1966) 233. — *R. sardous* var. *laevis* Čelak. ex Шмальг., Фл. Средн.
и Южн. Росс. I (1895) 21; N. Busch in Fl. Cauc. Crit. III, 3 (1903) 138;
Гроссг. фл. Кавк. II (1930) 111. — *R. sardous* var. *pseudobulbosus* Grossh.
Фл. Кавк. 2; IV (1950) 4.

4. მცენარე ცოტად თუ მეტად შებუსვილია, მოკლე განუვითარებელი ფე-
სურითაა და მრავალი გრძელი თასმისებრი ფესვებით; ღერო მარტივია, სწო-



რი 10—30 სმ სიმაღლის, გაფარჩეული ბეწვით შემოსილი, ძირში აუზუნდებული სხვილებული; ფესვთანური ფოთლები სამფოთოლაკიანია, ან ორჯერაა სამად-დანავთული ან განკვეთილი სეგმენტებად, რომელთაგან შუა სეგმენტი ყუნწიანია. ყვავილი 10—20 მმ ღიამეტრისაა; ჭამის ფოთლები გადაკეცილია; ყვავილსაჭდომი ბეწვიანია. ნაყოფი ძლიერაა შებრტყელებული, კიდეზე ორ-ლარიანი არშითაა, გლუვი ან კიდის გაყოლებით ბორცვებიანი; ნისკარტი მოკლეა. VI—VII.

აწერილია ავსტრიიდან, ინახება ვენაში.

იზრდება დაბლობებსა და მთისწინებზე ტენიან მდელოებზე, მინდვრების პირას.

საქ. სსრ: აფხ.: სოხუმი (ფურცხვანიძე; კვარაცხელია); სამეგრ.: ზუგდი-დი, ახალი-სენაკი (კემულარია-ნათაძე); იმერ.: წულუკიძის რაიონი (შ. ქუთათელაძე); აჭარ.: ციხისძირი, მწვანე კონცხი (ზედელმეერი).

სსრ-ის დანარჩ. ნაწ.: ამიერკავკ.: შავი ზღვ. სანაპ.; ევრ. ნაწ.: (შუა და ზემო დნეპრ., ყირიმი).

საერთო გავრცელ.; სკანდ.; შუა ევრ.; მც. აზ.

შენიშვნა. ეს სახეობა ჩვენთან იშვითადაა გავრცელებული, ცნობილია მხოლოდ დასავლეთ საქართველოდან. გარეგნული იერით ძალიან ჰგავს *R. bulbosus*-ს, რომლისგანაც ძირითადად განსხვავდება ლეროს ძირში ტუბერისებრი გამსხვილების უქონლობით და კიდეზე არშიის მქონე ნაყოფებით. ზოგი მკვლევარი ამ სახეობას *R. sardous* Grantz-ის ფარგლებში აერთონებს და სახესხვაობის მნიშვნელობით განიხილავს. *R. sardous*-ს ჩვენ სექცია *Pachyloma*-ს გაუთვენებთ.

სექცია 4. *Hecatomia* Lour.—ერთ ან ორწლოვანი მცენარეებია, ღრუ ლერთი და პატარა ყვავილებით. გვირგვინის ფურცლები პატარა ზომისაა ჭამის ფოთლების ტოლი ან ოდნავ გრძელი, ჩვეულებრივ 5; სამტვრე მოკლეა, თათქმის მომზადობის დინგი მჯდომარეა, სადგისისებრი. ნაყოფი მრავალია, (70—100-მდე), გრძელი, მჭიდრო თავაკად შეკრებილი.

მწერივი 18. *Scelerati* Kem.-Nath. — ნაყოფიანი თავაკი მჭიდროა; ნაყოფის გვერდითი ზედაპირი გრძლივარდმთ ნაოჭიანია; ნაყოფზე ღრუ ბლობლისებური ქსოვილი ფარგლება გამოსახული, რის გამოც ნაყოფის წიბო ბლავია.

40. *R. sceleratus* L. Sp. Pl. (1753) 551, 776; M. Bieb. Fl. Taur.-Cauc. II (1808) 24; DC. Prodr. I (1824) 34; C. Kech in Linn. XV (1841) 240; Ledeb. Fl. Ross. (1842) 45; Boiss. Fl. Or. I (1867) 52; Trautv. in A. H. P. IV, I (1884) 101; Smirn. Enum. (1887) 952; Акинф. Фл. Центр. Кавк. (1894) 44; Шмальг. Фл. Средн. и Южн. Росс. I (1895) 17; Albov Prodr. (1897) 9; Липский Фл. Кавк. (1899) 209; Somm. et Levier Enum. (1900) 23; Radde, Mus. Cauc. II (1901) 45; N. Busch in Fl. Cauc. Crit. III, 3 (1903) 131; Гросг. Фл. Кавк. II (1930) 110; Овчинн., во Фл. СССР VII (1937) 408; Колак. Фл. Абх. II (1939) 144; კემულარია-ნათაძე საქ. ფლორა IV (1948) 76; Гросг. Опред. (1949) 53; Фл. Кавк. 2, IV (1950) 50; კემულარია-ნათაძე საქ. მცენ. სარკვ. I (1964) 81; Кем.-Нат. Раналиевые на Кавказе (1966) 235.

თ. მცენარე 7—50 სმ სიმაღლისაა, შიშველი ან მიტკეცილებულიანი; ღრუ ჩვეულებრივ სწორია ან დატოტვილი, ღრუ; ფოთოლი 3-ნაკვთიანია



ან სამაღად ღრმად გაყოფილი, პირში ფართო ამონაკეთით ან უძველეს მდგრადი რი; ფესვთანური და ლეროსეული ქვედა ფოთლები გრძელულწიანი, ფართო თო, თითქმის რომბისებრი ან უკუკერცისებრი, ფართო ბილიანი სეგმენტებით; ზედა ფოთლები მჯდომარეა და ვერტიკალური, ფართო ბილიანი სეგმენტებით; ზომისაა, 5—9 მმ დიამეტრის; ჭამის ფოთლები, გადაღულია, ვეირგვინის დაცილებული, ვეირგვინის ფურცლებზე გრძელი, ფართო სიფრიფანა არშიით, ქვემოდან შებუსვილი; ვეირგვინის ფურცლები უკუკერცისებრია, მომრგვალო, ფართო ფრჩხილით; ყვავილსაჭდომი ბეჭვიანია. ნაყოფები მჭიდროა, მოგრძო ცილინდრული ან გურზისებრი; ნაყოფი მრავალია, ძალიან პატარა ზომის, 1—1,3 მმ სიგრძის, უკუკერცისებრი, მომრგვალო, წვრილნაოჭიანი; ნისკარტი სუსტადა განვითარებული. IV—VI.
2n=16, 32.

აწერილია ევროპიდან, ინახება ლონდონში.

იზრდება ტენიან ადგილებზე.

მწკრივი 2. *Flaccida* V. Krecz. — ლია მწვანე ფერის მცენარეებით; ფოთლები უსწორითაა, ფარფეტა ორგერ-სამჯერ თანაბარ სეგმენტებადაა დაყოფილი. 1805 წ. 12, 2. ***B. divaricatum*** (Schrank) Schur. Enumer. pl. Transilv. (1805) 12, Овчинн., во Фл. СССР VII (1937) 340; კემულარია-ნათაძე საქ. ფლორა IV (1948) 86; Гросг. Опред. (1949) 53, Фл. Кавк. 2, IV (1950) 48; კემულარია-ნათაძე საქ. მცენ. სარკ. I (1964) 84; Кем.-Нат. Раналиевые на Кавказе (1966) 267. — *Batrachium flaccidum* (non Pers.) Гросг. Фл. Кавк. II (1930) 109. — *Ranunculus divaricatum* Schrank, Baier. Fl. II (1789) 104. — *R. aquatilis* M. Bieb. Fl. Taur.-Cauc. II (1808) 29, III (1819) 386; Н. Буш., Опред. Ranales (1919) 41. — *R. Drouetii* (non Schulz) N. Busch in Fl. Cauc. Crit. III, 3 (1903) 129. — *R. paucistamineus* (non Tausch) Н. Буш, Опред. Ranales (1919) 41.

4. ლია მწვანე ფერის მცენარეებით ვიწრო, შიშველი ღეროებით; ფოთლები ყველა წყალშია ჩაყურყუმელავებული, მოყვანილობით ნახევრად-სფეროსებრია 3—4 სმ სიგრძის, სამჯერ სამმაგ გაყოფილია ძლიერ წვრილ თანაბარი ზომის ბეჭვისებრ ნაკვეთად, წყლიდან ამოღებისას ნაწილობრივ ერთმანეთს სუსტად ეკვრის. ყვავილების დიამეტრი 10 მმ-ია; ყვავილის ყუნწი მომსხოვ და მოკლე, ფოთლის სიგრძისას ან ოდნავ გრძელია მათზე; ჯამის ფოთლები ადვილად და აღრე ცვივა; გვირგვინის ფურცლები მოყვითალოა, უკუკერტხისებრია ჯამზე თითქმის ორგერ გრძელი. დინგი ცილინდრულია. ნაყოფი მორუხოა, ოდნავ ჯაგრიანი. VI—IX.

აწერილია ეკროპიდან (ბავარია). ტიპი ინახება ბერლინში.

იზრდება მდგარ და ნელა მიმდინარე წყალში ტყის ზედა სარტყელამდე.

საქ. სსრ: ყველა რაიონში.

სსრკ-ის დანარჩ. ნაწ.: იმიერკავკ.; ამიერკავკ.; შავი ზღვ. სანაკ., აზერბ., სომხ.; ევრ. ნაწ.: შუა აზ.

საერთო გავრც.: ლას. ევრ.; ჩრდ. იმერ.

მწკრივი 3. *Paucistaminea* V. Krecz. — მუქი მწვანე ფერის მტვრევადი მცენარეა, ხუჭუჭა, სამჯერ სამმაგ დაყოფილი მჯდომარე ფოთლებით.

3. ***B. trichophyllum*** (Chaix) Bossche Prodr. Fl. Bat. (1850) 7; Овчинн., во Фл. СССР VII (1937) 344; კემულარია-ნათაძე საქ. ფლორა IV (1948) 86; Гросг. Опред. (1949) 53, Фл. Кавк. 2, IV (1950) 48; კემულარია-ნათაძე საქ. მცენ. სარკ. I (1964) 84; Кем.-Нат. Раналиевые на Кавказе (1966) 268. — *Ranunculus trichophyllum* Chaix ex Vill. Hist. pl. Dauph. I (1786) 335; N. Busch in Fl. Cauc. Crit. III, 3 (1903) 128.

4. მუქი მწვანე ფერის მცენარეა შიშველი ღეროთი. ფოთლი თითქმის უხეშია, ნახევრად მრგვალი მოყვანილობის, სამმაგ სამნაკვთიანი, წვრილი ძალიან ხუჭუჭი, წყლიდან ამოღების შემდეგ გაფარჩხსული, სხვადასხვა ზომის ნაკვეთით, შუა მათგანი გვერდითებზე მოქლეა; ფოთლის ვაგინა ფართოა, ბეწვიანი. ყვავილების დიამეტრი 12—15 მმ-ია; ყვავილის ყუნწი სხვადასხვა ზომისაა, თითქმის ფოთლების ტოლი; ჯამის ფოთლები აღრე ცვივა; გვირგვინის ფურცლები სოლისებრია, ჯამის ფოთლებზე 1,5—2 ჯერ

გრძელი; მტვრიანა 8—15. ნაყოფი მრავალია 20—30, განივნაოჭიანი, სეპტ.
სებრ-ბეწვიანი. IV—VIII. 2n=32;

აწერილია საფრანგეთიდან. (ლოფინე). ინხება პარიზში. ეროვნული
იზრდება ტყის ზედა სარტყელამდე, დამდგარ და ნელა შემდგასურებ
წყლებში.

საქ. სსრ: ყველა რაიონში.
სსრკ-ის დანარჩ. ნაწ.: იმიერკავკ.; ამიერკავკ. აზერბ., (თალიში),
ევრ. ნაწ. ციმბ.; შორ. აღმ.
საერთო გავრცელ. ციმბ. (ალტ.); შუა ევრ., ჩრდ. ამერ.

მუქივი 4. *Polysperma* V. Krecz. — თვაკები შეღება მრავალი 40—80
(90) ნაყოფისაგან (თესლურები).

4. *B. Rionii* (Lagg.) Nym. Syll. Fl. Eur. (1854—1855) 174; Гроесг. Фл.
Кавк. II (1930) 109; Овчинн., во Фл. СССР VII (1937) 346; კემულარია-ნათაძე
საქ. ფლორა IV (1948) 86; Гроесг. Опред. (1949) 53, Фл. Кавк. 2, IV (1950)
49; კემულარია-ნათაძე საქ. მცენ. სარკვ. I (1964) 84; ქმ.-Нат. Раналиевыне
на Кавказе (1966) 268. — *B. caespitosum* Grossh. Фл. Кавк. II (1930) 109
p.p. — *B. flaccidum* var. *parviflorum* C. A. Mey. in Beitr. Pfl. Russ.
Reich. VII (1849) 55 p.p. — *Ranunculus Rionii* Lagg. in Flora XXXI, I
(1848) 49. — *R. Drouetii* N. Busch in Fl. Cauc. Crit. III (1903) 129 p.p.
non F. Schulz — *R. trichophyllum* N. Busch c. l. 128 p. p. non Chaix.

4. მცენარე ჰეტარა ზომისაა, წვრილი მკვრივი ღეროებით; ფოთლები
მოყვანილობით განიერია და ნახევრალმრგვალი, ორჯერ-სამჯერ სამხავ და-
ნაკვთული წვრილი ოდნავ ხუჭუჭა სხვადასხვა ზომის ნაკვთებად, წყლიდან
ამოღებისას ერთმანეთს თითქმის არ ეხება, ქვედა ფოთლები ცოტად თუ ბევ-
რად გრძელ ყუნწებშეა მოთავსებული, ზედა ფოთლები თითქმის მჯდომა-
რეა. ყვავილის ყუნწებზე ბევრად გრძელია; ყვავილები წვრილია
6—8 სმ ღიამეტრის; ჭამის ფოთლები გაზიდულია, ოდნავ გადაზნექილი,
კვერცხისებრი ფორმის; გვირგვინის ფურცლები უკუ-კვერცხისებრია; მტვრი-
ანები 6—16; ნაყოფი წვრილია და მრავალი, 80-მდე, თითქმის მომზრვალო
და შიშველი ან ოდნავ ბეწვიანი. IV—VIII. 2n=16.


აწერილია შევიცარიიდან.
იზრდება დაბლობებიდან ტყის შუა სარტყელამდე, დამდგარ და წყნარად
მიმდინარე წყლებში.

საქ. სსრ: ყველა რაიონში.
სსრკ-ის დანარჩ. ნაწ.: იმიერკავკ., ამიერკავკ.; აზერბ., სომხ., ევრ.
ნაწ.; შუა აზ.

საერთო გავრცელ.: შუა და სამხ. აღმ. ევრ.; მც. აზ.

გვარი 10. *MYOSURUS* L.

ყვავილები მცირე ზომისაა, 5 წევრიანი; ჭამის ფოთლები ღია ყვითე-
ლი ფერისაა, აღრე ცვივა, ძირთან მოკლე, ძაფნაირად ვიწრო დეზით.
გვირგვინის ფურცლები ჭამის ფოთლებშე მოკლეა, ეიწრო-მოგრძოა, გრძელი



ძაფისებრი ფრჩხილით და სანექტრე ფოსოთი. მტვრიანა 5 ას მრავალი. ყვავილსაჭდომი ნაყოფის მომწიფების პერიოდში ძალიან გრძელია. კატეტურული ფი მრავალია, თითოეულში თითო თესლია, სამწანავანი. პატეტურული მის მცენარეებია მთლიანი ფოთლებით, ერთშლოვანებია. მტვრის მარცვლები სფეროსებრია სამღარიანი; ეგზინისა და ღარების მემბრანის ზედა-პირი მარცვლოვანია.

გვარი შეიცავს 7 სახეობას, რომლებიც მოელს დედამიწის ზურგზეა გაფანტული. ჩვენში გვხვდება მხოლოდ 1 სახეობა.

1. *M. minimus* L. Sp. Pl. (1753) 284; M. Bieb. Fl. Taur.-Cauc. I (1808) 258; Ledeb. Fl. Ross. I (1842) 26; Boiss. Fl. Or. I (1867) 19; Шмальг. Фл. Средн. и Южн. Росс. I (1895) 12; Липский Фл. Кавк. (1899) 205; N. Busch in Fl. Cauc. Crit. III, 3 (1903) 114; Гросгер. Фл. Кавк. II (1930) 107; Овчинин. во Фл. СССР VII (1937) 323; კემულარია-ნათაძე საქ. ფლორა IV (1948) 87; Гросгер. Опред. (1949) 52, Фл. Кавк. 2, IV (1950) 44; კემულარია-ნათაძე საქ. მცენ. სარკვ. I (1964) 84; Кем.-Нат. Раналиевые на Кавказе (1966) 262.

ც. მცირე ზომის 2—10 სმ სიშალლის, შიშეელი მცენარეა, მრავალრიცხოვანი ფუნჯა ფესვებით; მარტოულ ყვავილიანი ღერო, თითქმის ფესვთანური ფოთლების ტოლია ან მათ ოდნავ ალემატება; ფოთლები ფესვთანურია ვიწროხაზური, ბლაგვი და მრავალრიცხოვანი. ყვავილები წვრილი ყუნწებითა და მცირე ზომისაა; ჭამის ფოთლები მოთეთრო-მომწვანოა და ფუძესთან ვიწრო ღეზით ხასიათდება; გვირგვინის ფურცლები ღია ყვითელი ფერისაა გრძელი, ვიწრო ფრჩხილით და ფუძესთან სანექტრე ფოსოთი. ყვავილსაჭდომი ნაყოფების მომწიფებისას ძლიერ გრძელდება, ცილინდრულია და წაწვეტებული. IV—VI. 2n=16.

აწერილია ევროპიდან.

იზრდება ტენიან და ბიცობიან ადგილებში. ველებსა და ნახევრადუდაბნოს რაონებში.

საქ. სსრ.: „თბილისი, კუკის ტბა (ვ. შეროზია)“.

სსრ-ის დანარჩ. ნაწ. იმიერკავკ.: ამიერკავკ.: აზერბ., (თალიში); ვვრ. ნაწ.; დას. ციმბ. შეუ აზ.

საერთო გავრცელ.: ევრ.; მც. აზ.; ჩრდ. აფრ.: ავსტრალ.

გვარი 11. CERATOCEPHALUS MOENCH

ყვავილი ორმაგი ყვავილსაჭრითაა. ჭამის ფოთოლი 5-ია გვირგვინის ფურცლებზე მოკლეა. გვირგვინის ფურცლები 5, ყვითელი ფერის, ძირში ქერქლით დაფარული სანექტრე ფოსოთი. მტვრიანები მრავალია, თავისუფალი; ნაყოფის ფოთლები თავისუფალია. ნაყოფი ფუძესთან ორი ღრუბორცით და გრძელი, მაგარი სწორი ან ნამგლისებრ მოხრილი ნის; აზტით ხასიათდება. ერთშლოვანი, პატარა ზომის შებუსვილი მცენარეებია, თათისებრ გაყოფილი ხაზურნაკვთიანი ფოთლებით. მტვრის მარცვლები სამღარიანია; ეგზინის ზედაპირი მარცვლოვანია.

გვარი გავრცელებულია ევროპაში, ხმელთაშუაზღვეთში და შუა აზიაში. კავკასიაში გვარი წარმოდგენილია მხოლოდ ერთი სახეობით.

1. *C. falcatus* (L.) Pers. Syn. (1805) 341; C. Koch Linnaea XV (1841) 249; Ledeb. Fl. Ross. I (1842) 26; Boiss. Fl. Or. I (1867) 58; Липский Фл. Кавк. (1899) 209; Гросг. Фл. Кавк. II (1930) 108; Овчинн., во Фл. СССР VII (1937) 324; ქმულარია-ნათაძე საქ. ფლორა IV (1948) 88; Гросг. Опред. (1949) 52; Фл. Кавк. 2, IV (1950) 44; Тахтадж. Фл. Арм. I (1954) 9; ქ-მულარია-ნათაძე საქ. მცენ. სარკვ. (1964) 85; Кем.-Нат. Раналиевые на Кавказе (1966) 263. — *C. orthoceras* DC. Syst. I (1818) 231; Гросг. Опред. (1949) 52; Фл. Кавк. 2, IV (1950) 44; ქმულარია-ნათაძე საქ. ფლორა IV (1948) 88. — *C. testiculatus* Roth, Enum Pl. Phaner. Germ. I (1824) 1014; Гросг. Фл. Кавк. II (1930) 108. — *C. incurvus* Stev., *C. platyceras* Stev., *C. leiocarpus* Stev. Bull. Soc. Nat. Mosc. (1848) 269. — *Ranunculus falcatus* L. Sp. Pl. (1753) 781; Kuntze in Acta Hort. Petrop. X, I (1885) 341; Шмальг. Фл. Среди. и Южн. Росс. I (1895) 15; N. Busch in Fl. Cauc. Crit. III, 3 (1903) 126.

◎. მცენარე ძალიან პატარა ზომისაა, 2—3 (3,5) სმ სიმაღლის, ქერი-სებრ ან რბილბეწვიანი შებუსვით ან უფრო იშვიათად, თითქმის შიშველი; ღერა ცილინდრულია დამოკლებული, ფესვთანური ფოთლებით; ფოთლების ფირფიტა თათისებრ ღრმად განკვეთილია მთლიან ან ვიწრო ხაზურ-ნაკვებიან სეგმენტებად. ყვავილსაჭდომი გრძელია; ცილინდრული; ყვავილები წერილია გრძელყუბუწვებიანი; ჯამის ფოთლები ბეწვებიანია; გვირვევის ფურცლები ღია ყვითელი ფერისაა, უკუკვერცხისებრი ფორმის, ჯამის ფოთლებშიც ვაცილებით უფრო გრძელი. ნაყოფი ნამგლისებრ მოხრილი ან თითქმის სწორი ნისკარტითაა. III—IV. 2n=14.

აწერილია ევროპიდან, იზრდება ველებში მშრალ ფერდობებშე და და-სარევლიანებულ ადგილებში.

საქ. სსრ: ქართ.: მტკვრის მარჯვენა ნაპირი, ბორჯომის მიდამოება, ბორჯომშა და მწვანე მონასტერის შორის (კოზლოვსკი); თბილისი (მედვედევის ჰერბარიუმიდან); მესხ.: ახალციხე (ვინოგრადოვი; ნიკიტინი; სოსნოვსკი), ქმულარია-ნათაძე, მანდენოვა).

სსრკ-ის დანარჩ. ნაწ.: იმიერკავკ. (დალესტანი), იმიერკავკ. შავი ზღვ. სანაპ., აზერბ., სომხ. ევრ. ნაწ.: შუა აზ.

საერთო გავრც.: შუა ევრ.; მც. აზ.; სომხ.-ქურთ.; ირ.; ინდო-მალ.

რიგი 2. NYMPHAEALES DC.

შენიშვნა: ცნობილი ფრანგი ბოტანიკის ა. დეკანდოლის მიერ დადგენილი და შემდევში ი. შეფნერის მიერ ღლდგნილი *Nymphaeales*-ის რიგი *Ranuncales*-საგან გამოიყო. ამ ორი რიგის დამოკლებლობა მართებულია, ვინაიდან მათ შორის საერთო მხოლოდ მრავალმტვრიანობაა.

ამ რიგში შემავალი 5 ოჯახიდან ჩატარები მხოლოდ 2 ოჯახის — *Nymphaeaceae* და *Ceratophyllaceae*-ს წარმომადგენლები. უკანასკნელი ოჯახი ამ რიგში, ჩვენი ფიქრით, ხელოვნურადა შეყვანილი (იხილეთ ოჯ. *Ceratophyllaceae*-ს შენიშვნა).

1. ყვავილი ორსქესიანია დიდი ზომის, 5—20 სმ დიამეტრის, ორმაგი-ყვავილსაფრიანი. ფოთლი მორიგეობითია, მთლიან ფირფიტა, წყლის ზედაპირზე მოტივირები ოჯახი 1. *Nymphaeaceae* DC.

— ყვავილი ერთსქესიანია ძალიან პატარა ზომის, მარტივი, ყვავილი საფრით. ფოთოლი რგოლურია, დიქორომიურად განკვეთის დროის დროის, წერილი ნაკვთებით. მთელი მცენარე წყალში ჩაჭრულია ოჯახი 2. *Ceratophyllaceae* S. Gray

ოჯახი 29. *NYMPHAEACEAE* DC. — ღუმვარასებრნი

ყვავილი მარტოულია, ორმაგვავილსაფრიანი კარგად განსაზღვრული ჯამით და გვირგვინით. მტვრიანა მრავალია, სპირალურად განწყობილი და გრძელი ძაფებითაა. ნასკვი აპოკარპულია, ზედა ან ჩამჯდარია ჩაღრმავებული ყვავილსაჯდომში, ან სინკარპულია. დანგი მჯდომარეა, ვარსკვლავისებრი. ნაყოფი ხორცოვანია, კენკრისებრი. წყალში მოზარდი მცენარეებია კარგად განვითარებული ფესურითა და წყლის ზედაპირზე მოტივტივე მთლიანი ფოთლებით.

შენიშვნა. დუმფარასებრია, ოჯახი შეიცავს 5—8 გვარამდე და 65—70 სახეობამდე, რომელიც გავრცელებულია დედამიწის სხვადასხვა სარტყლის არქტიკისა და უდაბნოების გამოკლებით (დამდგარ და ნელად გამდინარე წყლებში).

ოჯახში განირჩევა გვარების 2 დიდი ჯგუფი, რომელიც ტრიბებად ან ზოგიერთი სისტემებში ქვეოფახად არის ცნობილი.

ოჯახი წარმოადგენს მესამეულის წყლის ფლორის რელიეტს.

1. ჯამი 4—ფოთოლაკიანია; გვირგვინის ფურცლები და მტვრიანები მიმაგრებულია ნასკვზე 1. *Nymphaea* L.
- ჯამი 5—ფოთოლაკიანია; გვირგვინის ფურცლები და მტვრიანები მიმაგრებულია ნასკვის ქვეშ, ყვავილსაჯდომშე 2. *Nuphar* Sm.

ტრიბი 1. *Nymphaeae* DC.

გვარი 1. *NYMPHAEA* L. — ღუმვარა

ყვავილი დიდი ზომისაა 5—15 (21) სმ ღიამეტრის მარტოული; ჯამი 4—ფოთოლიანია გვირგვინის ფურცლებშე მოკლე. გვირგვინის ფურცლები და მტვრიანები მრავალია, სპირალურად ნასკვის ფურცეზე მიმაგრებული; მტვრიანას ძაფები გაფართოებულია და თანდათან გადადის გვირგვინის ფურცლებში. ნაყოფის ფოთლები შეზრდილია ყვავილსაჯდომთან და წარმოქმნიან ერთ მრავალბუდიან რთულ ნასკვს; დინგი მჯდომარეა, მრავალსხივიანი, ნაყოფი კენკრასებრია. თესლი პერისპერმიანია, პარკუჭისებრი (საცურავი) დანაშატით. მცენარე ფესურით და გრძელყუნწიანი მარტივი ფოთლებით დახასიათდება; თანაფოთლები დიდი ზომისაა.

მტვრის მარცვლები 2—3 დისტალური ღარით, ეგზინის ზედაპირი ბორცვოვან-ეკლოვანია.

1. ჯამის ძირი მომრგვალებულია. ყვავილები დიდი ზომისაა, 13—15 (25) სმ ღიამეტრის. ფოთლები პირში ღრმად და ფართოდაა სოლი-

სებურად ამოკვეთილი, ძარღვები დაშორიშორებულია წერტილებზე
ნაკვეთებზე გაშლილი ბოლოებითაა.

— ჯამის ძირი მომრგვალებული არ არის, არამეტრად ოხეცუთხოვანია. ყვავილები უფრო პატარა ზომისაა, 5—10 სმ სიგანის. ფოთოლი ძირში ვიწროთაა ამოკვეთილი, ძარღვები ხშირია და ქვედა ნაკვებზე მათი ბოლოები რკალისებურად დაახლოებულია . . .

2. *N. colchica* Woron. (*N. candida* auct. non Presl)

შენიშვნა. დასავლეთ საქართველოში მიზარდი დუმფარები პირველად მოყვანილია გრძელების მიერ (Фл. Кавк., 1930). როგორც *N. colchica* Woron. განსხვავდება კავკასიის დანარჩენ ცნობილი დუმფარებისაგან, რის გამო უფრო მიზანშეწონილად მიგვაჩნია მოვიყვანოთ ორივე სახეობა *N. alba* L., აგრეთვე *N. colchica* Wor.

1. *N. alba* L. Sp. Pl. (1753) 510; Albov Prodr. (1895) 16 p.p.; Шмальг. Фл. Средн. и Южн. Росс. I (1897) 34; Липский Фл. Кавк. (1899) 215; N. Busch in Fl. Cauc. Crit. III, 3 (1903) 2 p.p.; Комаров, во Фл. СССР IV (1937) 7; მაყაშვილი საქ. ფლორა IV (1948) 1; Гроссер. Опред. (1949) 62 p.p.; Фл. Кавк. 2 IV (1950) 8 p.p.—*Castalia alba* Гроссер. Фл. Кавк. II (1930) 87.

4. ფესურა პორიზონტალურია, მსხვილი, მასზე დარჩენილია წინაწლის ფოთლის ყუნწები ან მათი ბოჭკოები; ფოთლის ფირფიტა გულისებრ მომრგვალია ან ოვალური; ძირში გულისებრ ან ფართოსოლისებრ ამოკვეთილი. ყვავილი დიდი ზომისაა, 10—20 (25) სმ დამტრის; ჯამის ფუძე მომრგვალია, მისი ფოთლები კვერცხისებრია; გვირგვინის ფურცლები თეთრია, მრავალი ყვავილის ცენტრისევნ თანდათანბით დაპატარავებული და დავიწროებული; მტვრიანა მრავალია; სამტვრე და მტვრის მარცვალი ყვითელია; დინგი ხშირად 6—24 სხივიანია. ნაყოფი მომრგვალო ან კვერცხისებრია VI—IX. 2n=48; 52; 56; 64; 84; 105; 112; 160 (სურ. 21).

აწერილია ევროპიდან, იზრდება ტბებსა, ჭაობებში და ნელად მიმდინარე წყლებში.

საქ. სსრ.: ქართ.: კუს ტბა (კენიგი; ტროიცე); ქართ.: სოფ. ორშათშუას მახლობლად (ნ. კეცხოველი); თრიალ.: თეთრი წყაროს მახლობლად ტბა (კოზლოვსკი).

სსრკ-ის დანარჩენი ნაწ.: ამიერკავკ.: შავიზღვის სანაპ.: აზერბ., სომხ.; ევრ. ნაწ.

საერთო გავრცელ.: ევრ.; ხმელთაშუა ზღვ. მხრ.; მც. აზ.

შენიშვნა. დუმფარების საქართველოში გავრცელება არ განისაზღვრება ჩვენ მიერ მოყვანილი აღვილებით, არამედ პერბარიუმში დაცული ეგზემპლარების სიღრაბიბზე მიუთითებს. ჩვენი ტბების, ჭაობების მცენარეულობა მოითხოვს შემდგომ შესწავლის.

2. *N. colchica* (Woron.) Kem.-Nath. comb. n.; Woronow ex Grossh. Фл. Кавк. II (1930) 87 (pro *Castalia colchica*); *Nymphaea candida* auct. cauc., non Presl — *N. alba* auct. cauc. p. p.

4. მცენარე პორიზონტალური მომსხვილო ფესურითაა, რომელზედაც შერჩენილია წირსული წლის ფოთლების ყუნწები; ფოთლები მუქი მწვანეა, ზოგჯერ მოწითალო-მოიისფრო ფერი გადაკრაის, გრძელყუნწიანია,

ფოთლის ფირფიტა მომრგვალია ან მომრგვალო-ოვალური გულისებრია
ძირში ღრმად და ვიწრო სოლისებრ ამოკვეთილია ან ფირფიტის ქვედა ნაკვ-
თები დაახლოებულია და ერთმანეთზე თითქმის გადაფარებული ქვედა ნაკვ-
თების ძირში რკალისებურადაა ერთმანეთთან დაახლოებული. უკავშირულები
ბი 5—9 (10) სმ დიამეტრის; ჭამი ძირში მომრგვალებულია ან არა-
მკვეთრად 4-კუთხა; ჭამის ფოთლები მოვრძო-კვერცხისებრია, 5—7 ძალ-
ვით, გვირგვინის ფურცლები თეთრია მოვრძო-კვერცხისებრი; მტვრიანები
უკითელია; ნასკვი ღინგის ქვეშ ძალიან შევიწროებულია; ღინგის სხივები
6—15-მდეა, წითელი ან ყვითელია, VI—VIII (IX).

აწერილია აფხაზეთიდან ცოცხალ ეგზემპლარებზე.

იზრდება დაბლობების მთის ქვედა და შუა სარტყლის ტბებსა, ჭაობებ-
ში და ნელა მიმღინარე წყლებში.

საქ. სსრ.: აფხ.: ოჩმჩირის ახლოს შედებარე ტბა (ალბოვი); ბებესირის
ტბა (ი. ბუაჩიძე); სამეგრ.: ფოთის ახლო ჭაობები (კენიგი); რიონის დელტა
(რადე); აჭარ.: ქობულეთი; სოსნოვსკი; ზედელმეიერი); ქართ.: ბაზალეთის
ტბა (თ. სულაკაძე; პ. ტაგარელი).

სსრ-ის დანარჩენი ნაწილი: შავი ზღვის სანაპ.

შენიშვნა. ჯერ კიდევ 1901—1903 წლებში პროფ. ნ. ბუში (Fl. Cauc.
Crit. III, 3 1903, 3) აღნიშნავდა, რომ კავკასიონის მას ნახული ჰქონდა დუმფა-
რების მბოლოდ ორი ეგზემპლარი: ერთი უუბანიდან (პოლტარაცის) და მეორე
აფხაზეთიდან ყვავილობაში, აღმოვას მიერ შეგროვებული. ყვავილის შესახებ ბუ-
ში წერს, რომ ყვავილი არ იყო დიდი აცვეთი ეთი ნეკруպნის 8 1/2 სმ მდგრადი დუ-
მფარი ს. კორონიფრა დასავლეთ საქართველოდან პატარა ყვავილიანი დუ-
მფარი სახეობად მიიჩნია და 1930 წელს ა. გრისტეიშის კავკასიის ფლორაში
(Гроссгейм, 1930) *Castalia colchica*-ს სახელწოდებით გამოაქვეყნა.

ტრიბი 2. Nupharaeae Planch.

გვარი 2. NUPHAR SM.

ყვავილები მარტოულია ყველის. ჭამი 5-ფოთლიანია, იშვიათად
6, ყვავილობის შემდეგ ზედვა შერჩენილი, გვირგვინის ფურცლებზე მნიშ-
ვნელოვნად გრძელი. გვირგვინის ფურცელი და მტვრიანა მრავალია, ყვავილ-
საჭდომაშე მიმაგრებული. ნასკვი მრავალბულიანია, ხორცვანი, შედგება
ერთმანეთთან შეზრდილი მრავალი ნაყოფის ფოთლისაგან, სადაც
თითოეულში თითო თესლები განვითარებული; ღინგი მრავალსხივიანია.
ნაყოფი ხორცვანი კოლოფია. ფოთლები გულისებრია ან მოვრძო-გულისებ-
რი. ხასიათდება ხშირი რკალისებრ მოხრილი ურთიერთ დაშორისორე-
ბული ძარღვებით და ძირში ღრმა და ვიწრო ამონაკვეთით. მტვრის მარც-
ვლები სფეროსებრი ან ელიფსოიდურია, ერთი დისტალური ღარით; ეგზი-
ნის ზედაპირი ბორცვოვან-მსხვილეულოვანია.

გვარი შედგება დაახლოებით 12—15 სახეობისაგან, რომლებიც გავრცე-
ლებულია ჩრდილოეთ ნახევარსფეროს წყლებში. ჩენეში იზრდება მხოლოდ
ერთი სახეობა.

1. *N. luteum* (L.) Smith in Sibth. et Sm. Fl. Graec. Prodr. (1808—1809) 361; Липский Фл. Кавк. (1899) 215; N. Busch in Fl. Гариз Стити 3 (1903) 3; Гроссг. Фл. Кавк. II (1930) 88; Колак. Фл. Абхазия (1939) 35 116; მაკაველი საქ. ფლორა IV (1948) 3; Гроссг. Опред. (1949) 62; Фл. Кавк. 2, IV (1950) 8; Дмитриева Опред. раст. Аджар. (1959) 50. — *Nymphaea lutea* L. Sp. Pl. (1753) 729; M. Bieb. Fl. Taur.-Cauc. II (1808) 6.

4. მცენარე ფესვგამდგარი, მსხვილი ჰორიზონტალური ფესურითა; ფოთლები ორნაირია: წყალში ჩაყურსული უფრო მოკლე ყუნწითაა, თხელია თითქმის გამჭვირვალე, ტალისისებური კიდით და ძირში ღრმა და ფართო ამონაკეთით; წყლის ზედაპირზე მოტივტივე ფოთლები კი სქელია თითქმის ტყავისებრი, ოვალურ გულისებრი, ხშირი რეალისებრი ძარღვებით, ძირში ღრმა და ვიწრო ამონაკეთით. ყვავილი 4—5 სმ დიამეტრის, სურნელოვანია ყვითელი ფერის. წყლის ზედაპირიდან ამოწეული გრძელი ყუნწებით; ჯამის ფოთლები 5 (6), მომრგვალო, მოღუნული, წვერებით ერთმანეთთანაა დაახლოებული; გვირგვინის ფურცლები ჯამის ფოთლებზე მნიშვნელოვნად მოკლეა, მრავალი, უշავერცხისებრი, ზურგის მხარეზე ღია სანექტრე ფოსოთი; დინგი ჩანსექილია, 10—20 სხივებიანი, სხივები ფოთლის კიდეებამდე არ აღწევს. ნაყოფი ხორცოვანი კენკრისმაგვარი, მრავალბუდანი კოლოფია. VII—IX. 2n=34.

აწერილია ევროპიდან. იზრდება ტბებში, მდორე წყლებსა და ჰაობებში.

საქ. სსრ.: ოფ.: სამურჩხაყანო, ბეგესირის ტბა, აპასაზე — სამეცნ ჭა (ალბოვი), ბეგესირის ტბა (ი. ბუაჩიძე), ბიჭვინთა (გუსევი); სამეცნ.: ჭალადიღის ჭაობი, ფოთის რაიონი (მთვარაძე), სოფ. ეწერის მახლობლად (მაყაშვილი); იმერ.: (გულდენშტეტი); იქან.: ქობულეთი (სოსნოვსკი; ზე-დელმეიერი).

სსრკ-ის დანარჩ. ნაწ.: ამიერკავკ.: შავი ზღვის სანაპ., აზერბ., სომხ.; იმიერკავკ.; უკრ. ნაწ.: ალმ., ციმბ., შუა ახ.

საერთო გავრცელ.: დას. ევრ.; ხმელთაშ. ზღვ. მხ.; ბალკ.; მც. ა.

საშეულნეო მიზენერლობა: დეკორაციული მცენარეთ, გამოყენებულია მებალიობა-მეტალოლობაში.

ოჯახი 2. CERATOPHYLLACEAE A. GRAY

ყვავილი ერთსქესიანია, ერთსახლიანი, პატარა ზომის, ფოთლების იღლიებში მარტოულად განლაგებული. ყვავილსაფარი მარტივია გვირგვინისებური; მტვრიანები მცირერიცხოვანია ან 5—27-მდე, თითქმის მჯდომარე, გრძელი სატრენე პარკებით; ნასკვი გრძელი სვეტითაა, ერთი ნაყოფის ფოთლისაგან შექმნილი. ნაყოფი — ერთთესლიანი კაკალია, ეკლისებური ან ქაციისებური გამონაზარდებით. წყალში ჩაყურსული მრავალწლოვანი მცენარეებია, რგოლურად განწყობილი მქრქალი დიქოტომურად მრავალკერ განკვეთილი ფოთლებით.

შენიშვნა: მონოტიპური ოჯახი Ceratophyllaceae დაღვენილია ა. გრეის
მიერ 1837 წ.; თავისი მორფოლოგიური ნიშნებით კარგად განსხვავდება რო-
162



გორც Ranales, ისე Nymphaeales რიგებში შემავალი ოჯახებისაგან უთლიურთული შეზღუდული იქნებოდა მისი გამოყოფა ცალკე ან ოჯახი Haloragidaceae-ში მდგრადი დამოუკიდებელ რეგად.

გვარი 1. CERATOPHYLLUM L. — რძაფოთოლა

ყვავილები ძალიან პატარა ზომისაა, თეთრი, ილლიური, მარტივი ყვავილსაფრით; მამრიბითი ყვავილის ფოთლები რიცხვით 12-ია, ფუძესთან მილისებურადაა შეზრდილი; მდედრობითი ყვავილის ფოთლები განცალკევებულია, უფრო ნაკლები რიცხვითაა; მტერანები მჯდომარეა რიცხვით 10—16; ნასკვი ერთბულიანია გრძელი სვეტით. ნაყოფი — კაკალი დაბოლოებულია ერთი მთავარი და 2 ან 4 გვერდითი ეკლიოთ ან მრავალი ქაცვით. მტრის მარცვლები სფეროსებრია, ღარს და ფორებს მოკლებული, ეგზინა ქალიან თხელია, თითქმის სადა ზედაპირით.

მრავალწლოვანი, წყალში ჩაყურსული მცენარეებია დანაწევრებული ლეროებით და რგოლურად განწყობილი მქრქალი ფოთლებით, რომლებიც დიქოტომურადაა განკვეთილი ძაფისებრ ან ხაზურ ნაკვეთებად.

შენიშვნა: ვერი შეიცავს 7 სახეობას, და შეიძლება 2 სექციად დაიყოს: sect. Apterum Kem.-Nath. უფროთ ნაყოფებით, sect. Carpopterum Kem.-Nath. ფრთიანი ნაყოფებით.

კავკასიაში წარმოდგენილია მხოლოდ პირველ სექციის ორი სახეობა. მათგან ყველაზე მეტად გავრცელებულია *C. demersum* L., შეღარებით იშვიათად *C. submersum* L. ორივე სახეობა ჰერბარიუმში სრულყოფილად არ არის წარმოდგენილი და ძალიან მცირერიცხოვანია.

გვარ *Ceratophyllum*-ს კავკასიის წარმომადგენლები, ისევ როგორც წყლის სხვა მცენარეები, მოითხოვენ მეტ ყურადღებას და გამოკვლევას.

1. ნაყოფი ერთი წაწვეტებული, ნაყოფზე უფრო მოკლე ეკლიოთა და მრავალრიცხვანი წვრილი ქაცვითაა. ფოთლები ნაზია, კიდეებზე წვრილებილა 2. *C. submersum* L.
- ნაყოფი 3—5 წაწვეტებული ეკლიოთაა, შუა მათგანი ნაყოფზე გრძელია ან მისი ტოლი. ფოთლები ხეშეშია, ნაკვთები კიდეებზე დაშორიშორებულებილებიანია 1. *C. demersum* L.

სექცია 1. *Apteron* Kem.-Nath. h. 1. — ნაყოფს კიდეებზე ფრთები არა აქვს.

1. *C. demersum* L. Sp. Pl. (1753) 992; Ledeb. Fl. Ross. II (1842) 123; Boiss. Fl. Or. IV (1879) 209; Липский Фл. Кавк. (1899) 452; N. Busch in Fl. Cauc. Crit. III, 3 (1903) 4; Гросег. Фл. Кавк. 2, IV (1950) 9; Опред. (1949) 62; Кузенева, во Фл. СССР VII (1937) 15; Колак. Фл. Абх. II (1939) 118; Сопсნოვցე საქ. ფლორა IV (1948) 4; Дмитриева Опред. раст. Адж. (1959) 50; კემულარია-ნათაძე საქ. მცენ. სარკვ. I (1964) 91.

4. მცენარე მუქი მწვანეა; ღერო წვრილია ზედა ნაწილში ძლიერ დატოტვილი; ფოთლები ხეშეშია, მეტნაკლებად მეჩხერ რგოლებად განლა-



გებული, დიქოტომურად დაყოფილი ძაფისებრ, 2 მმ სიგრძის შეკრებული ხტებილა ნაკვთებად. ყვავილები თეთრია. ნაყოფი 3—5-ეკლიანი მრავალფეროვანი ნაყოფზე გრძელია ან მისი ტოლი. VI—VII. 2n=24.

აწერილია ევროპიდან. ინახება ლონდონში.

იზრდება დაბლობ ადგილებში იშვიათად აღშევს მთის ზედა სარტყელს. გვედება ტბებში, არხებში და ნელად გამდინარე წყლებში.

საქ. სსრ.: აფხ.: ტბა ინკით, სოფ. ბიჭვინთის მახლობლად (სატუნინი), კელასური (პანიურინი), ტბა ბებესირი (მალევი); ქართ.: თბილისი (ც. კენიგი); ახალქალაქის მახლობლად, ტოპჩიანქის შენაკადთან (ო. ზედელმეერი).

სსრკ-ის დანარჩ. ნაწ.: ამიერკავკ.: აზერბ., სომხ.; ევროპ. ნაწ.; აღმ. ციმბ.; შუა აზ., ხმელთაშ. ზღვ. მხრ.

2. *C. submersum* L. Sp. Pl. II (1763) 1409; Липский Фл. Кавк. (1899) 452; N. Busch in Fl. Cauc. Crit III, 3 (1903) 4; Гросг. Фл. Кавк. 2, IV (1950) 9; Кузенева, во Фл. СССР VII (1937) 19; Колак. Фл. Абх. II (1939) 119; სოსნოვკი საქ. ფლორა IV (1948) 4; კემულარია-ნათამე საქ. მცენ. სარკვ. I (1964) 91.

4. მცენარე ღია მწვანე ფერისაა, ხასიათდება ძალიან გრძელი და წვრილი, 50 სმ-მდე სიგრძის ღეროთი. ფოთლები აბილია, ნაზი, მრავალი, რგოლურად განლაგებული, ორჯერ ოთხჯერ ორთითისებრ (დიქოტომურად) გაყოფილი ძაფისებრ ნაკვთებად, კიდევბზე დაშორიშორებული კბილებით. ყვავილები პატარა ზომისაა, თეთრი. ნაყოფი მჯდომარეა ან თითქმის მჯდომარე, ერთი, ნაყოფზე მოკლე, კენჭრული სწორი ეკლით, და მრავალრიცხოვანი წვრილი და მოკლე ქაცვებით. VI—VII. 2n=24.

იზრდება დაბლობ ადგილების, იშვიათად მთის ზედა სარტყელის ტბებში, არხებში და ნელად მიმდინარე წყლებში.

საქ. სსრ.:—ს ყველა რაიონი.

სსრკ-ის დანარჩ. ნაწ.: ამიერკავკ.: აზერბ., სომხ.; ევროპ. ნაწ., დას. ციმბ. (ირტიში), შუა აზ.

საერთო გავრცელ.: შუა და ატლ. ევრ.; დას. ხმელთაშ. ზღვ. მხრ.; ბალკ.

რიგი 3. BERBERIDALES HUTSCH.

ცნობილი ინგლისელი ბოტანიკოსი ჰეტჩინსონი, დამოუკიდებელი რიგი Berberidales დადგრინის დროს, მასში აერთიანებს 6 ოჯახს; ყველა ისინი, ოჯახი Berberidaceae-ის გამოკლებით, ტროპიკული ქვეყნების ოჯახებია.

ოჯახი 30. BERBERIDACEAE (A. L. JUSS.) TORR. ET A. GRAY—კოჭახურისებრნი

ყვავილები ორსქესიანია, 2—3 წევრიანი; ყვავილსაფარში ჭამი და გვირგვინი ყოველთვის არ არის მკვეთრად გამოყოფილი. მტკრიანები თავისუფა-

ლია. ნასკვი ზედაა, ერთი ნაყოფის ფოთლისგან შემდგარი, მრავალი ან ერთი თესლევირტით. ნაყოფი ხორცოვანია, კენკრისებრი ან შეჩაღურებული ფია. ბუჩქები, ხეები ან მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეულობისათვის ანი ან ფრთისებრითული ფოთლებით.

შენიშვნა. ოჯახის წარმომადგენლები გაურცელებულია უმთავრესდე ჩრდილოეთ, იშვიათად სამხრეთ ნახევარსფეროში; გვარების ყველაზე მეტი მრავალფეროვნება შემჩნეულია ჩრდილოეთ აშერივასა და აღმოსავლეთ აზიაში. კავკასიაში იგი წარმოდგენილია ოთხი გვარით: *Berberis* L., *Epimedium* L., *Leontice* L. და *Bongardia* C. A. Mey.

1. ბუჩქები ან პატარა ზომის ხეებია მარტივი ფოთლებით და ეკლებად გადაქცეული თანაფოთლებით. ნაყოფი ხორცოვანია, კენკრისებრი 1. *Berberis* L.
— მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეებია საშუალო ან ფრთადგაყოფილი ფოთლებით. ნაყოფი კოლოფია 2.
2. გვირგვინის ფურცელი დეზიანია; მტერიანი — 4. მხოხვი, დამუხლულესურიანი მცენარეებია 2. *Epimedium* L.
— გვირგვინის ფურცელი უდეზოა; მტერიანი — 6. გორგლისებურად გამსხვილებული ფესურიანი მცენარეებია 3.
3. ფოთლები სამმაგად რთულად გაყოფილია. ყვავილი — მარტივი მტევანია 3. *Leontice* L.
— ფოთლები ფრთად დაყოფილია. ყვავილები დატოტვილია საგველასებრი 5. *Bongardia* C. A. Mey.

გვარი 1. BERBERIS L. — ტოჯახური

ყვავილი ყვითელია, შეკრებილია ფოთლის უბეებში მტევნისებრ ყვავილებად, უფრო იშვიათად მარტოულად ზის ფოთლის უბეში. ჭამის ფოთლი 6—9, თითქმის გვირგვინის ფურცლების მსგავსი, მაგრამ გარეთა შიგნითაზე უფრო მოკლეა. გვირგვინის ფურცლები — 6 და კრამიტისებურად 2 წრედ განლაგებული, გვირგვინის ფურცლების შიგნითა მხარეზე, ძირთან ან ცოტა ზევით მოთავსებულია ერთი წვრილი ოვალური ჭირკვალი — სანქეტრე; მტერიანები — 6 და სევე ორ წრედაა განლაგებული. ნასკვი ერთი ნაყოფის ფოთლისაგანაა წარმოქმნილი, ხორცოვანი, ღინგი ფართოა, ფარისებური, ჩვეულებრივ მჯდომარე. ნაყოფი თვითუსნადი, ხორცოვანი, კენკრასებრია. დაბალი ხეები ან ბუჩქები მთლიანი ფოთლებით და ეკლებად გადაქცეული თანაფოთლებით. მტერის მარცვლები ცოტად თუ ბევრად სფეროსებრია, ფორას მოკლებული; ერთი ასიმეტრული, დანაწევრებული ან სპირალური, კიდედაბილული ღარით, ეგზინის ზედაპირი საღაა, წვრილბადისებრი მოხაზულობით.

შენიშვნა. გაურცელებულია შუა და სამხრეთ ევროპაში, ხმელთაშუაზღვეთში, მცირე, შუა და აღმოსავლეთ აზიაში, ჩრდ. და სამხ. ამერიკაში (კოლდილიერებისა და ანდების ქვედების გასწვრივ მიღის ცეცხლოვან მიწამდე). გვარი *Berberis*-ს ცნობილი მონოგრაფი ს. შნიდერის აზრით გვარში 156 სახეობაა, რომელთაგან ჩვენში მხოლოდ 2-ია წარმოდგენილი.



1. ფოთლის კიდე დაკბილულია. ნაყოფი სხვადასხვა ფორმისაა, მოწო-
ძოა, კაშპაშა წითელი, ლეგა, იშვიათად ყვითელი, ნაფიფქელი ან კეტელი

..... 1. B. vulgaris L.

— ფოთლი კიდემთლიანია, ან ოდნავ დაკბილულია. ნაყოფი უპირატე-
სად მოგრძო ცილინდრულია, წითელი ან მუქი გარდისფერი, ლეგა
ნაფიფქით, იშვიათად ყვითელი

2. B. iberica Stev. et Fisch.

სამეურნეო მნიშვნელობა: კოწახურის ნაყოფებს ფართო გამოყენება
აქვს კვების მრეწველობაში, როგორც ნედლად, ისე მურაბების, მევე
ხილფაფების და წვენების სახით. თაფლოვანი, სალებავი და დეკორაციული
მცენარეებია.

სექცია 1. Berberis — ხასიათდება გვარის ნიშნებით

ნორჩი ტოტები ნაცრისფერია ან იშვიათად მოყვითალო, ზრდადასრუ-
ლებული-ნაცრისფერი ან მონაცრისფრო-მწვანეა. ფოთოლი თხელია, შიშ-
ველი, ორივე მხარეზე მწვანეა და კილებზე ხერხბილა.

1. B. vulgaris L. Sp. Pl. (1753) 330; M. Bieb. Fl. Taur; Cauc. I
(1808) 286; Boiss. Fl. Or. I (1867) 102; Rupr. Fl. Cauc. (1869) 47;
Липский Фл. Кавк. (1899) 214; Somm. et Levier Enum. (1900) 30; Radde
Mus. Cauc. II (1901) 47; Н. Буш. in Fl. Cauc. Crit. III, 3 (1903) 213; Мед-
вед. Дер. и куст. (1919) 4; Федченко, во Фл. СССР VII (1937) 556; Папава
Not. Syst. Georg. Thbilis. (1941) 93; პაპავა საქ. ფლორა IV (1948) 108;
Гросг. Опред. (1941) 61; Фл. Кавк. 2, IV (1950) 81; Колак. Раст. мир
Колх. (1961) 154; Дмитр. Опред. раст. Аджар. (1960) 42; კემულარია-ნათაე
საქ. მცენ. სარკ. I (1964) 89; ნ. კეცხოველი საქართველოს კოწახურები
(1970) 23. — B. orientalis auct. fl. cauc. p.p. — ჩვეულებრივი კოწახური.

ჸ. ჩვეულებრივი კოწახური დაბალი 2,5 მ-ზე სიმაღლის, იშვიათად უფ-
რომ მაღალი ხეა. მონაცრისფრო მწვანე ახალგაზრდა ტოტები (ერთწლიანი, ან
ზოგჯერ ორწლიანი), ყვავილობაში მონაცრისფრო ან მოყვითალოა, მეო-
რე წელს ნაცრისფერი ხდება; ქაცვისებრი ეკლები სამადაა დაყოფილი
ან ნორჩ ტოტებზე ზედა ეკლები მარტოულია; ფოთოლი თხელია, შიშვე-
ლი, ორივე მხარეზე ერთფერად მწვანე, წვრილი ძარღვების ფართო
ქსელით; მოყვანილობით ელიფსურიდან მოგრძო-ლანცეტისებურამდეა, ბლა-
გვი, ფუძისენ შევიწროებულია და კილებზე ხერხბილა. ყვავილედი მრა-
ვალყვავილიანია, ქვევით ჩამოკიდებული, ფოთლებზე უფრო გრძელი ან
მათი ტოლი, იშვიათად უფრო მოკლე. ნაყოფი ელიფსისებურამდეა, ჩვეულებ-
რივ წითელი, უფრო იშვიათად ყვითელი ან ვარდისფერი. V—VI. 2n=28.
აჭერილია ეკროპიდან.

იზრდება ტყის ქედა სარტყლიდან ზედა სარტყლამდე, ტყეებში ტყის
პირებზე, ხეობებში.

საქ. სსრ: ყველა რაიონში.

სსრების დანარჩ. ნაწ.: იმიერკავკ.; ამიერკავკ.: აზერბ., სომხ.; უკრ. ნაწ.

საერთო გავრცელ. შეუ ევრ., ხმელთაშვაზღვ. მხრ., ბალკ. უკრაინული

შენიშვნა. სახეობა ძლიერ ცვალებადობს ნაყოფის ფორმულულ მუშაობაზე. ფერილობით, ფოთლების ფორმითა და სიდიდით და უკავილედების სიგრძით. ჯერ კიდევ დეკანდოლი (1824) ნაყოფებს ანსხვავებდა ფერით: lutea, purpurea, alba, nigra, violacea. ბერსიეს (1867) აღმოსავლეთისათვის მოყავდა ორი სახე-სხეობა: var. brachybotrys და var. emarginata, რომლებიც შემდეგში მიაკუთხნეს B. orientalis-ს, პირველად შნაიდერმა (1905) და შეორედ—პ. ფედერენკომ (1937); შნაიდერმა B. vulgaris-ში არჩევდა 4 სახესხეობას და 2 ფორმას. უკანასკნელ ხანებში ნ. კეცხოველის და ვ. პაპავის მიერ ფოთლის და ნაყოფების ფორმისა და ზომის მიხედვით აწერილია მრავალი სახესხეობა და ფორმები (იხ. ნ. კეცხოველი 1970).

◎. 3. B. iberica Stev. et Fisch. ex De Candolle Syst. II (1821) 6; Prodr. I (1824) 105; S. C. Schneider in Bull. de L'Herb. Boiss. V (1905) 656 p. p.; პაპავა საქ. ფლორა IV (1948) 109; გრიგ. იმპ. (1949) 61; ფლ. ქავკ. 2, IV (1950) 82; მაყაშვილი თბილ. მიღ. ფლორა (1952) 96; რავადე, ვი ფლ. აზერ. IV (1953) 111; თახთაძ. ფლ. არმ. (1954) 229; კემულარია-ნათაძე საქ. მცენ. სარკ. (1964) 90; კეცხოველი საქართველოს კონტაქტები (1970) 39. — B. vulgaris var. emarginata (non Friv.) Rupr. Fl. Cauc. (1869) 48; N. Busch in Fl. Cauc. Crit. III, 3 (1903) 216. — B. vulgaris var. coriacea Rupr. l. c. 49; N. Busch l. c.—B. crataegina (non DC.) Федченко, ვი ფლ. СССР VII (1937) 558. — B. integrifolia (non Bge) auct fl. cauc. — B. tragacanthoides DC. Syst. II (1821) 18; Prodr. I (1824) 108. — B. densiflora (non Boiss. et Buhse) Papava Not. Syst. Geogr. Thbilis. 10 (1941) 92. — ქართული კოწანური.

ჩ. ახალგაზრდა (ერთწლიანი და ორწლიანი) ტოტები მოწაბლისფრთულითელია, ან მოყვისფრთული-მოწითალო, ცილინდრული, გლუვი ან სუსტად დაღარული; ძეველი ტოტები ყველა ნაცრისფერია, ხშირად დახეთქილი ქერქით; ფოთლები მარტივია, ტყავისებრი, მოსქელო, კრიგად შესამჩნევი ბადისებრი დაძარღვით, მოყვანილობით კვერცხისებრიდან ლანცეტისებრამდე, კიდეებზე არათანაბრად ამოღრღნილი, დაშორიშორებული ქაცვისებრი კბილებით ან ყველა კიდემთლიანია, განსაკუთრებით მოყვავილე ყლორტებზე (ტოტებზე); ქვედა ფოთლები შეჭრულებულია ერთმანეთთან მიახლოებულ ძველ ტოტებში; ეკლები მაგარია, მსხეილი ან წვრილი, ქვედა — სამაღალა გაყოფილი, ზედა ეკლები ჩვეულებრივ მარტოულია. ყვავილედი მრავალყვავილიანია. ფოთლებზე უფრო გრძელი; ყვავილედის ღერძი ქვედა ნაწილში 1/3-მდე შიშელია (უყვავილო); ყვავილები მცირე ზომისაა, ჯამის ფოთლები ემსგავსება გვირგვინის ფურცლებს, გარეთა ფოთლები შიგნითა ფოთლებზე გაცილებით უფრო პატარაა; შიგნითა თითქმის გვირგვინის ფურცლების ტოლია; გვირგვინის ფურცლები წვერზე ჩვეულებრივ ჩაღრმავებულია, ძირთან ორი მოგრძო ოვალური სანექტრე ჯირკვლით; დინგი

მჯდომარეა. კენკრა მოგრძოა, წითელი ფერის, ლეგა ნაფიქტით, თხელებით და ზედამდებარებულის ფერია, თხელბადისებრი, პრიალა, მიმაგრებისებრების და ღრმული აქვს. V—VI. 2n=28. გ. ღვალაძე (ცეცხლი, 1970) (სურ. 18).

აშერილია საქართველოდან (იბერია).

იზრდება ველებში, გაველებულ აღვილებზე, მშრალ აღვილებში, ბუჩქნარებში და მდინარების ტერასებზე.

საქ. სსრ: ქართ. თბილისის მიდამოები (ოვერინი, ფრიკი), კასპი (ე. ქიქმაძე, ნ. კეცხოველი, დ. სოსნოვსკი); მტკვრის ხეობა (რადე); გარე კა.; საგარეფოს ველი (ცლპატოვსკი, ე. ქიქმაძე); ქიშ.: შირაქი, პანტიშარის ხეობა, (შ. ქუთათელაძე, ტერ-ხაჩატუროვი). დევის წყლის ხეობა (შ. ქუთათელაძე, შეროზია, ტერ-ხაჩატუროვა, კაკულია, პაპავა), ელდარი, ივრის პირა ჭალის ტყე, მთა ელიაროულის ძირში (სოსნოვსკი);

სსრ-ის დანარჩენ. ნაწ.: იმიერკავკ.: (დაღესტანი); იმიერკავკ.: აზერბ.: სომხ.

შენიშვნა. იბერიული კოწაბური პირველად გამოქვეყნებული იყო დეკანდოლის მიერ სახეობის ავტორების სტევენისა და ფიშერის შერილობითი ცნობების საფუძველზე. მოკლე დიაგნოზიც დეკანდოლის მიერაა მოცემული იმ საპერბარიუმო ნიმუშების მიხედვით, რომელიც სტევენის მიერ შევროვებულია იბერიაში, უახლოესი აღვილდებარების მიუთითებლად და მოყვანილია როგორც ჩვეულებრივი კოწაბურის სახესხვაობა კითხვის ნიშნით. მა მდგომარეობაში, როგორც ჩანს, ამ სახეობის დამოუკიდებლად არსებობის უარყოფის საბაზი მისცა დეკანდოლის შემდგომ ბოტანიკოსებს. ნ. ა. ბუშმა (1903) მხედველობაში მიიღო ის ეტიკეტი, რომელიც თან ახლდა რუპრექტის მიერ 3. X. 61 წ. იხალციხე-სა და აბასთუმანს შორის შევროვებულ მასალებს (var. coriaceae=var. emarginata) და ამის მიხედვით იბერიული კოწაბური შეუტარა ჩვეულებრივი კოწაბურის სახესხვაობას — v. emarginata Boiss., რომელთანაც გააერთიანა ასევე იბერიიდან აშერილი var. coriaceae Rupr. შენიშვნაში ნ. ბუშმი შერს, რომ ეს სახესხვაობები არაფრით არ განსხვავდება ერთი მეორისაგან, ორივეს ფოთლები ტყავისებურია, მტევანი მკვრივი და ჩვეულებრივ თითქმის სწორი. რაიმე განსხვავებული ნიშნები მათ შორის არ არსებობს“.

ჩვენ არ ვვეკვება, რომ კავკასიური ავტორების var. emarginata და რუპრექტის var. coriaceae-ს შორის არავითარი განსხვავება არ არის, მაგრამ ისინი კარგად განისაზღვრან ჩვეულებრივი კოწაბურისაგან და მათი ჩათვლა უკანასკნელის სახესხვაობად არ შეიძლება და ამავე დროს ისინი თავისი ნიშნებით უმთხვევიან B. iberica Stev.-ს. ამის გარდა var. emarginata Boiss. არის იმ საეჭვო სახეობის B. emarginata Wild.-ს წარმოებული, რომელსაც ცნობილი დენდროლოგი შნაიდერი B. vulgaris და B. sibirica-ს შორის ჰიბრიდიდან თვლიდა და ფედერიკ (1937) უცნობ სახეობებს მიაკუთვნებს. გვარი Berberis-ის მონოგრაფიაში შნაიდერი იბერიის კოწაბურს განიხილავს როგორც დამოუკიდებელ სახეობას და B.

crataegina DC. - სთან ერთად ათავსებს სეკცია Sinensis-ის სხვადასხვა კლასი
ცოტბში: B. iberica-ს B. sinensis-თან ერთად ქვესექცია Eusinensis-შემაციტული
crataegina-ს B. cretica-სთან ერთად — ქვესექცია Creticae-ში როგორც წმინდაში ჩატარდა
საფუძველი მისცა ფერძენების (1937) გერთიანებინა ივი B. crataegina DC.-ს-
თან, რაც მცდარ მოსაზრებას წარმოადგენს. ამ ორი სახეობის გერთიანების
საჭინააღმდეგო მოსაზრების, სავსებით სამართლიანად, დასაბუთებს ჩვენ ვხვდე-
ბით კავკასიური კოწახურების პირველ მონოგრაფიაში, რომელიც ვ. პაპავას კუთ-
თვნის. მის გარდა ჩვენ პირადად საშუალება გვეკონდა შეგვესწავლა B. cratae-
gina DC.-ის ახალი მასალები მცირე აზიიდან, რომელიც გაღმოვივავნა თურქე-
თის ფლორის მკვლევარმა ინგლისელმა ბოტანიკოსმა დევიტმა. ამის შედეგად
ჩვენ მივეღით იმავე დასკვნამდე როგორც ვ. პაპავა — რომ B. crataegina საქა-
თველოში არ იზრდება. რაც შეეხება სახეობა B. tragacanthoides DC., რომელიც
აწერილი იყო ცნობილი ფრანგი ბოტანიკოსის დეკანდოლის მიერ 1821 წელს, იმ
მასალების მიხედვით, რომელიც ტურქეფლორმა 1702 წელს შეაგროვა მტკვრის
ხეობაში, თბილისის მახლობლად და ინახება პარიზის მუზეუმში. დეკანდოლის
შემდეგ ეს სახეობა მხოლოდ ზოგიერთ ბოტანიკოსს მოჰყავდა; ლედებური (1842,
Fl. Ross.) შენიშნავდა, რომ მის მიერ განხილულ ლიტერატურაში ეს სახეობა ას
შეეხება; რეპრესტი შესაძლებლად თვლიდა მის გაიგივებას Caragana grandi-
flora DC.-თან, რომელიც ტურქეფლორის მიერ იმავე ადგილიდან იყო შეგროვილი,
საიდანც B. tragacanthoides — «Iberica merid. prop. Tiflis».

1909 წელს გვარების *Mahonia* და *Berberis*-ის მონოგრაფმა ფედერ ლაუშვა შესაძლებლობა და ეს სახეობა გვარ — *Mahonia*-ს მიკუთვნა. 1937 წელს ფედერ ჩერქე სამართლიანი უარყოფდა ფედეს აზრს და განცალკევებით მოჰყავდა იგი გაურკვეველ სახეობათა შორის. გვარების *Berberis* და *Mahonia*-ს უახლოესი მონოგრაფი არპენდი (Ahrhend, 1964) უარყოფს ტრაგავანტული კონსენტრის მონათესავეობას გვარ *Mahonia*-თან და უფრო სამართლიანი თვლის, რომ იგი *Caragana grandiflora*-ს მეკუთვნოს. როგორც იჩვევე დეკანდოლის სახეობა *B. tragacanthoides* უახლოედება *B. iberica*-ს და შესაძლებელია მისი სახელსხმობა იყოს, მაგრამ სათანალო მასალების უქონლობის გამო ყრდნობით იგი განიხილება *B. iberica*-ს სინონიმად.

ქართულ კოწახურშიც მეორდება თითქმის იგივე სახესხვაობები და ფორ-
მები, რაც ჩვეულებრივ კოწახურშია მოყვანილი ნ. კეცხოველის მიერ (იხ.
კეცხოველი, 1970).

○ subsp. *Lelae* Ketzkh. საქართველოს კოწახურები (1970) 45.

ჩ. ძლიერი ბუჩქია, ღერო 5—10 სმ სისქის; ყლორტები ძოწეული, წითელი ან ყვითელია; ფოთლები უკუკერცხისებრია ან წაგრძელებული, კიდენილია-ლი ან ყვითელია; ნაფინექთ, 8—9 მმ სიგრძის და 4—5 მმ სიგანის, მეტ-ნი. ნაყოფი კვათელია, ნაფინექთ, 8—9 მმ სიგრძის და 4—5 მმ სიგანის, მეტ-ნი. ნაყოფი კვათელია, ნაფინექთ, 8—9 მმ სიგრძის და 4—5 მმ სიგანის, მეტ-ნი. ნაყოფი კვათელია, ნაფინექთ, 8—9 მმ სიგრძის და 4—5 მმ სიგანის, მეტ-ნი.



აწერილია შირაქიდან. ინახება თბილისში.

საქ. სსრ: ქიზ.: შირაქი, ლეკის ჭყალი, არფალარა, პანტიშვილი, გორგანის მოსაბრუნი (ნ. კეცხველი).

გვარი 2. EPILEDIUM L.

უვაეილები შეკრებილია მტევნებად; გამის ფოთოლი ორ წრედ, კრამი-ტისებურადა განლაგებული და შეფერილია; გვირგვინის ფურცელი 4-ია; სა-ნექტრეები დეზიანია ან ჩაჩის მაგვარი. ნასკვი კარგად განვითარებული სვე-ტით და ოდნავ გაფართოებული დინგითაა. ნაყოფი ოდნავ გამსხვილებული ჭოტისებური კოლოფია. მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა, მხობავი და-მუხლული ფესურით და გრძელყუნწიანი, ერთჯერ ან ორჯერ სამყურა ფოთ-ლებით. მტერის მარცვლები სფეროსებრია, სამღარიანი; ეგზინის ზედა-პირი სადაა წვრილბადისებრი მოხატულობით; ღარების მემბრანა ბორცვო-ვანია.

ტროპიკულ და ზომიერ ზონებში გავრცელებული 18 სახეობიდან კავკა-სიაში წარმოდგენილია 4 სახეობა: ერთი თალიშში (ლენქორანში), 3 და-საელეთ იმიერკავკასიაში. უველა კავკასიური სახეობა მესამეული ტყეების რელიქტებია. საქართველოსათვის მოგვყავს სამივე სახეობა.

- | | |
|---|--|
| 1. უველა ფოთოლი ფესვთანურია, სამყურა | 2 |
| — ფესვთანური ფოთოლების გარდა ღეროზე უვითარდება კიდევ ერთი ფოთოლი. უვაეილები მოწითალოა; სანექტრეები ყვითელი | 3. <i>E. pubigerum</i> (DC.) Moor. |
| 2. მცენარე თითქმის შიშველია. უვაეილები გოგირდისფერ-ყვითელია, სანექტრეები და მტერიანები ყვითელი | 1. <i>E. colchicum</i> (Boiss.) Trautv. |
| — ყუნწები ჩვეულებრივ გრძელი წითური ბუსუსებითაა მოფენილი; ყუნწების შესახსრების ადგილზე სატოვე ბუსუსების კონა მოთავ-სებული. უვაეილები ღია ყვითელია, სანექტრის ჩაჩიც ღია ყვითელია და წვერისკენ ლოკონასებურად არის დახვეული | 2. <i>E. circinnatocucullatum</i> D. Sosn. |

სექცია 1. *E p i m e d i u m* — უველა ფოთოლი ფესვთანურია, ერთჯერ სამყურა.

1. *E. colchicum* (Boiss.) Trautv. Increm. A. H. P. VIII (1884) 65; Гросг. Фл. Кавк. II (1930) 124; Федченко во Фл. СССР VII (1937) 542; Колак. Фл. Абх. II (1939) 160; პაპავა საქ. ფლორა II (1948) 104; Гросг. Опред. (1949) 61; Фл. Кавк., IV (1959) 49; კემულარია-ნათაძე საქ. მცენ. სარკვ. I (1964) 89.—*Epimedium pinnatum* Fisch. var. *colchicum* Boiss. Fl. Or. I (1867) 102, Suppl. (1868) 22. — *E. pinnatum* var. *integrifolium* Medw. et N. Albov in Albov Prodr. (1895) 15; Липский Фл. Кавк. (1899) 214. — *E. pinnatum* ssp. *colchicum* N. Busch in Fl. Cauc. Crit. III, 3 (1903) 209.

გამოხტოვილი კოლოფია. 111—IV. ზე = 12.
აშერილია ამიერკავკასიიდან ვიტმანის მასალების მიხედვით. ინახება უენე-
გაში.

იზრდება ნეტიან დაჩრდილულ ფოთლოვან ტყეებში. ქვედა სარტყლიან ჟედა სარტყლამდე.

საქ. სსრ.: ატხ.: ფსირცხა (ალბოვი); ახალი ათონი ტუებში (ი. ვალიბი-
ნი და ვარაბიოვი, გუბისი); სოხუმი (მარკოვიჩი, მაყაშვილი, მ. პოპოვი);
ჭეპელდა (ვორონოვი); გაგრა, მდ. გეგამა და იუწმარას შეერთების აღვილ-
ები (ე. შეროზია), ტუებში სოფ. იურევსკოვსთან (ვორონოვი); ქარ.: ბათუ-
მის ბოტანიკური ბაღი (რადე).

var. *integrifolium* Medw. — ფოთლები კიდუმთლიანია. აწერილია დასვ-
ლეთ ამერიკავესიძან ნორდმანის ეგზემპლარების მიხედვით. «Hab. in Caucaso
occid. (Nordman)».

2. *E. circinnatocuculatum* D. Sosn. in Гросг. Фл. Кавк. II (1930) 124; Д. Сосновск., в Вести. Тифл. бот. сада, нов. сер., в. I (1922—1923) 75; Федченко, во Фл. СССР VII (1937) 543; Гросг. Опред. (1949) 61; Фл. Кавк. 2, IV (1950) 79; Колак. Раст. мир. Колх. (1961) 154.

4. ახასიათებს გრძელი დამტკული და დატოტვილი ფესტივალი, რომელიც ლეროს და ფოთლების ყუნწების ძირთან დაფარულია პატარა მურა ფერის და ფოთლების ყუნწების ძირთან დაფარული წითური ბუსუსების კონცეპტი; ქერქლისებური ფოთლებით და ხშირი, გრძელი წითური ბუსუსების კონცეპტი; ქერქლისებური ფოთლებით და ხშირი, გრძელი წითური მოგრძო ბუსუსების კონცეპტი; უკელა ფესტივალი, სამყურა, გრძელი წითური მოგრძო ბუსუსების კონცეპტი; უკელა ფესტივალი, სამყურა, გრძელი წითური, ნაზი და შებუსვილი, უკელა რო მოგვიანებით ხეშეში, ტყავისებური და შემვეღია; ფოთოლაკების ფირ-ფირა უკუკერცხისებრია. ძირში ღრმად და ვწროდ ამოკვეთილი, კიდევ ბი ხრტილისებრია, თითქმის წაწოლილი ქიცვისებური კბილებით. ცავილები ხრტილისებრია, საუკავილე საარი, ხშირად ფოთლებზე მოკლეა; ცავილები გრძელია, ფაშარი; საყვავილე საარი, ხშირად ფოთლებზე მოკლეა; ცავილები გრძელყუნწიანია; ჭამის ფოთლები, ვეირგვინის ფურცლებზე მოკლეა;

გვირგვინის ფურცლები კაშპაშა ყვითელია; სანექტრებიც კაშპაშა ყვითელია, ზედა ნაწილში ლოკონიასებრი, გვირგვინის ფურცლებშე ბეჭრაფასტერა რო მოკლე; მტერიანა 4-ია, სამტერები მშვანე; მათი ძაფები ტრიტონებისა—ჯერ გრძელია სამტერებშე და სვეტივით არის მის ზევით ამოშვერილი. II—V.

აშერილია იმ ცოცხალი ეგზემპლარების მიხედვით, რომლებიც შემოტანილი იყო სოჭის მიღამებიღან და იზრდებოდა თბილისის ბოტანიკური ბაღის კოლხეთის ყოფილ განყოფილებაში (ზუგდიდში).

იზრდება კავკასიის შავი ზღვის სანაპირო ტერიან ტყეებში (სოჭი).
საქ. სსრ: აფხ.: პოვნა შესაძლებელია.

სსრკ-ის დანარჩ. ნაწ.: ამიერკავკ.: შავი ზღვ. სანაპ.

შენიშვნა. თუმცა ეს სახეობა ჯერ კიდევ 1921 წელშია აწერილი დ. ი. სოსნოვსკის მიერ ad interim., მაგრამ იგი მოყვანილია კავკასიის ფლორის ყველა მომღევნო ავტორის მიერ, რაც მისი დამოუკიდებელ სახეობად აღიარების ცდად უნდა მივიჩნიოთ. თვით ავტორის აზრით იგი ძლიერ უაბლოვდება E. colchicum Boiss., რომლსაგან ვეგეტატიური ორგანოების მიხედვით თითქმის არ განსხვავდება და რომელთან ერთობლივი კულტურის დროს იძლევა პიბრიდებს (სოსნ. ციტ. ლიტ. 7:—77). ჩვენ მათ ვაგრობინებთ ერთ ეკოლოგიურ მშერივში. როგორც ჩანს, ეს სახეობა არც ისე ჩშირადაა გამრტებული და ლიტერატურაში მითიჟულია მხოლოდ „სოჭის მიღამებისათვის“; საქართველოს ფლორის პირველ გამოცემაში იგი არ არის მოყვანილი. სოჭის მიღამების ტყეები ძნელი გამოსაყოფა მისი მოსაზღვრე აფხაზეთის ტყეებისაგან, ამიტომ ეს სახეობა შეიძლება იყოს ნაპოვნი აგრეთვე აფხაზეთშიც.

სექცია 2. *Phyllocaulon* Franch. — ფესვთანი ფოთლების გარდა განვითარებულია ლეროსეული ფოთლებიც. ლეროსეული ფოთლები რიცხვით 1—2—3 ან მრავალი.

3. *E. pubigerum* (DC.) Morr. et Decne In Ann. sc. nat. ser. 2, vol. II (1834) 354; Boiss. Fl. Or. I (1867) 101; Suppl. 22; Липский Фл. Кавк. (1899) 214; Somm. et Levier Enum. (1901) 20; Radde, Mus. Cauc. II (1901) 47; N. Busch in Fl. Cauc. Crit. III, 3 (1903) 209; Гросг. Фл. Кавк. II (1930) 124; Федченко, во Фл. СССР VII (1937) 544; პაპავა საქ. ფლორა IV (1948) 104; Гросг. Опред. (1949) 60; Фл. Кавк. 2, IV (1950) 80; Дмитриева, Опред. раст. Аджар. (1959) 49; კემულარია-ნათაძე საქ. მცენ. სარკვ. I (1964) 89. — *Epimedium alpinum* var. *pubigerum* DC. Syst. II (1818) 28; Prodr. I (1824) 110; Franch. in Bull. Soc. bot France XXXIII(1886) 107.

4. ფესურა მოკლეა, დამუხლული, სიფრიფანა ფოთლებით დაფარული; ფოთლები უფრო ხშირია ღეროს პირში; გარდა 2 ფესვთანური ფოთლისა ჩვეულებრივ მოიპოვება ერთი (იშვიათად 2 — 3) ლეროსეული ფოთლი; ყველა ფოთლი ორჯერ-სამჯერაა განკვეთილი; ფოთოლავები უკუკვერცხისებრია, საკმაოდ გრძელი ყუნწებით, რომლებიც არ აღმატება ფოთოლავების ფირფიტას; ფოთოლავები ჯერ ნაზა, თხელი ოდნავ შებუსვილი; შემდეგში ხეშეში. კიდევბზე პატარა ქაციისებრი კბილებით; ფოთოლავების ყუნწები განსაკუთრებით შებუსვილია მუხლებთან. ყვავილე-

დი დატოტვილია, შებუსვილი; ყვავილები სხვადასხვა ზომის ყუნწრებზეა—
მას ფოთლები ბაცი წითელია, ოვალური და ბლაგვი; გვირგვინის ფოტუტე
ლები და სახექტრები ყვითელია; სამტვრები მოკლეა. III—IV გვერდის მას და
აწერილია კონსტანტინეპოლის მიდამოებიდან. ინახება უნევაში.

იზრდება ტენიან ხეობებში მთის შუა საჩტყლამდე.

საქ. სსრ.: აჭარ: ბათუმი (რადე; ა. ღმიტრიევ), აჭარის წყალსა და და-
ნისპარაულს შორის (სომიე და ლევიე), სოფ. ახოდან მთა კალვასკენ (ალ-
ბოვი);

სსრკ-ის დანარჩ. ნაწ.: იმიერკავკ. (დასავლ.).

საერთო გვრცელ: ბალკ.; მც. აზ. (ცანეთი).

შენიშვნა ეს სახეობა სამხერეთ ევროპისა და მცირე აზიის ჩრდილო სანა-
პიროს მთებშია გაერცელებული. კავკასიაში ის ცნობილია მხოლოდ აჭარის მთების
ტენიან ტყეებში. კავკასიაში გვრცელებული გვარის დანარჩენ წარმომადგენლე-
ბიდან E. rubigerum განცალუვებულად დგას. მას ყველაზე მეტად ენათესავება
სამხერეთ ევროპასა და ინგლისში გვრცელებული E. alpinum, რომლის სახე-
სხვაობადაც მას მრავალი მკლევარი თვლიდა. ნ. ა. ბუში მათ დამოუკიდებელ
სახეობებად მიიჩნევს.

გვარი 3. LEONTICE L.

ყვავილები შეკრებილია კენწრულ ყვავილებებად. ჯამის ფოთლები შე-
ფერილია, 6—9, უთანაბრო, გარეთა შინაგანზე უფრო მცირე ზომისაა, გვირ-
გვინის ფურცელები ჯამის ფოთლებზე გაცილებით მოკლეა, სანექტრების
მსავასი, რაოდენობით 6, წვერში თითქმის სწორად გადაკვეთილი; მტვრი-
ანა 6, თავისუფალი. ნასკვი 2—4 თესლკიტით; დინგი პატარაა, სვეტი
შესამჩნევია; ნაყოფი გამობერილი კოლოფია. ბალაზოვანი მცენარეა ტუბე-
რისებრ გამსხვილებული ფესურებით და მცირე რაოდენობის, სამმაგად რთუ-
ლად განკვეთილი ფესურანური ფოთლებით. მტვრის მარცვლები მოგრძო
ფორმისაა, სამდარიანი; ეგზინის ზედაპირი საღაა, ბადისებრი მოხატულობით.

ამ გვარის 10—12 სახეობა გვრცელებულია სამხერეთ ევროპაში, აზია-
სა და ჩრდილოეთ ამერიკაში. აქედან კავკასიაში ცნობილია 2 სახეობა, რო-
მელიც გვრცელებულია აღმოსავლეთ და სამხერეთ-აღმოსავლეთ ამიერკავ-
კასიაში; საქართველოში მხოლოდ ერთი სახეობა იზრდება.

სექცია 1. Leontice — ხასიათდება გვარის ნიშნებით.

O. 1. L. Smirnowii Trautv. in A. H. P. VII (1881) 405; Incred. (1882)
40; Boiss. Suppl. (1868) 22; Липский Фл. Кавк. (1899) 214; Radde, Mus.
Cauc. II (1901) 4; N. Busch in Fl. Cauc. Crit. III, 3 (1903) 212; N. Busch
Ranales Кавказа (1919) 212; Гросг. Фл. Кавк. II (1930) 125, Опред.
(1949) 61, Фл. Кавк. 2, IV (1950) 80; პაბავა საქ. ფლორა IV (1948) 104; კემუ-
ლარია-ნათაძე საქ. მეცნ. სარკვ. I (1964) 90.

2. მცენარე მწვანეა ან ლეგა ფერის, მსხვილი, მომრგვალო, ხორცოვა-
ნი ფესურით და სამმაგად რთული ფესურანური ფოთლით, რომლის გრძელი



ყუნწი ვაგინისებრაა გაფართოებული; ცალკეული ფოთოლაკი გრძელებული ანია და 5—4 ელიფსურ, კიდემთლიან სეგმენტალა თათისებრ გვაუჯურული ყვავილების ქვეშ განვითარებულ ღეროსეულ ფოთოლს აქვთ ღეროს ირგვლივ შემოხვეული გაფართოებული ვაგინა; ყვავილებში ყვავილების ოცნები მცირეა; ყვავილი ყვითელია; ჭამის ფოთლები მოგრძოა, გვირგვინის ფურცლები ჭამის ფოთლებზე სამჯერ მოკლეა, ყვითელი ფერისაა, სოლისებრ-ფუძიანია. კოლოფი ოვალურ-სფეროსებრია. II—III. 2n=16. (სურ. 19).

აშერილია კახეთიდან, სმირნოვის მიერ ლაგოდეხის მიღამოებში შეგროვილი მასალების მიხედვით. ტიპი დაცულია ლენინგრადში.

იზრდება დაბურულ ტყეებში მთის შეუა სარტყლამდე.

საქ. სსრ.: კახ. ლაგოდეხის მახლობლად (სმირნოვი, მედუედევი, მლოკოსევიჩი); ლაგოდეხის ხეობა (მლოკოსევიჩი).

გვარი 4. BONGARDIA C. A. MEY.

ყვითელი ყვავილები შეკრებილია ძლიერდატოტინებულ საგველასებრ ყვავილებებად. ყვავილსაფარი გვირგვინისებრია; ჭამის ფოთლები და გვირგვინის ფურცლები ექვს-ექვსია. ფოთოლთვანწყობა არამეაფიონ სპირალურია. მტვრიანა 6, სამტვრები უწვეტოა და ისსნება ორი საგდულით. ბუტკო ერთი ან მცირებიცხოვანი (4—8) თესლევირტით. ნაყოფი გამობერილი კოლოფია. თესლები მცირე ზომის, თითქმის მრგვალი, ძირში ჩაჰკულეტილი. მრავალწლოვანი მცენარეებია ტუბერისებრ გამსხვილებული ფესურებით და ფრთისებრ განკვეთილი ფესვთანური ფოთლებით.

მტვრის მარცვლები სფეროსებრია სამღარიანი; ეგზინის ზედაპირი საღაა წერტილოვანი მოხატულობით; ღარების მეშჩრანის ზედაპირი მარცვლოვანია.

გვარში ცომილია მხოლოდ 4 სახეობა, რომელიც იზრდება სეელიაშუზღვეთის აღმოსავლეთი ნაწილის, წინა და ცენტრალური აზიის შშრალ ზეგნებსა და ფერდობებზე. ეს გვარი ჩვეუში ერთი სახეობითაა წარმოდგენილი.

სექცია 1. *Bongardia*— ფესურა ტუბერისებრ გამსხვილებულია. ყველა ფოთლი ფესვთანურია და ფრთისებრ დაყოფილი. ყვავილები რთულია.

1. *B. chrysogonum* (L.) Boiss. Fl. Or. I (1867) 99; Radde, Mus. Cauc. II (1890) 247; Липский Фл. Кавк. (1899) 214; Гросг. Фл. Кавк. (1930) 125; Федченко, во Фл. ССР VII (1937) 552; მაყაშვილი საქ. ფლორა IV (1948) 107; Гросг. Фл. Кавк. 2, IV (1950) 81; Рзазаде, во Фл. Азерб. IV (1953) 108; კემულარია-ნათაძე საქ. მცნ. სარკ. I (1964) 90. — *B. Rauwolfii* C. A. Mey. Verz. (1831) 174; Ledeb. Fl. Ross. I (1842) 80. — *Leontice chrysogonum* L. Sp. Pl. (1753) 447; N. Busch in Fl. Cauc. Crit. III, 3 (1903) 211.

4. ტუბერისებრ გამსხვილებული ფესურები დიდებია და უსწორო ზედაპირიანი. 10—50 სმ სიმაღლის ღერო ძირში ქერქლისებრი მარტივი და ფესვთანური ფრთისებრ გაყოფილი ფოთლებითაა; მათი სეგმენტები მშდომარეა, ფუძისეკნ სოლისებრ შევიწროებული, წვერისეკნ 3—5-ნაკვთიანი. ყვავილი ყვითელია, გვირგვინის ფურცლები თითქმის ორჯერ გრძელია ჭამ-



ზე. კოლოფი მოგრძოა, ორივე ბოლოში შევიწროებული. III—IV. 2n=12.

14.

ერთობული
გიგანტური

აწერილია საბერძნეთიდან.

იზრდება ველებში, ნათესებს შორის და შშრალ ფერდობებზე.

საქ. სსრ.: ქიზ.: ზიარევი (ა. კაკულია, მ. სოხაძე). იბერია (ვილჰელმსი).

სსრ-ის დანარჩ. ნაწ.: ამიერკავკ.: აზერბ., სომხ.; შუა აზ.

საერთო გავრცელ.: ბალკ.; მც. აზ.; ირ.

სა მ ე უ რ ნ ე რ მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ბ ა. შემწვარი ან მოხარშული ტუბერები იჭმება. სახალხო მედიცინაში ცნობილია, როგორც სამკურნალო საშუალება.

რიგი 4. LAURALES HUTSCH.

ჰეტჩინსონი Laurales რიგში ათავსებს 7 ოჯახს, რომელთაგან 3 მთელი მსოფლიოს ტროპიკულ ქეყნებშია გავრცელებული, დანარჩენი ტროპიკული და სუბტროპიკული მცენარეებია.

ჩვენში ეს რიგი წარმოდგენილია ოჯახი Lauraceae-ში შემავალი გვარი—*Laurus*-ის მხოლოდ ერთი სახეობით.

ოჯახი 31. LAURACEAE A. L. JUSS.—დაფისებრნი

ყვავილი ქოლგებადაა შეკრებილი, აქტინომორფულია, ორსქესიანია ან ერთსქესიანი. თავიდან (ცოკრობისას) მოთავსებულია საბურველში. ყვავილსაფრის მარტივია, სამწევრიანი. ყვავილსაფრის ფოთლები ორ წრედ არის განლაგებული. თითო წრეში სამ-სამი, უთანაბრო, ფუძესთან შეზრდილი ფოთოლია. მტერიანები 8—14, რამდენიმე წრედ განლაგებული, ზოგჯერ რედუცირებული ან სტამინოდიუმებად გადაქცეული. ნასკვი ზეღაა, ჩაღრმავებულ ან გაფართოებულ ყვავილსაჭირომშე მოთავსებული, ერთბუღიანია და ერთი თესლევირტითა. ნაყოფი კენკრასებრია ან კურკიანაა. თესლი უნდოს სპერმოა. ფოთოლი მარტივია, ტყავისებრი. ხეა ან ბუჩქი.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. ოჯახში შედის 39-მდე გვარის 1000-მდე სახეობა, რომელიც გავრცელებულია აზიანა და ამერიკის ტროპიკულსა და სუბტროპიკულ ტენებში. ამ ოჯახს ეკუთვნის *Laurus nobilis* (ევროპა) — კეთილშობილი დაფნა, *Cinnamomum camphora* (ჩრდ. ამერიკა) — ქაფურის ხე, *C. zeylanicum* (ცეილონი) — დარიჩინის ხე, *Persea gratissima* — ავოკადო და სხვა. ჩვენში ეს ოჯახი წარმოდგენილია ერთი სახეობით — კეთილშობილი დაფნით, რომელიც ფრთოდაა გავრცელებული ჩმელთაშუაზღვეთის ქვეყნებში; ზემოაღნიშნული სხვა სახეობანი კულტურაშია გავრცელებული შავი ზღვის სარაპიროზე.

გვარი 1. LAURUS L.—დაფნა

ყვავილები აქტინომორფულია პატარა ზომის, მცირერიცხოვანი, შეკრებილი თავაკისებრ, ქოლგისებრ ან მტევნისებრ ყვავილედებად. ყვავილსაფრის ფოთლები მომწვანო-მოყვითალოა, ჯამისებრი, ორ წრედ განლაგებული. მტევნიანები 3—4 წრედაა განლაგებული; ძაფები ძირში შეზრდილია, სამტევრე საგლულებით ისნება. ნასკვი ერთბუღიანია; დინგი პატარა ზომისაა. ნაყოფი წვნიანი-კენკრა ან კურკიანაა. ხეები ან ბუჩქებია, რომელთა

ფოთლები ტყავისებრია, კიდემთლიანია, მორიგეობით ან მოპირესავარება/ განლაგებული და ყველა ნაწილში სურნელოვან ზეთების გამომუქოცულშება/ ვლები აქვთ. მტვრის მარცვლები სფეროსებრია ღარსა და ფლრის/ მტყველურება/ ბული; ეგზინა თხელია, წვრილეკლოვანი ზედაპირით.

ეკრაპაში მხოლოდ ორი სახეობა იზრდება: *L. canarensis* — მაღარასა და კანარის კუნძულებზე და *L. nobilis* — მთელ ხმელთაშუაზღვეში.

1. *L. nobilis* L. Sp. Pl (1753) 529; Липский Фл. Кавк. (1889) 440; N. Busch in Fl. Cauc. Crit. III (1901—1903) 220; Гроссг. Фл Кавк. II (1930) 126; И. Палибин, во Фл. СССР VII (1937) 572; Гроссг. Опред. (1949) 42, Фл. Кавк. 2, IV (1950) 84; Колак. Фл. Абх. II (1939) 161; შტეპა საქ. ფლორა IV (1948) 110.

ჩ ან ჩ გლუვი წაბლისფერი ქერქით; ფოთლები მორიგეობითია, მარად-მწვანე, ტყავისებური, ზედა მხარეზე პრიალა, მოგრძო-ლანცეტა ფორმის, წვერისავენ შევიწროებული, მოკლეყუნწიანი. ყვავილი პატარა, მოკლე შებუსვილი ყუნწით, შეკრებილია ფოთლის უბეებში მჯდომარე, ცრუქოლობისებრ ყვავილედებად, რომლებიც ყვავილების გაშლამდე დაფარულია თანაყვავილი-საგან შექმნილი საბურველით; ყვავილსაფრის ფოთლები ბლაგვია, უკუკვერცხისებრი ან კვერცხისებრი. ნაყოფი მოკლე ყუნწიანია, ელიფსური ან კვერცხისებრი მოყვანილობის, მწიფე-შავია, ჩეცულებრივ, ლეგა ნაფიფქით. $2n=42$, 48.

აწერილია ევროპიდან.

იზრდება ტყის ქვედა სარტყელში ან მთის წინებზე.

საქ. სსრ.: სამეგრ.: ახალი სენაკი სალომიას მონასტრის ნანგრევები (ალ-ბოვი; კემულარია-ნათაძე); ფოთი (რადე), იმერ.: ქუთაისი (ფრიკი), სოფ. გელათასა და ქუთაისს შორის, მოწამეთასა და ქუთაისს შორის, სოფ. გოდოგანი საცხოვრებელ ბინებთან გრძის პირებშე (კემულარია-ნათაძე); სსრ-ის დანარჩ. ნაწ.: შავი ზღვ. სანაპ.

საერთო გავრცელ.: ხმელთაშ. ზღვ. მხრ.

შენი შვენ. მესამეული პერიოდის რელიქტია, რაზედაც მიუთითებს მისი ნამარხებში პოვნა სსრკ-ის ევროპულ ნაწილში და კავკასიაში.

სამეცნეო მნიშვნელობა: როგორც ეთეროვანი და ცხიმოვანი ზეთების შემცველ მცენარეს, კეთილშობილ დაფნის აშენებენ მრავალ რაიონში, განსაკუთრებით დასავლეთ მიერკავკასიაში; ფოთლები გამოიყენება, როგორც სურნელ-სანელებელი. დაფნის ხეს აშენებენ აგრეთვე როგორც დეკორაციულ მცენარეს მარადმწვანე ფოთლებით.

რიზი 5. PIPERALES LINDEL.

ოჯახი 32. SAURURACEAE LINDL.¹

ყვავილები უყვავილსაფროა, ორსქესიანი, შეკრებილია ხშირ თავთავებად ან მტევნებად წაგრძელებულ საყვავილე ღერძზე. მტვრიანა ჩეცულებრივ 6,

¹ დამუშავებულია ა. შეიან მა.



ორშტედ განლაგებული, იშვიათად მტკრიანა მეტია (რვამდე) ან წაკლის (3), თავისუფალი ან ნასკვის პირზე მიზრდილი. სამტკრე იხსნება ქსერიულული გონეციუმი (ბუტკო) შედგება 3—5 თავისუფალი ან შეზრდილი ნაყოფის ფორმაზე ან ლისაგან. ნაყოფი ხორცოვანი, მრავალთესლიანი კოლოფია, რომელიც წევრში ნასკრეტებით იხსნება; იშვიათად ნაყოფები უხსნადია, ძირში შეზრდილი, ერთობესლიანი.

გვარი 1. HOUTTUYNIA THUNB.

მტკრიანა 3. ნაყოფის ფოთოლი 3—4, სტილოდიუმების ძირამდეა შეზრდილი, ეს უკანასკნელები ქვევით დახრილი დინგებითაა. კოლოფი მომრგვალია, ერთბუღდანი, მრავალთესლიანი. თესლები მომრგვალია. მრავალწლოვანი ბალახებია, სპირალურად განლაგებული ფოთლებით და ხშირი თავთავისებრი ყვავილედებით. მტკრის მარცვლები ერთი დისტალური ღარით. ღარის მემბრანა მარცვლოვანია. მტკრის მარცვლების ზომა $11 \times 18 \times 15$ მიკრონია.

1. *H. cordata* Thunb., Fl. Jap. (1784) 234; გრიგ. ფლ. კავკ. II (1930) I; გრიგ. ფლ. კავკ. 2, III (1945) 15; პაპავა, საქ. ფლორა III (1947) 1; გრიგ. იმპ. (1949) 724.

2. ღერო მარტოულია ან რამდენიმე, 20—30 სმ სიმაღლის, სწორმდგომი ან ოდნავ დაყლაქილი; ფოთლები მორიგეობითია, ყართველურისებრი ან კვერცხისებრი ლანცეტა, წვერში წაწვეტილი, ძირში გულისებრი; ფოთლის ყუნწი ფირფაიტაჟე მოკლეა, დაღარული. თანაფოთოლი ორია, დიდი ზომის, მოგრძო, კიდეზე იღნავ წამწამისებრი. ყვავილედი თავთავისებრია, 1—3 სმ სიგრძის, ძირში განვითარებული აქვს მოგრძო ოვალური გვირგვინის ფურცლისებრი 4 ყვავილთანური ფოთოლი. V—VI. $2n=56$; 96; 100—104;

აწერილია იაპონიიდან.

იზრდება შავი ზღვის სანაპიროზე ტენიან რუდერალურ აღვილებში და ჩაის პლანტაციებში.

საქ. სსრ: აქარ.: ბათუმის ბორტანიკური ბალი (მაყაშვილი); ჩაქვი (მაყაშვილი), იქვე მანდარინის ბალში (მაყაშვილი).

საერთო გავრცელ.: აღმ. აზ.

რიგი 6. SALICALES LINDL.

ოჯახი 38. SALICACEAE MIRBEL¹ — ტირიფიციბრნი

ყვავილები ეთრსქესიანია და ორსახლიანი, შეკრებილია ხშირ, სწორმდგომი ან დაკიდულ ცალსქესიან მჭადა ყვავილედებად, რომლებიც ბრაქტეების (თანაყვავილების) იღლიებშია განლაგებული, ყვავილებს გვირგვინის ფურცლები არა აქვთ. ჯამი რუდიმენტის სახითაა; გვარ *Populus*-ში მდედრობითი ყვავილების ჯამი

¹ ლამეზუავა ა. შხიანშვა.

12. საქართველოს ფლორა, II



ლამბაქისებრია ან ფიალასებრი; გვარ *Salix*-ში კი ერთი, ორი, იშვიათად 3—5 წვრილი ფოჩისებრი, ხშირად უთანაბრო სანექტრე ჯირკვლების სახით მჭრელი ბიც ზოგჯერ ფიალასებრ ან ამოკვეთილნაკვთიან რგოლადაა შეერთებული. შეერთებული ან გვარ *Salix*-ში ჩვეულებრივ 2, გვარ *Populus*-ში კი 3—60; მტვრიანების ძაფები თავისუფალია ან მხოლოდ ძირშია, ძალიან იშვიათად კი მთელ სიგრძეზეა შეზრდილი. სამტვრე 2-ბულიანია. ნასკევი ზედაა, მჯდომარე ან მოკლე, იშვიათად გრძელყუნწიანია. ნაყოფი 2—5 საგდლიანი კოლოფია. თესლი ძალიან წვრილია, მრავალი, მიზანით, ძირში ბეწვების კონა აქვს. ხეებია ან ბუჩქები, მორიგობით განლაგბული, მთლიანი, ან დანაკვთული კიდედაკბილული ფოთლებით. ფოთლები თანაფოთლებითაა, სცვივა.

1. კვირტები დაფარულია გარედან შესამჩნევი, არანაკლებ 2 ქერქლით. ყვავილთანური ქერქლები ჩაჭრილია ან ფოჩისებრი. ყვავილები ყუნწიანია; ჭამი ფიალასებრია; მტვრიანები მრავალია (30—65), დამოკლებული ძაფებით. ფოთლები გრძელყუნწიანია 1. *Populus* L.

- კვირტები დაფარულია გარედან შესამჩნევი 1 ქერქლით. ყვავილთანური ქერქლები კიდემთლიანია. ყვავილები მჯდომარეა, ჭამი, ერთი ან რამდენიმე ჯირკვლის სახითაა; მტვრიანა 2, იშვიათად 3—5; მტვრიანის ძაფები წაგრძელებულია. ფოთლები მოკლეყუნწიანია 2. *Salix* L.

გვარი 1. *POPULUS* L. — ვარხვები

ყვავილები ერთსქესიანია, ცილინდრულ, სწორმდგომ ან დაკიდულ მჭადა ყვავილებად შეკრებილი. ყვავილებში თითოეული ყვავილი ვითარდება თანისებრ დანაკვთულ თანაყვავილების ილლიაში. მდედრობითი ყვავილის ძირში მოთავსებულია ღამბაქისებრი ან ფიალასებრი დისკო; მამრობითი ყვავილის ძირში კი დისკო ფირფიტის სახითაა. ნასკევი ერთბულიანია. დინგი 2—4, ჩვეულებრივ მჯდომარე. მტვრიანების ძაფები მოკლეა. ნაყოფი კოლოფია, ისსხება წვერილან 2—4 საგდლით. თესლები წვრილია, მოგრძო, ძირში აბრეშუმისებრი ბეწვების საფრენით. სწრაფად მოზარდი ხეებია, ფართო ვარჯით. კვირტები კვენწრულია, მრავალრიცხვოვანი ქერქლებით შემოსილი. ფოთლები გრძელყუნწიანია, მომრგვალო, კვერცხისებრი, ხაზური, მთლიანი, დაკბილული, დანაკვთული ან ხერხისებრ განკვეთილი; ხშირად ერთ მცენარეზე სხვადასხვანაირი ფოთოლია განვითარებული. მტვრის მარცვლები ღარსა და ფორსა მოკლებულია, სფეროსებრია, ეგზინა ძალიან თხელია, ზედაპირი წვრილმარცვლოვანია, წვრილბალისებრი მოხატულობის. მტვრის მარცვლების ზომა 23—36 მიურნია.

1. ფოთლები ტყავისებრია, ლეგა, შიშველი, ერთ და იმავე მცენარეზე სხვადასხვა ფორმის და ზომის; დამოკლებულ ყლორტებზე ფართო, კვერცხისებრ რომბული ან მომრგვალო, მეჩერად არათანაბრად დაკბილული ფოთლებია განვითარებული; გრძელი ყლორტები კი ვიწრო, თითქმის ხაზური, კიდემთლიანი ფოთლებითაა 1. *P. euphratica* Oliv.



- ფოთლები არ არის ტყავისებრი და არც ლეგა, ფირფიტაც უზრუნველყოფა
განსხვავებული ერთ და იმავე მცენარეზე 1. *P. pseudonivea* Grossh.
2. კვირტები თეთრი ბეწვითაა შემოსილი. ყლორტების ფოთლები ქვე-
მოდან თეთრი ან რუხი ფერის ხშირი ქეჩისებრი შებუსვითაა, ძევლ
ტოტებზე განვითარებული ფოთლები კი შიშველია ან სუსტად
შებუსვილი, ყვავილთანური ქერქლები დაკილულია 3
- კვირტები შიშველია, ჩვეულებრივ წებოვანი. ყლორტების ფოთლე-
ბი შიშველია ან ქვემოდან ცოტად თუ ბევრად ხშირი, წვრილი
ბეწვითაა შემოსილი, მაგრამ ქეჩისებრი არასდროს არაა. ყვავილ-
თანური ქერქლები ღრმადა ჩაჭრილი 6
3. ყველა ყლორტის ფოთლები ნაყოფმსხმოიარობისათვის შიშველია
ან სუსტად შებუსვილი. ყვავილების ღერძი გაფანტული ბეწვითაა
შემოსილი. კოლოფი შიშველია 4.
- ყველა ყლორტის ფოთლები ნაყოფმსხმოიარობისათვის ქვემოდან
ხშირი, რბილი, რუხი, ქეჩისებრი შებუსვითაა. ყვავილების ღერძი
შებუსვილია. კოლოფი ბეწვითაა შემოსილი, იშვიათად თითქმის
შიშველი 2. *P. pseudonivea* Grossh.
4. ყლორტების ფოთლები ცოტად თუ ბევრად წაგრძელებულია, სრუ-
ლიად არა დანაკვთული ან ოდნავ გამოსახულ ნაკვთებითაა
. 5. *P. hyrcana* Grossh.
- ყლორტების ფოთლები მოყვანილობით ფართო კვერცხისებრია,
თითქმის მომრგვალომდე. ყოველთვის მკაფიოდ დანაკვთული 5.
5. გრძელი ყლორტების ფოთლები პატარა ზომისაა, ხასიათდება ღერ-
ძიდან გვერდზე გაშვერილი ნაკვთებით. ქველი ტოტების ფოთლები
ჩვეულებრივ უფრო მოკლეა, მომრგვალო, ოდნავ დანაკვთული ან
დაკილული 3. *P. alba* L.
- გრძელი ყლორტების ფოთლები უფრო ღიდი ზომისაა, ხასიათდება
ღრმად ჩაზნექილი ნაკვთებით, რომლებიც ფოთლის ღერძზე მიტე-
ცილი. ძველი ტოტების ფოთლები კვერცხისებრია ცოტად თუ
ბევრად დაკილული ან დანაკვთული 5. *P. canescens* (Ait.) Smith
6. დამოკლებული ყლორტების ფოთლები მომრგვალოა, კიდეზე ამო-
კვეთილ მსხვილებილებანი, გადმოკიდებული. ყვავილთანური ქერქ-
ლები რუხი, ბანჯგვლიანი, წამწამისებრი შებუსვითაა 6. *P. tremula* L.
- დამოკლებული ყლორტების ფოთლები კვერცხისებრ სამკუთხაა, კი-
დეზე საქმიან წვრილებიბიანი. ყვავილთანური ქერქლები შიშ-
ველია 7. *P. nigra* L.

სექცია 1. *Turanga* Bunge — ფოთლები ტყავისებრია, ღრიცე მხრიდან
ლეგა, ერთ და იმავე მცენარეზე სხვადასხვანიარი: გრძელ ყლორტებზე ვიწრო,
კიდემთლიანი; ხოლო დამოკლებულ ყლორტებზე — ფართო, დაკილული. ღისკო
ღრმადა დაყოფილი, მსი კბილები წევრიანია. ღინგი კაშკაში წითელია, ღიდი
ზომის. კოლოფი ყუნწიანია, წაგრძელებული, კონუსისებრი. ხეებია, გვხვდება
დამლაშებულ ნიადაგებზე.

1. *P. euphratica* Oliv., Voy. Emp. Othoman, ed. min. 6 (1807) 349; Гросг. Фл. Кавк. II (1930) 2; Комаров, во Фл. СССР V (1936) 229; Скворцов во Фл. Арм. V (1966) 330. — *P. transcaucasica* Jarm. in Grossh. в Докл. АН Азерб. ССР 2, 9 (1946) 379; Гросг. Опред. (1949) 727.

ჩ. კვირტები შებუსვილია. გრძელი ყლორტების ფოთლები ვიწროა, კიდემთლიანი, ლანცეტისებრი ფორმიდან ხაზურამდე, კიდეზე ცოტად თუბევრად ტალისებრი; დამოკლებული ყლორტების ფოთლები ფართოა, ელიფსისებრ-მომრვალო ან კვერცხისებრ რომბული, ზედა ნწილში 2-6 წყვილი, არაღრმა, წვერტიანი კბილით. ნორჩი კვავილედის (მჟავას) ღერძი შებუსვილია. კოლოფი გლუვია, მოლევო, სამსაგდულიანი.

იზრდება მთის ქვედა სარტყელში მდინარეთა ნაპირების გაყოლებით 700—800 მ-ზე.

საქ. სსრ.: ქიზ.: პანტიშარა, დათვისხევი (კუცხოველი);

სსრკ-ის დანარჩ. ნაწ. ამიერკავკ.: აზერბ., სომხ.; შუა აზ. (სკოლუროვის მონაცემებით).

ସାହିତ୍ୟ ପରିମାଣରେ କାହାର ଅଧିକ ହେଉଥିଲା ଏହାର ଅଧିକାରୀ ହେବାର ଦ୍ୱାରା ନିର୍ଦ୍ଦେଶ ଦିଆଯାଇଛି।

აწერილია მესოპოტამიიდან.

ეს სახეობა საქართველოსათვის პირველად მოყვანილი აქვს ზ. ქებაძეს (საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე 37,3:669; 1965) ვაშლოვანიდან პირადად შეგროვებული მასალების მიხედვით.

სეკცია 2. *Populus*— ქერქი ღია ფერისაა, გლუვი, მხოლოდ ძველ
ტოტებზეა უსწორმასწორი; ფოთლები ზემოდან უფრო მუქია, ხშირად და-
ბაკვეული, სხვადასხვა ფორმის, კიდეზე გამშვირვალე არ არის; ფოთლის ყუნ-
წი ზედა ნაწილში ძლიერაა გვერდებშებრტყელებული. ყვავილსაფარი ნა-
ყოფილისას ზედევა შერჩენილი და ირჩადაა წაკვეთილი. ღიანგი 2, მკრთა-
ლი ვარდისფერიდან მეჭამულ ფერამდე. მტვრიანა 5—20. კოლოფი წაგრ-
ძელებულია. თანაყვავილის ქერქლები ფორმისებრია, გვიან ცვივა.

2. *P. pseudonivea* Grossh. в Изв. Азерб. ФАН СССР (1940) 66; Гросг. Фл. Кавк. 2, III (1945) 31; Опред. (1949) 727; Карагин, во Фл. Азерб. III (1952) 64. — *P. nivea* auct. саue. non Willd.: Скворцов, во Фл. Арм. V (1966) 330; Մեծանո Տայք. ՑՈՒՅԵ. Խարյու. II (1969) 494.

ჭ. ყველა ყლორტის ფოთლები ნაკოდმს ხმოიარობისათვის ქვემოდან ხშირი, რბილი, მორუხო, ქეჩისებრი შეგუსვითაა, ზემოდან მცირე ბეჭვიანი, მოყავინლობით კვერცხისებრ-რომებულია, ხასიათდება მსხვილი გძილებათ, რომლებიც თითქმის ნაკვთებსა ჰქმნის. კოლოფი მოკლეყუნწიანია, წვრილ-ბორცვიანი, ხშირი, მოკლე, ხუჭუჭა ბეჭვით შემოსილი ან თითქმის შიშველი. III—V.

აწერილია ქუთაისიდან.

იზრდება ტყეში მთის შუა სარტყელში. გვხვდება კულტურაშიც.

საქ. სსრ.: იმერ.; ქართ.: საგურამო (ზედელმეირი);

სსრკ-ის დანარჩენი. ნაწ.: იმიერკავკ., ამიერკავკ.: აზერბ., სომხ.; შუა აზ.

საერთო გავრცელ.: შუა ევრ.; მც. აზ. (ბალკ.)



შენიშვნა: ამ სახეობის დამოუკიდებლობის დადგენისათვის აუცილებელი ბელია დამატებითი მასალის შეგროვება. ორივე სახეობის ტიპობრუნვის მიზანით კლარები არ არის ცნობილი.

3. *P. alba* L. Sp. Pl. (1753) 1034; Комаров во Фл. СССР V (1936) 225; Гроссг. Фл. Кавк. 2, III (1945) 32; Гроссг. Опред. (1949) 728; Колак. Раст. мир Колх. (1961) 413; Махатадзе в Дендрофл. Кавк. II (1961) 58; Скворцов во Фл. Арм. V (1966) 332; Եեօնօն Եայ. ՑԱՅԵ. ԽԵՂԱ. II (1969) 495.

ჩ. დიდი ზომის ხეებია, 35 მ-ზე შეტ სიმაღლეს აღწევს და ფართოდ გა-
შლილი ვარჯი აქვს. გრძელი ყლორტების ფოთლები 5—9 სმ სიგრძისაა,
ფართო სამკუთხისებრ მომრგვალებული ძირით და ორი პატარა ნაკვთით, რო-
მელიც ფოთლის ლერძიდან გვერდზეა გაშეერთია: ბევრი ტოტების ფოთლე-
ბი მომრგვალოა, ოდნავ დანაკვთული, ხასიათდება მსხვილი კბილებით,
ოდნავ წაკვეთილი ძირითა და ვერცხლისფერი ბამბისებრი შებუსვით. ყვავილე-
დის ღერძი წვრილი, მეჩხერი ბეჭვითაა შემოსილი. კოლოფი შიშველია. III
—IV. $2n=38$; 57.

აშერილია დასავლეთ ევროპიდან.

იზრდება მთის ქვედა სარტყელში მდინარეთა ნაპირებზე. ხშირად გვხვდება კულტურული შიც.

საქ. სსრ: ა. გროსპეიმისა და ა. კოლაკოვსკის მიერ მითითებულია კოლ-
ხეთისათვის, გარდა ამისა ა. გროსპეიმს მოყვანილი აქვს აღმოსავლეთ ამი-
ერჯავებისისათვის.

სსრკ-ის დანარჩ. ნაწ.: იმიერკავკ., სამხრ. და აღმ. ამიერკავკ.; შუა აზ. საერთო გვარცულ.: მც. აზ. (ბალკ.); დას. ევრ.

4. *P. canescens* (Ait.) Smith Fl. Brit. 3 (1805) 1080; Комаров во Фл. СССР V (1936) 226; Колак. Фл. Абх. II (1939) 26; Колак. Раст. мир. Колх. (1961) 413.—*P. alba* v. *canescens* Aiton, Hort. Kew. III (1789) 405.—*P. hybrida* M. Bieb. Fl. Taur.-Cauc. II (1808) 422; Гросг. Фл. Кавк. 2, III (1945) 32; სოსნოვები საქ. ფლორა III (1947) 3; Гросг. Опред. (1949) 728; Карагин во Фл. Азерб. III (1952) 67; Дмитриева, Опред. раст. Аджар. (1960) 425; შხანი საქ. მუნ. სარკ. II (1969) 495. — ხდელ.

აწერილია კულტურული ეგზემპლარების მიხედვში ქართველი იზრდება მთის შუა სარტყლამდე მდინარეთა ცველასწერულ ტერიტორიულ მდგრად მართვის შემთხვევაში.

საქ. სსრ.: აფხ.: გაგრა (კოლაკოვსკი); გეგას ხეობა (კოლაკოვსკი, ძაბრი-
ვა); პიცუნდა (ვროსტემი, გუბისი). სოფ. დურიბშის ახლოს (ფურცელიწყნარული
ოქუმი (კოლაკოვსკი); სამეგრ.: სენაკისა და სუდგუნის შორის (მაყუჩული) რეზერვი
იმერ.: ლეჩანი (ბუაჩიძე), ყვირილა (ლომავინი), სვირი (ზედელმეირი);
ქართ.: მცხეთა (პავილევი), იქვე, არმაზის ხევი (შიშინი), ბორჯომის (კოზ-
ლოვსკი), ბორჯომშა და ახალდაბას შორის (იგოვე), მდ. თეძამი, ახალქალაქის
ახლოს (გუბისი), თბილისი (კოზლოვსკი), დაბახანის (ლელვთა ხევის) ხეობა
(სოსნოვსკი); კახ.: ლაგოდეხის ნაკრძალი, მდ. ლაგოდეხის-წყალის ხეობა (დო-
ლუხანოვი), სოფ. მაჭიმი (პაპავა), თელავი (ბუაჩიძე); გარე კახ.: კავაბე-
თი (ზ. ყანჩაველი); ქიშ.: შირაქი (ზედელმეირი), იქვე (კეცხველი); არ-
ფა-დარა (დოლუხანოვი), წითელწყარო (შხიანი, ტერ-ხაჩატუროვი); თრიალ.:
თეთრი წყარო (კოზლოვსკი); ქვ. ქართ.: ბოლნისი (შხიანი).

სსრკის დანარჩ. ნიჭ.: იმიერკავკ.; ამიერკავკ.: აზერბ., სომხ.; ევრ. ნაწ.
საერთო გავრცელ.: მც. აზ. (ბაღქ.).

სამეურნეო მნიშვნელობა: მეტად დეკორაციული მცენარეა.

5. *P. hyrcana* Grossh. в Изв. Азерб. ФАН СССР 5 (1939) 73; Гроссг. Фл. Кавк. 2, III (1945) 32; Сосненковский Саф. Флорона III (1947) 4; Гроссг. Опред. (1949) 727; Карагин во Фл. Азерб. III (1952) 68; Махатадзе в Дендрофл. Кавк. II (1961) 61; Шхიანи Саф. გვ. 6. სარკ. II (1969) 494.

ამ სახეობის ავტორის მონაცემების თანახმად წინა სახეობისაგან განსხვავდება ყლორტების ფოთლებით, რომლებიც უფრო წაგრძელებულია და ოდნავ გამოსახულნაკვთიანი.

აწერილია ლენქორანიდან.

მითითებულია იმერეთისათვის. სსრკ-ის დანარჩ. ნაწილში კი აღმოსავლეთ ამიერკავკასიისათვის, კერძოდ, ლენქორანისათვის.

შენიშვნა. ლენქორანიდან მრავალი სახერბარიტომი მასალის გადასინჯვის შედეგად ი. კარიაგინი (I. c.) მიუთითებს ამ სახეობის *P. canescens*-ისაგან განმასხვებელი მორფოლოგიური ნიშნის მერყეობაზე და იმავე რაონბში *P. canescens*-ის გარდა მავალი ფორმების არსებობაზე. ამიტომ *P. hyrcana*-ს სახეობრივი დამოუკიდებლობის საყითხი შემდგომ შესწავლას სავირთობს.

6. *P. tremula* L. Sp. Pl. (1753) 1034; Гроссг. Фл. Кавк. 2, III (1945) 32; Сосненковский Саф. Флорона III (1947) 5; Дмитриева Опред. раст. Аджар. (1960) 425; Шхიანи Саф. გვ. 6. სარკ. II (1969) 495. — ევრეთი.

ჩ. დიდი ზომის ხეა, 30 მ-მდე სიმაღლის. მოკლე ყლორტების ფოთლები მომრგვალოა ან მომრგვალო კვერცხისებრი, მოკლეწვეტიანი, კიდეზე ამოკვეთილ მსხვილებილა, დაკიდული და პატარში მორთოლვარე, გრძელყუნწანიანი. ფოთლის ყუნწი ხშირად ფირფიტაზე გრძელია. წავრქელებული ყლორტების ფოთლები დიდი ზომისაა, 7 სმ-მდე სიგრძის, 8 სმ სიგანის, ფართო კვერცხისებრი, სოლისებრი ან ოდნავ გულისებრი ძირით. ყვავილთანური ქერქლები ხშირწამწამისებრია. 2n=37; 38; 56; 57.

აწერილია ჩრდილოეთ ევროპიდან.

იზრდება მთის ქვედა სარტყლიდან დაწყებული ზედა სარტყლამდე მდინარეთა ნაპირებზე, ნაკაფებში, ტყეში და გაშიშვლებულ ფერდობებზე.

საქ. სსრ: მთელ ჩრდილოეთ ევროპიდან.

სსრებ-ის დანორჩ. ნაწ.; მთელ კავკასიაში (გარდა ლენქორანისა); ეგვ.
ნაწ.; ციმბ.; შუა აზ.; შორ. აღმ. საერთო გავრცელ.: შუა და ჩრდ. ევრ.; მც. აზ.; ხმელთაშ. ზემო და ქვემო მეტად
სომხ.-ქურთ.; ცენტრ. აზ.

სექცია 3. Aigeiros Duby — ახალგაზრდა ტორების ქერქი დანაოცებულია ფოთლები ორივე მხარეზე მწვანეა, მომრგვალო ფართო სამკუთხასებრი და ფოთლების მიზნით ან კვერცხისებრი, კარგად გამოსახული გამჭვირვალე კა-დით; ფოთლის ყუნწი ცოტად თუ ბეკრად შებრტყელებულია. თანაყვავი-ლის ქერქლები შიშველია, აღრე ცოდა. ყვავილსაფარი სწორადაა წაკვ-თილი, სრულ მომწიფებამდეა ნაყოფებზე შერჩენილი.

7. *P. nigra* L. Sp. Pl. (1753) 1034; Комаров во Фл. СССР V (1936) 228; მაყაშვილი თბილ. მიც. ფლორა, I (1952) 131; Скворцов во Фл. Арм. V (1966) 339. — *P. Sosnowskyi* Grossh. in Not. Syst. Georg. Thbilis. 10 (1941) 2; სოს-ნოვსკი საქ. ფლორა III (1947) 6; უბანი საქ. მეცნ. სარკე, II (1969) 495. — თფა.

కీ. మాలాలు, 30 ఫెబ్రవరి సంఘాల్లిస్ కో. భుజ్ ల్యూ పులంగర్త్రేడ్స్‌సి ఔటటల్చ్యూ
టూరిస్ట్ క్లబ్‌సిస్టర్స్ సంఘ్యుతాదా అన రహమిస్‌బ్రిట్, లూమిఫ్రెన్‌లాండ్ సొంలిస్ట్రీస్
అన స్థిరాద్ ప్రాక్షాపణిల్లి దిన్ని, క్వేమర్లాం ఉఫర్ మృతాల్లి, ప్రైవెర్ శి ప్రాఖీ-
షుల్లి ప్రైవెర్ అన మొక్కల్ ప్రైవెర్ అన్, క్రిష్ట్రే ప్రైవెల్ప్రాపిల్లా, ప్రాపిల్లుబ్ది దిన్నిషి
షింగ్ క్రొల్లుబ్దితా; ఔటటల్చ్యూ ప్రైవెర్ గ్రహేలా. కొలంప్రా ప్రోట్రూడ్ త్వా ప్రైవెర్ అన
మొక్కల్ ప్రైవెర్ అన్. III—IV. 2n=38; 57.

აწერილია შუა ევროპიდან.
ისტოდება მღინარეთა გაყოლებით, ხევებსა და ტყის პირებზე მეტწილად
მთის ქვედა და შუა საჩტყელში, 1300—1400 მ-დე ზღვის დონიდან.

საქ. სსრ.: აფხ. ბზიფის ხეობა (კოლოკვესკი), პიცუნდა (კოლოკვესკი); გუდაუთი (პეტრიავი); იმერ.: ქუთაისი, საღვ. აგამეთი (ა. ილინსკი); ქართ.: ბორჯომი, ლიკანი (კოზლოვსკი), წალევრი (ივივე), ძაბას ხეობა, ქარელსა და ზღუდერს შორის (ქიქოძე), თებამის ხეობა, ახალქალაქის ახლოს (ივივე), მცხეთა (პაგირევი), მცხეთა, არმაზის ხეობა (შიშკინი); კახ.: ლაგოდეხი, ქოჩალ-დაღი (პაპავა); გარე კახ.: ცივგომბორის ქედი (ზ. ყანჩაველი); თრიალ.: სამშეკილდე (ქიქოძე, შხიანი); ქვ. ქართ.: ბოლნისი (შხიანი); გარდაბ.: ყარა-იაზი (სტრიოსელსკი, ფომინი); ქიზ.: არფადარა (დოლუხხანოვი); მესხ.: როსტავისა და შინაძეს შორის (სოსნოვსკი, კემულარია-ნათაძე).

სსრკ-ის დანარჩე. ნაწ.: ქავქ.; ევრ. ნაწ.; ციმბ.; შუა აზ.

საერთო გაცრცელ.: შუა ევრ.; ბალკ.; ხმელთაშ. ზღვ. მხრ.; მც. აზ.; ცენტრ. აშ.

var. Sosnowskyi (Grossh.) Makaschvili თბილ. მიღ. ფლორა I. c. —

თოლოების შვერი წაგრძელებულია გრძლად.

22560-3 SALIX L. - 806030

კვავილები ერთსქესიანია, შექტებილია სწორმდგომ ან დაკიდულ შეკადასებრ ყვავილებებად ვერდითი ან მოკლე ყლორტების ბოლოებზე. ყვავილ

თანური ქერქლები კიდევმთლიანია. ყვავილი უყვავილსაფროა, მის ნაცვლად ყვავილის პირში განვითარებულია თითო წინა და უკანა სანექტრე ჭირებული ან ჭირებული მხოლოდ ერთია. მტერიანა ჩვეულებრივ 2, მტერიანა 3—5 (12-დღე); მტერიანის ძაფები თავისუფალია ან მხოლოდ ჭირები გულური ვიათად კი მთელ სიგრძეზე, შეზრდილი, შიშველი ან ქვედა ნაწილში ბეჭვანი. გინეცეუმი ყოველთვის 2 ნაყოფის ფოთლისაგანაა შექმნილი. ნასვი ზედაა. ნაყოფი 2—4 საგდულიანი კოლოფია, თესლები ძალიან წვრილია, მოგრძო, თხელყანიანი, ძირში აბრეშუმისებრი, ვერცხლისფერი ბეჭვების კონით აღჭურებილი. ხეებია ან ბუჩქები, ზოგჯერ ბალახოვანი იერით. კვირები გვერდითია, სპირალურად განწყობილი, დაფარულია ერთი მფარავი ქერქლით, რომელიც ზოგჯერ კიდეებითაა შეზრდილი და ერთი მთლიანი ჩანჩის სახითაა კვირტზე ჩამოცმული. ფოთლები მთლიანია, მორიგეობითი, იშვიათად მოპირისპირედ განლაგებული, ჩვეულებრივ მოკლეყუნწიანი და ფრთისებრძარებულიანი. თანაფოთლები ხშირად მაღლე ცვივა, იშვიათად სრულიად რედუცირებულია.

მტერის მარცვლები სამღარიანია, პოლარული ღერძის გასწვრივ წაგრძელებულ-ოვალური, 25—30 მიკრონამდე; პოლუსიდან სამნაკვთიანია, ღარები გრძელია, ბოლოებში წამახვილებული, ღრმად განლაგებული, წვრილმარცვლოვანი მემბრანით. ეგზინა თხელია, შესამჩნევი ბალისებრი სკულპტურით.

1. სავსებით განვითარებული ფოთლები ორივე მხარეზე ან მხოლოდ ქვემოდან ცოტად თუ მეტად ხშირი შებუსვითაა 2.
- სავსებით განვითარებული ფოთლები ორივე მხარეზე სრულიად შიშველია ან ქვემოდან, ისიც შუა ძარღვის გაყოლებით, მცირედი გაფანტული ბეჭვითა შემოსილი 9.
2. ფოთლები ვიწროა, მოყვანილობით ვიწრო-ლანცეტიდან ხაზურ-ლანცეტამდე და ხაზურამდეა, მათი სიგრძე 4—20-ჯერ აღემატება სიგანეს 3.
- ფოთლები უფრო ფართოა, მათი სიგრძე ჩვეულებრივ 2—3-ჯერ მეტად არ აღემატება სიგანეს 6.
3. ფოთლები 20—30 წყვილი გვერდითი ძარღვითაა, რომლებიც თითქმის მთავარი ძარღვის პარალელურია; ფოთლის სიგრძე 4—12-ჯერ აღემატება სიგანეს 4.
4. ფოთლები მოკლეა, 2—5 სმ სიგრძის, ხაზური ან ვიწრო ხაზურ-ლანცეტა, მოკლედ წაწვეტილი; ფოთლის ყუნწი ძალიან მოკლეა (1—2 მმ სიგრძის), უჯირკვლო; გვერდითი ძარღვები გამოდის მთავარი ძარღვიდან ძალიან მახვილი (10—15°) კუთხით. კოლოფი აბრეშუმისებრი ბეჭვითა მოფენილი 13. *S. armeno-rossica* A. Skv.
- ფოთლები 8—15 წყვილი გვერდითი ძარღვითაა, რომლებიც თითქმის მთავარი ძარღვის პარალელურია; ფოთლის სიგრძე 4—12-ჯერ აღემატება სიგანეს 4.
4. ფოთლები მოკლეა, 2—5 სმ სიგრძის, ხაზური ან ვიწრო ხაზურ-ლანცეტა, მოკლედ წაწვეტილი; ფოთლის ყუნწი ძალიან მოკლეა (1—2 მმ სიგრძის), უჯირკვლო; გვერდითი ძარღვები გამოდის მთავარი ძარღვიდან ძალიან მახვილი (10—15°) კუთხით. კოლოფი აბრეშუმისებრი ბეჭვითა მოფენილი 16. *S. Wilhelmsiana* M. Bieb.
- ფოთლები უფრო გრძელია 6—12 (13) სმ სიგრძის, ფართო ღანცეტა, გრძლად წაწვეტილი. ფოთლის ყუნწი უფრო გრძელია (3—

7. მმ სიგრძის) და ჭირკვლებიანია; გვერდითი ძარღვები მთავარი
ძარღვებიდან არც ისე მახვილი კუთხით ($30-60^{\circ}$) გამოდის. ესტურული
ლოფი შიშველია
5. ფოთლები თხელია, მეტწილად ვიწრო ლანცეტა მოყვანილობის, ცო-
ტად თუ მეტად გრძლად წაწვეტილი, კიდეზე წვრილ ხერხისებრ
დაკბილული, ორივე მხარეზე, ან მხოლოდ ქვემოდან აბრეშუმი-
სებრ ვერცხლისფერი შებუსვით, მწვანე, იშვიათად ქვედა მხარე-
ზე მოლეგო 3. *S. alba* L.
- ფოთლები უფრო მცვრივია, ტყავისებრი და უფრო ფართე, მოყ-
ვანილობით კვერცხისებრ ლანცეტა, მოკლედ წაწვეტილი, თავში და
ბოლოში თანაბრად შევიწროებული, კიდეზე მსხვილ მასებილ-ხერხ-
კბილა, ზემოდან მუქი მწვანე, შიშველი, ქვემოდან ვერცხლისფერი-
ქეჩისებრი 4. *S. micans* Anderss.
6. ერთწლიანი ტოტები ხავერდისებრი სქელი ბეჭვითაა მოფენილი.
ფოთლები ქვემოდან მოლურჯო ფერისაა, ხასიათდება კიდეზე ქვე-
ვით ძლიერ გადაკეცილი კბილებით და შევეტრად გამოსახული
ძარღვების ქსელით 9. *S. pseudomedemii* E. Wolf
- ერთწლიანი ტოტები შიშველია ან ძალიან სუსტადა შებუსვილი.
ფოთლები ქვემოდან არ არის მოლურჯო, მათი კიდე ბრტყელია;
კბილები გადაკეცილი არ არის 7.
7. ფოთლები ვიწრო ელიფსურია ან წაგრძელებულ უკულან ცეტისებ-
რი, ქვემოდან ან ორივე მხარეზე ატლასისებრ-პრიალა აბრეშუ-
მისებრი ბეჭვისაგან 14. *S. pantosericea* Goerz
- ფოთლების შებუსვა სხვანირია, აბრეშუმისებრი არ არის, ფოთლები
ქვემოდან რუხი ქეჩისებრია 8.
8. ფოთლები ღიდი ზომისაა, 11—17 სმ სიგრძის, 5—8 სმ სიგანის,
ფართო-ელიფსისებრი, თითქმის მორჩევალო, იშვიათად კვერცხი-
სებრი, ფოთლის ძარღვების ბადე ზემოდნ ჩაზნექილია 8. *S. caprea* L.
- ფოთლები არც ისე ღიდი ზომისაა, 7—13 სმ სიგრძის, 4,5 სმ-მდე
სიგანის, ვიწრო-ელიფსისებრი ან უკუკვერცხისებრი; ფოთლის
ძარღვების ბადე მკვეტრად არაა გამოსახული 10. *S. Kuznetzowii* Laksch.
9. ფოთლის ძარღვების ბადე ფირფიტის ქვედა მხარეზე მკვეტრადა
ზედაპირიდან ამოშვერცხილი; ფოთლის კიდე ცოტად თუ ბევრად
მსხვილი, არათანაბარი კბილებითაა და აშკარად ქვევითაა გადა-
კეცილი 7. *S. caucasica* Anderss.
- ფოთლის ძარღვების (გარდა შუა ძარღვისა) ბადე არ არის ამოშ-
ვერცხილი; ფოთლის კიდე მთლიანია ან წვრილ ხერხისებრდაკბი-
ლული, ქვევით არ არის გადაკეცილი, ამის გამო ფოთლი, ყო-
ველ შემთხვევაში ცოცხალი, საუსებით ბრტყელია 10.
10. ფოთლის ყუნწი ჭირკვლებიანია, რომლებიც ფირფიტის ძირთანა-
განვითარებული 11.
- ფოთლის ყუნწის ჭირკვლები არა აქვს 12.
11. ფოთლები უფრო ფართოა, მათი სიგრძე 2—3-ჯერ აღემატება სიგა-
ნეს, მოყვანილობით კვერცხისებრიდან ელიფსურადჲეა, ქვემოდან

უფრო მეტთალია, მაგრამ ლეგა ნაფიფქი არა აქვს. ჭირკვლები
უზნებზე 2—3 წყვილა



1. *S. pentandroides* Benth.

— ფოთლები უფრო ვიწროა, მათი სიგრძე 4—5-ჯერ აღემატება სი-
განეს. ჭირკვლები უზნებზე 1 წყვილა, მტვრიანა 3

12. ფოთლები უფრო ვიწროა, მათი სიგრძე 4—12-ჯერ აღემატება
სიგანეს 13.

— ფოთლები უფრო განიერია, მათი სიგრძე 2—3-ჯერ მეტჯერ არ აღემა-
ტება სიგანეს 14.

13. ფოთლები ხაზურ-ლანცეტისებრია, 8—15 სმ სიგრძის, კიდეზე ხშირ,
წვრილ ხერხებილა, ქვემოდან მეტთალია, გაშრობისას შავდება.
მტვრიანის ძაფები შეზრდილია; სამტვრეები მეწამული ფერისა 15. *S. elbursensis* Boiss.

— ფოთლები ლანცეტისებრია, უფრო მოკლე, 5—8 სმ სიგრძის, კი-
დეზე მსხვილ-ხერხებილა, ორივე მხრიდან მწვანე. მტვრიანის ძა-
ფები შეზრდილია; სამტვრეები ყვითელია

14. ახალგაზრდა ნორჩი ტოტები შებუსვილია 15.

— ახალგაზრდა ნორჩი ტოტები შიშველია, იშვიათად სუსტადაა შე-
ბუსვილი 16.

15. ფოთლები მოგრძოა, ლანცეტისებრი, ჩვეულებრივ ორივე მხარეზე
ერთნიარია, მწვანე. ყვავილთანური ქერქლები სწორი (არაბანჯვ-
ლიანი) ბეჭვითაა შებუსვილი 7. *S. caucasica* Anderss.

— ფოთლები კვერცხისებრია, ხშირად ელიფსისებრი, ზემოდან მუქი
მწვანე, ქვედა მხარეზე ლეგა ან მოთეთრო ფერის. ყვავილთა-
ნური ქერქლები ხუჭუჭა დახლართული ბეჭვითაა შებუსვილი

16. ფოთლები უფრო პატარა ზომისაა, 2—5 სმ სიგრძის, მოყვანილობით
ფართო კვერცხისებრიდან ლანცეტისებრამდე. ყვავილთანური ქერ-
ქლები ელიფსისებრია ან უკუკვერცხისებრი, მუქი მურა ფერის 12. *S. Kazbekensis* A. Skv.

— ფოთლები უფრო დიდი ზომისაა, 4—8 სმ სიგრძის, მოყვანილობით
ელიფსისებრიდან ვიწრო ლანცეტამდე. ყვავილთანური ქერქლები
კვერცხისებრ-მოგრძოა, გრძელი თეთრი ბეჭვით შებუსვილი, ღია
მურა ფერის 11. *S. Kikodzeae* Goerz
(= *S. phylicifolia* auct. cauc.)

სექცია 1. *Salix (Pentandrae Dum.)* — ხეებია ან მაღალი ბუჩქები.
ფოთლები მეტწილად დიდი ზომისაა, ლანცეტისებრი ან მოგრძო კვერცხი-
სებრი, პრიალა, კიდეზე ჭირკვლოვან-ხერხისებრი. მამრობითი მჭადა ყვავი-
ლებები ხშირყვაელიანია, იშლება თითქმის ფოთლებთან ერთდროულად;
მდედრობითი მჭადები გრძელყუნწიანია, ხშირად ძალიან წაგრძელებული,
ცოტად თუ ბევრად ფარჩხატყვავილიანი. ნასკვი მოკლეყუნწიანია; სვეტი ძა-
ლიან მოკლეა; დინგი ორი გვერდზე გადახრილი ნაკვითაა.

1. *S. pentandroides* A. Skv. in Докл. АН Арм. ССР 31, 5 (1960) 299; СБ. ИМ. АН ССР 1960, 111. Изв. СССР 1968.

Скворцов в Тр. Бот. инст. АН Арм. ССР XV (1966) 111; Ивы СССР (1968) 107; Ենօնի Տայ. ԹցՅ. Տարչ. II (1969) 492. — *S. pentandra* auct. ԱՐՄԱՆԻԱՆ 1963 et *Asiae Min. non L.*; Boiss. Fl. Or. IV (1879) 1184; Назаров во Фл. ССР V (1936) 205 quad pl. cauc.; Колак. Фл. Абх. II (1939) 25; Гросг. Фл. Кавк. 2, III (1945) 27; სოსნოვკი Տայ. Պատմ. III (1947) 27; Махатадзе в Дендрофл. Кавк. II (1961) 52.

აწერილია ქავებასიიდან.

იზრდება მდინარეთა და ხევების ნაპირებზე, აგრეთვე ტენიან ტყეში, მეტ-წილად მთის ჭაობიან ხეობებში ტყის ზედა და სუბალპურ სარტყელში 2000—23000 მ-დე ზღვის დონიდან.

საქ. სსრ.: აფხ. გარეა (სახაროვი) მოყვანილია კოლაეკვესკის მიერ; სვახ.: ზემო სვანეთი, მდ. ნაკრას მარტენა ნაპირი (ხარაძე), ღოუბერი მდ. ენგვრის ნაპირები (სახოვია), უშგული, შხარის მყინვართან (სოსნოვსკი), მდ. ღოლ-რა-ჩალას ხეობა (შელკოვნიული), ჩხარა (ოჩიაური); სამ. ოს.: კუდარის რაიონი სოფ. ლეთი (ე. და ნ. ბუში); ქართ.: ბაკურიანი (კოზლოვსკი); მთიულ.: ყაზბეგის რაიონი წითელ-ძირის სამკრები (ხარაძე), ხდის ხეობა, მარწყვის ჭალა (სახოვია, ხუკიშვილი), სოფ. ჭუთა (ხუციშვილი).

საერთო გავრცელ.: მც. აზ.

სექცია 2. *Triandrae* Dum.—ხევბია ან მალალი ბუჩქები მოწნილი ტოტებით. ფოთლები ლანცეტისებრია, მახვილი, ხერხისებრი, შიშველი, ორივე მხარეს ერთი ფერის ან კვედა მხარეზე ლეგა. მჭადები ვითარდება აითქმის ფოთლებათ ერთდროულად შეფოთლილ ყუნწებზე. ნაკვეთ გრძელ-ყუნწიანია, შიშველი, თითქმის უსკეროა და მოკლე დინგითა.

2. *S. triandra* L. Sp. Pl. (1753) 1016; Назаров во Фл. СССР V (1936) 184; Колак. Фл. Абх. II (1939) 23; Гросг. Фл. Кавк. 2, III (1945) 24; სოსნოვკე ხაქ. ფლორა III (1947) 22; Карагин во Фл. Азерб. III (1952) 56; Дмитриева Опред. раст. Аджар. (1960) 426; Махатадзе в Дендрофл. Кавк. II (1961) 40; Гросг. Опред. (1949) 725; Скворцов в Тр. Бот. инст. АН

కి. కి. పాతురా శమిస, 5—4 ద సిమాల్లిస బెగ్బింగా, బెశిహాద మాలాల్లి తెల్చిజీగ్-
బి. తొట్టెబో మంగ్వితాల్లమ-మ్భ్రువాన్గ్, వీంతేలి అన మురు యైరిసిసా, మంజ్ఞిన్లి,
శిశ్వెల్లి; తుంతల్లి పుష్టిం 1 సమ-మడ్ సిగ్రహిసిసా, 1 ప్యువ్పిల్లి తిర్చువాల్లిత తుంర-
తుంతిస తిర్చానాన; తుంతమ్లి మంగ్వాన్లిల్లంబిత మంగ్రహమ్భాద బాశ్వుర-ల్లాంప్రేత్తామడ్ల్యా,
4—5-క్షేర లంగ్విమాత్రేబా తావిస సిగ్వాన్సే, 13 సమ-మడ్ సిగ్రహిసి ల్లా 3 సమ-మడ్ సి-
గానిస, వీంతిసిన్ అన గ్రహమ్లాద వీంత్వెత్తిల్లి, క్రిష్ణే బెశింగ క్షేరిసిస్థెబరిం; తిర్చా-
సర్కుల్లి తుంతల్లెబో శిశ్వెల్లిల్లా, శేమంటాద ముజ్జి శిశ్వాన్గ్, రూమిల్లున్చాథ్రే తిర్చాంలూ,
క్షేమంటాద ఉట్టరు మ్భ్రతాల్లింగా, ల్లెగా యైరామిల్ల్య, న్దిన్సావ మ్భ్రిక్షాల్లి; శ్రూ దాఖల్వి
ఎఱివ్వె శ్రూర్చేశ్వే మ్భ్రాప్తింటాదా అంశ్వెగ్రిల్లింగి. మ్భ్రాప్తా పిశ్లెబ్దా తుంతల్లెబ్శ్వే ప్రంత్రా
ఎఫ్ర్హే అన మాతాన జ్యుతధర్మాన్లాఫ్; మామ్రహిసితి మ్భ్రాప్తా 8 సమ-మడ్ సిగ్రహిసిసా, మంగ్రహమ
ప్రాణింధర్ముల్లి; మ్భ్రెఫ్రింబితి మ్భ్రాప్తా 6 సమ-మడ్ సిగ్రహిసిసా. గ్గ. IV—V;
బొప్. VI. 2n=38; 44.

აშერილია ევროპიდან.

იზრდება მდინარეების, ნაკადულებისა და ტბების ნაპირებზე დაბლობი-დან დაწყებული 1300—1800 მ-მდე.

საქ. სსრ: აფხ.: სოხუმი, რიბის ახლო (პეტიავეკი); სამეგრ.: ფოთისა და ჭელადიდის შორის (შიშვინი); იმერ.: რიონის დაბლობი, სოფ. სუფსის ახლოს (დოლუხანოვი); სეირი, ყვირილას ნაპირები (ზედელმეტერა); სამჩ. ოს.: სოფ. ფარეკუჭინის ახლოს (ე. და ნ. ბუში); ქართ.: სოფ. გუჯარეთის შიდამოები, მდ. გუჯარეთის წყალის ნაპირები (ქუთათელაძე, ხინთიბიძე, შხანი, ლაჩაშვილი), ბაკურიანისა და საკოჭავის შორის (კოზლოვსკი) ბაკურიანის ახლოს, მიტარბა (ივივე), საბატენევი (ივივე), ციხის ჯვარი (ივივე), თბილისი (სოსნოვსკი); კახ.: მდ. ალაზნის გაყოლებით, ტყეში (ზ. ყანჩაველი); გარე-კახ.: მდ. იორის გაყოლებით, ჭალაში (ზ. ყანჩაველი), საღვური იორი, მდ. იორის მარჯვენა ნაპირი (მანდენოვი); გარდაბ.: ყარაია; ქვ. ქართ.: სოფ. პრიუტი (კულტ. კაკე განკ., კენიგი), გაბურ-არხ, ლევგადინ (კოლაკოვსკი); მესხ.: ახალციხე (კოზლოვსკი), ფოცხოვ-ჩაის გაყოლებით, ახალციხის ახლოს (სოსნოვსკი);

სსრკ-ის დანარჩ. ნაწ. იმიერკავკ.; ამიერკავკ.: აზერბ., სომხ.; ევრ. ნაწ.; ციმბ.; შუა აზ.; შორ. აღმ.;

ସାହରନ ଗ୍ରାମରେଣ୍ଟ୍: କିରଣ. ଲା ଶ୍ରୀ ପାତ୍ର.; କମ୍ପ୍ୟୁଟର. ଶ୍ରୀ ଶିଲ୍ପି. ମତ୍ତାରୁ. ମତ୍ତାରୁ. ମତ୍ତାରୁ. ଅନ୍ଧାରା. ପ୍ରଦୀପ.

სეკცია 3. *Albae* Borr.—დიდი ზომის ხეებია, სქელი, დამსკდარი ქერქით, რომელიც არ ცვივა. ნორჩი ტოტები საკმაოდ მოქნილია, გრძელი, შიშველი ან აბრეშუმისებრ ბეწვიანი. ფოთლები ვიწრო ლანცეტისებრია, წაგრძელებული ჭვერით. მცადას ყუნწის ძირში ფოთლებია განვითარებული. ნაკვეთი მჯდომარეა ან მოკლეუნწიანი, ჩვეულებრივ შიშველია.

3. *S. alba* L. Sp. Pl. (1753) 1021; Назаров во Фл. СССР V (1936) 188; Колак. Фл. Абх. II (1939) 24; Гросг. Фл. Кавк. 2, III (1945) 26; სოხ-
ბოვეცი საქ. ფლორა, III (1947) 23; Гросг. Опред. (1949) 725; Калягин во
Фл. Азерб. III (1952) 59; Дмитриева Опред. раст. Аджар. (1960) 426; Ма-
188

хатадзе в Дендрофл. Кавк. II (1961) 43; Скворцов в Тр. Бот. инст. АН Арм. ССР XV (1966) 117; Ивь СССР (1968) 108; Шевоно საქ. შემონაცვლებელი II (1969) 491. — წნორი.

ჩ. ღიდი ზომის, 20—30 მ-მდე სიმაღლის ხეებია; ტოტები მოყვითალო მურა ფერიდან მუქ-ჭუკყისებრ ყავისფერამდე, ჩვეულებრივ გრძელი, წვრილი, გაღმოყიდებული. ფოთლის ყუნწი 7 მმ-მდე სიგრძისაა, წვერში გირ-კლებითაა; ფოთოლი მოყვანილობით მოგრძოდან ვიწრო-ლანცუტებულე, 13 სმ-მდე სიგრძისა და 2,5 სმ სიგანის, ცოტად თუ ზევრად გრძლად წაწვეტილი, ორივე მხარეზე ან მხოლოდ ქვემიდან აბრეშუმისებრი ვერცხლისფერი შებუსვით, მწვანე, იშვიათად ქვემო მხრიდან ლეგა; ძარღვები ფოთლის ორივე მხარეს მკვეთრადაა ამოწეული; გვერდითი ძარღვები გამოდის 30—40 (60%) კუთხით. მჭადა იშლება ფოთლებთან ერთად, 3—5 სმ სიგრძისაა, ყუნწიანი, ძირში მოგრძო უკუკერცხისებრი, ბლაგვი ფოთლებით; ყვავილთან ერქლები მოყვითალო ან მომწვანია; მტერიანა 2, თავისუფალი; ნასკვი კვერცხისებრ-კონუსისებრია, თითქმის მჯდომარე, შიშველი. ყვ. IV—V; ნაყ. V—VI. 2n=76.

აწერილია ევროპიდან.

იზრდება მდინარეთა ნაპირებზე დაბლობიდან დაწყებული მთის ზედა სარტყლამდე 1500—1600 მ ზღვის დონიდან. აშენებენ და ხშირად ველურდება.

საქ. სსრ: აფ. გუმისტას ხეობა (გუბისი); სამეგრ: ზუგდიდი, მუხურის მიღამოები (შიშვინი), ვალადიღა და ფოთს შორის (იგივე); აჭარ.: ბათუმის რაიონი მდინარე ჭოროხის მარცხენა ნაპირი, სოფ. ერევანი პირდაპირ (ლი-მიტრივი) ქართ.: ლიკანი (კოზლოვსკი), ძამის ხეობა (ქიქოძე). თეძმის ხეობა, წითელქალაქის მიღამოები (იგივე), თეძმისა და რიცხას შესაბათავთან (ქუთათელაძე, ხინთიბიძე, შხიანი), მცხეთა, არმაზის ხეობა (ნეფრინცევი); ქახ.: თელავის რაიონი, მდ. ლოპოტი ნაპირები (მოლჩანოვი), მდ. ალაზ-ნის ახლოს (ზ. ყანჩაველი); გარე-ქახ.: მდ. იორის გაყოლებით (იგივე), სოფ. ანტოკი, მდინარის პირებზე (იგივე); ქიშ.: შირაქის ველი (ზედელმეური); იქვე ხორქეს წყალი (დოლუბანოვი); გარდაბ.: ყარაია (კენივი); თრიალ.: მანგლისი (ზედელმეური), თეთრი წყარო, მდ. ხრამის წყალგამყოფი (უტეინი); ქვ. ქართ.: მდ. ხრამის შუა ღინება (შხიანი), სოფ. რატევანი არხის გაყოლებით (ვაპავა, ღუმბაძე).

სსრების დანარჩ. ნაწ.: იმიერკავკ.; ამიერკავკ.; დას. ციმბ. შუა აზ.; საერთო გავრც.; მთელი ევრ.; ხმელთაშ. ზღვ. მხრ.; მც. აზ.; სომხ.-ქურთ.; ირ.; პიმალა; აღმ. აზ.

x S. alba x S. pentandroides A. Skv. — საქ. სსრ: ქართ. ეგზემპლარს ბაკურიანიდან სკვორცოვი სავარაუდოთ განიხილავს როგორც ჰიბრიდს.

x S. alba x S. excelsa Gmel. — საქ. სსრ: ქართ.: მდ. ტანას ხეობა, სოფ. ორშაცი (ქიქოძე); საგურამო (შიშვინი), კიკეთსა და კოჯორს შორის (სოსნოვსკი); ქახ.: თელავის ახლოს (ზ. ყანჩაველი), მდ. ალაზნის გაყოლებით (იგივე); გარე-ქახ.: სოფ. მანავის ახლოს (იგივე), მდ. იორის ნაპირებზე (იგივე), ჩაილური (იგივე); გარდაბ.: ყარაიას ახლოს (კულტივირებული ბოტ. ბაღში, კენივი); თრიალ.: თეთრი წყაროს ახლოს (ზედელმეური), სოფ. ნავთიანი (ქუთათელაძე, მანდენოვი, შხიანი); ქვ. ქართ.: მდ. ხრამის შუა ღინება (შხიანი).



სამეურნეო მნიშვნელობა. თაფლოვანი მცენარეა. **შეტყიდვის მიზანი** — იყენება მედიცინაში და მორიმლავი ნივთიერების მისაღებად: აგრეთვე შალეულებისა და აბრეშუმის შესაღებად მოწითალო ყავისფრად. ტოტება იხმარება კალათებისა და სხვ. დასაწევებელ, აგრეთვე საკასრე წარმოებაში.

4. *S. micans* Anderss., Monogr. Salic. (1867) 49; Назаров во Фл. СССР V (1936) 190; Колак. Фл. Абх. II (1939) 24; Гроссг. Фл. Кавк. 2, III (1945) 26; Соловьевский лес. флоры, III (1947) 24; Гроссг. Опред. (1949) 725; Дмитриева Опред. раст. Аджар. (1960) 426; Махатадзе в Дендрофл. Кавк. II (1961) 44. — *S. alba* var. *micans* Anderss. Фомин и Воронов Опред. раст. Кавк. II (1911) 36. — *S. alba* subsp. *micans* (Anderss.) Rech. Österreich. Bot. Zeitschr. 110 (1963) 338; Скворцов в Тр. Бот. инст. АН Арм. ССР XV (1966) 117; Ивы СССР (1968) 108; შხიანი საქ. მცენ. სარკვ-II (1969) 491.

ჩ. ღიღი ზომის ხეებია, 20—25 მ-მდე სიმაღლის. ტოტები მოქნილია მურა წაბლისფერი, ნორჩობაში სქლად ქეჩისებრ შებუსვილი. ფოთლები ტყავისებრია, მოყვანილობით ლანცეტისებრი, ორივე ბოლოში თანაბრად შევიწროებული, წევრში სწორი წვერით, კიდეზე მსხვილი და ხშირი მახვილ-ხერხისებრი დაკბილვით, ქვედა მხარეზე შემოსილია ხშირი, მიტკეცილი, ვერცხლისებრ ცისფერი ბეწვით. ფოთლის ყუნწი 1 სმ-მდე სიგრძისაა. მცადა ყუნწიანია. ყვავილთანური ქრეპლები აგურისებრმურა ფერისაა. ყვ. IV-; ნაყ. V.

აწერილია კოლხეთიდან.

იზრდება მდინარეთა, წყალსაცავებისა და არხების ნაპირებზე ტყის ქვედა სარტყელში.

საქ. სსრ.: აფხ. იუბშარის ხრამი (ვასილიევი), ბზიფის ხეობა, მდინარე გეგა (ვეტიავევი), ბზიფის ხეობა (იაბროვა), ლაშიძე (ვასილიევი), რიცას გზატევეცილი (კოლაკოვსკი), ვენეციის ხეობა (კოლაკოვსკი). (კოლაკოვსკის მიხედვით); სვან.: მდ. ხელედულას ხეობა (შელკოვნიკოვი); სამეგრ.; ჭალაზიდი (შიშკინი); იმერ.: სოფ. მაღლაქასა და მდ. გუბის-ჭყალს შორის (მაყაშვილი), სოფ. მაღლაქის ახლოს (იგივე), სოფ. აბშევითის ახლოს (იგივე), სოფ. პატრიკეთი (იგივე), სვირი, მდ. ყვირილას ნაპირი (ზედელმეერი), წიფა (შიშკინი); ქართ.: ბორჯომი, ბანისხევი (კოშლოვსკი), ჩობის-ხევი (იგივე), დილმის ჭალა (შიშკინი), მდ. ძაბას ხეობა (ქიქმეგ), ქარელის ახლოს (იგივე).

სსრკ-ის დანარჩ. ნაწ.: იმიერკავკ.; ამიერკავკ.; შავი ზღვ. სანაპ.

5. *S. excelsa* Gmelin, Reise III (1774) 308; Скворцов в Бот. мат. герб. БИН АН СССР XX (1960) 76; Скворцов во Фл. Арм. V (1966) 353; в Тр. Бот. инст. АН Арм. ССР XV (1966) 118; Ивы СССР (1968) 110; შხიანი საქ. მცენ. სარკვ. II (1969) 493. — *S. australior* Anderss. Monogr. Salic. (1867) 43; Гроссг. Фл. Кавк. II (1930) 5; Назаров во Фл. СССР V (1936) 191; Гроссг. Фл. Кавк. 2, III (1945) 26; Соловьевский лес. флоры III (1947) 25; Гроссг. Опред. (1949) 725; Карягин во Фл. Азерб. III (1952) 60; Махатадзе в Дендрофл. Кавк. II (1961) 45.

ჸ. დიდი ზომის, 20 მ-მდე სიმაღლის ხეებია. ტოტები ნარინჯისფერ-
წითელია, იშვიათად მურა ან მოყვითალო-მურაფერის; ფოთლის ჭარბი-ჭულა
მოკლეა, 3—4 მმ სიგრძის, გირკვლები არა აქვს; ფოთლები ლაცეპული-ჭულის მეტად
რია 5—8 სმ სიმაღლის, 1—2—2 სმ სიგანის, წვერში წაწვეტილი, კიდეზე
მსხვილი, იშვიათად არც ისე ხშირი, ხერხისებრი დაქბილვით; ზრდასრუ-
ლი ფოთლები ორივე მხარეზე შიშველია, გირში სოლისებრ წარზიდული.
მეტად 1,2—4,5 სმ სიგრძისაა, განლაგებულია მოკლე შეფოთლილ ტოტებზე
და ფოთლებთან ერთდროულად იშლება; ყვავილთანური ქერქლები ნა-
რინჯისფერ ყვითელია, ბლაგვი, მოყვანილობით კვერცხისებრი. ნასკვა-
კვერცხისებრ-კონუსურია, თითქმის მდგრადი, შიშველი. ყვ. III—IV;
ნიკ. IV—V.

ଓଡ଼ିଆଙ୍କରା ପତ୍ରାଳୁରାଙ୍କରାନ (ରୂପଶ୍ରୀ)।

იზადება მდინარეთა და ნაკადულების ნაპირებზე, ტყის ქვედა სარ-
ცყელში. შინა სახეობასთან შედარებით გვხვდება უფრო დაბლობ აღგილებ-
ში. ხშირად აშენებენ.

საქ. სსრ.: იმტრ.: უკირილი (ლომაჟინი); ქართ.: ლიკანი (კოზლოვსკი), წალერი (იგოვე), მდ. ძაბას მარჯვენა ნაპირი, სოფ. გვერძნეთის ახლოს (კუთათელაძე, ხინთიბიძე, შხიანი), ტყემლოვანის წყლის გაყოლებით (იგოვენი), მდ. თექაშის ხეობა (ქიქოძე), სოფ. წითელქალაქი (იგოვე), თექაშის ხეობა, რკონის მონასტრის ახლოს (კუთათელაძე, ხინთიბიძე, შხიანი), მდ. ტანას ხეობა, სოფ. ატენის ზემოთ (ქიქოძე), მცხეთა (კვენიგი), იქვე არმაზის ხეობა (სოსნოვსკი), თბილისი, დაბახანის ხეობა (კვენიგი); კახ.: მდ. თურდოს ხეობა (ზ. ყანჩაველი); გარე-კახ.: სოფ. საგარეჯოს ახლოს (სოსნოვსკი), მანავი (ზ. ყანჩაველი); გარდაბ.: ყარაიას ახლოს (კულტ. ბოტ. ბაღში, კენიგი); თრიალ.: მდ. ალგეთის მარცხენა მხარე, სოფ. ალგეთის კვერძოთ (კუთათელაძე, შხიანი, მცხეთაძე); ქვ. ქართ.: თეთრიშვილის ჩაინი, მდ. ხრამის შუა დინება (შხიანი), ბოლნისსა და დმანისს შორის (სოსნოვსკი, პაპავა).

სიკურს დანაორჩ. ნაწ.: იმიერკავე;. ამიერკავე;. აზერბ., სომხ., შუა

საერთო კავშირები: იუ.

x S. excelsa Gmelin *x S. micans* Anderss. — ଫାର୍ମ. ଅନ୍ତର୍ଗୀଳ ପାଲୁପଥି (ପାଗୋରୁଙ୍ଗ); ହରାକାଳ: ଅନ୍ତର୍ବାର (ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତ).

სექცია 4. *Hastaiae* Fries — ბუჩქებია. ფოთლები შიშველია, კი-
დეზე ბასრხერხებილა, სხვადასხვა ფორმის, ორივე მხარეზე მწვანე ან გვე-
მოლან მეტალი ლეგა ფერის, მკვეთრად ამოწეული პარლვებითა და ლიდა
ზომის თანაფოთლებით. მჭადა ვითარდება ნაღრევად ან ფოთლებითან
ერთდროულად. ნასკეთ შეშველია, მომწვან.

◎. 6. *S. apoda* Trautv., Ind. Sem. Hort. Petrop. Bot. (1865) 37; Медве-
дев, Деревья и куст. Кавк. (1919) 296; Назаров во Фл. СССР V (1936) 117;
Скворцов в Тр. Бот. инст. АН Арм. ССР XV (1966) 121; Ивы СССР (1968)
149; Թօօմօ Տայ. Ցըց. Տարշ. II (1969) 494.—*S. hastata* var. *apoda* Laksch. ex
Goerz in Гроссг. Фл. Кавк. II (1930) 6; Гроссг. Фл. Кавк. 2, III (1945)
22; Եղենցիկ Տայ. Ցըցութ. III (1947) 19.—*S. hastata* auct. cauc. non L.

ჩ. დაბალი, 1—1,5 მ სიმაღლის, გართხმული ბუჩქია მსხვილი. მცენ/ შუალაფერის ტოტებით; ნორჩი ტოტები შიშეელია. კვირტები აყრისჩენა/ ყვითელია, შიშეელი, დიდი ზომის; ფოთლის ყუნწი 2—4 მმ სიღარეს/ გაფართოებული, უჯირკვლო; ფოთლები ელიფსისებრია, იშვიათად კვერცხისებრი, 5—7 სმ სიგრძის, 2,5—4 სმ სიგანის, მათი სიგრძე 2—3-ჯერ მეტად არ აღმატება სიგანეს, კიდეზე ჭირკვლოვან წვრილ-ხერხისებრი, არამკვეთრად ამოწეული (გარდა შუა ძაღლისა) ძარღვებით. მცადა მოკლეუნწიანია, ვითარდება ფოთლებთან ერთდროულად, 3—5 სმ სიგრძისა და 0,8 სმ სიგანის, ნაყოფობისა 10 სმ-ზე აღწევს. ყვავილთანური ქერქლები ლანცეტისებრია ან მოგრძო ლანცეტი, მურაფერის, ზოგჯერ, ზედა ნაწილში უფრო მუქია, ხასიათდება ღია რუხი ფერის ხუჭუჭა — ბეწვიანი ფოჩით; მტკრიანა 2, თავისუფალი, იშვიათად შუამდეა შეზრდილი; ნაკვებობის მოკლეუნწიანია.

აწერილია კავკასიიდან.

იზრდება სუბალპურ და ილპურ სარტყელში არყნარებში, ჩამონაზვა-ვებზე და ჭაობების გაყოლებით.

